ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის,
ფილოსოფიის მიმართულების მაგისტრატურის
მე-2 კურსის სტუდენტის

ნინო შუკვანის

სამაგისტრო ნაშრომი

ტოტალური კონტროლი და ძალაუფლების პარადიგმები

ხელმძღვანელი: პროფესორი დემურ ჯალაღონია

თბილისი

2019 წ

სარჩევი

Annotation **3**

ანოტაცია **4**

შესავალი **5**

თავი I. ძალაუფლების არსი **7**

რა არის ძალაუფლება (პლატონი, არისტოტელე, მაკიაველი, ჰობსი) 7

ძალაუფლება, როგორც მანიპულირების საშუალება 13

კანონი და ლეგიტიმაცია 16

ვინ მართავს ადამიანი თუ კანონი? 16

თავი II. ძალაუფლება,როგორც თვითდამკვიდრების საშუალება **21**

პოლიტიკური ძალაუფლების ფენომენი (მიშელ ფუკო) 21

ძალაუფლება, გავლენა და ავტორიტეტი 49

თავი III. ძალაუფლების გამოვლენის ისტორიული დისკუსის ზოგადი მონახაზი **51**

დისციპლინარული საზოგადოება (მიშელ ფუკო) 51

ტოტალური კონტროლის ახალი ფორმები (მიშელ ფუკო; ჰერბერტ მარკუზე) 54

განმანათლებლობა, როგორც ძალაუფლების პროექტი (მიშელ ფუკო, იმანუელ კანტი, თეოდორ ადორნო, მაქს ჰორკჰაიმერი, იურგენ ჰაბერმასი) 61

თავი IV ძალაუფლების ფსიქოანალიზი **66**

ყოფნისა და ფლობის პრინციპები ცოდნასა და ძალაუფლებაში (ერიხ ფრომი) 66

დიქტატორთა ანალიზი და არქეტიპები (კარლ გუსტავ იუნგი) 69

დასკვნა **75**

გამოყენებული ლიტერატურა **77**

Annotation

A thesis for a master's degree will include the role of absolute power, its importance not only in the political affairs and also habitual, day to day problems. It can be analysed that total process of controlling mechanism is in connection with the social event, historical discourse and modification. The changes of outward display was quite marked indeed, though the essential meaning was the same. The psychoanalysis of the power will be discussed too. It's interesting why the human as a "political animal" longs for the power and why this power is especially important. In a well directed effort, it would be significant to talk about the secret plans for an unconventional way of life that is trying to stop free judgment, ability to think and make all of us the part of the system. The authorities use direct and indirect ways to achieve this goal.

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში განხილული იქნება ძალაუფლების როლი, მისი მნიშვნელობა არა მარტო პოლიტიკურ-სოციალურ ჭრილში, არამედ ყოველდღიურ, ყოფით დონეზე. გაანალიზებული იქნება, მისი როგორც ტოტალური კონტროლის მექანიზმის კავშირი საზოგადოებრივ პროცესთან. ასევე ისტორიული დისკურსი და მოდიფიკაცია. თუ როგორ იცვლებოდა გარეგანი გამოხატულება, მაგრამ არსი იგივე რჩებოდა. ამასთანავე განხილული იქნება ძალაუფლების ფსიქოანალიზი, თუ რატომ არის ადამიანისთვის, როგორც „პოლიტიკური ცხოველისთვის“, ძალაუფლებისკენ მიდრეკილება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი.

მთავარი აქცენტი იქნება, ძალაუფლების ფარულ მხარეებზე, იმ ფუნდამენტურ მახასიათებლებზე, რითაც იგი ცდილობს ინდივიდის აზროვნება ჩაახშოს და ყოველი ჩვენგანი, პირდაპირი თუ ირიბი გზებით სისტემის ნაწილი გახადოს.

შესავალი

ძალაუფლება კომპლექსური ფენომენია. ამდენად, მისი ცალსახად განსაზღვრა არასწორი და მიუღებელია. ჩვენ, როგორც სოციუმს, გვიწევს პოლიტიკურ სივრცეში ყოფნა, შესაბამისად, ჩვენი ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა ძალაუფლებასთან პირდაპირ კავშირშია, რაც ადასტურებს პოლიტიკის მნიშვნელობას ჩვენთვის და მის ზეგავლენას თითოეულ ჩვენგანზე.

ძალაუფლების საკითხის განხილვისას გამოვიყენე ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, რაშიც დამეხმარა სხვადასხვა ავტორთა შეხედულებების გაცნობა და ანალიზი. ხოლო ტიპოლოგიურ განზოგადებაში დიდად დამეხმარა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, პარლემენტში პრაქტიკის გავლა. ნათქვამია: “გაგონილს თვალით ნანახი სჯობიაო“, ის რაც აქამდე ჩემთვის თეორიიდან იყო ნაცნობი, პრაქტიკის მეშვეობით უფრო თვალსაჩინო გახდა.

შეიძლება ითქვას, პარლამენტი თითქმის არაფრით განსხვავდება ფუკოს სადამსჯელო ინსტიტუციებისგან. თუ პატიმრებს გუშაგი აკონტროლებს და ამით თითოეულში თვითკონტროლის მექამიზმს რთავას, პარალამენტში გუშაგის როლს კანონი და მაღალი თანამდებობის პირები ასრულებენ. ეს ყველაფერი კარგად წარმოაჩენს ძალაუფლების არსსა და ბუნებას. მიუხედავად გამოვლენის ფორმებისა, ერთი რამ უცვლელი რჩება - ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილება მოიპოვოს ძალაუფლება.

არსებობს გარკვეული შტრიხები, კორელატები, რომლის მეშვეობითაც ძალაუფლება ავლენს საკუთარ ბუნებას. იგი ადამიანის ყოფიერების ფუნდამენტური მახასიათებელია.

ჩემი ნაშრომის მიზანია, განვიხილო ძალაუფლების დანაწილებისა და მასთან მიმართებაში, ინდივიდის თავისუფლების ხარისხი. რამდენად არის დაცული ადამიანი თანამედროვე საზოგადოებაში და ხომ არ არის კონფორმიზმის დონე იმდენად მაღალი,

რომ მან ინდივიდუალიზმის ნიველირების წინაშე დაგვაყენოს? უნდა იცხოვრონ თუ არა ადამიანებმა როგორც ცალკეულმა ინდივიდებმა, თუ როგორც სისტემის ნაწილმა? ეგებ ეს ადამიანის კოგნიტური შესაძლებლობების დაქვეითების

მცდელობაა? როგორია სისტემათაშორისი მიმართებები და რომელი ქვესისტემა დომინირებს პოლიტიკური „თამაშის წესების“ განსაზღვრაში.

საზოგადოება რისკის წინაშე დგას, რაც ძალაუფლების გადაჭარბებიდან გამომდინარეობს. ანუ იგულისხმება პოლიტიკური ძალაუფლების სულ უფრო და უფრო გაფართოება, როდესაც ინდივიდი მოკლებულია თავისუფალი არჩევანს, ნების თავისუფლების განხორციელების დამოუკიდებელ შესაძლებლობებს და საზოგადოების თითოეულ სეგმენტში აღწევს ძალაუფლების რეპრესიული რეჟიმი.

ამდენად, ძალაუფლების ფენომენის განხილვა აქტუალურია ყველა დროსა და სივრცეში, მიუხედავად გარემოებებისა.

ნაშრომში მთავარი აქცენტები კეთდება ძალაუფლების მნიშვნელობასა და მისი გამოვლენის ფორმებზე. ამ ფონზეც იკვეთება ერთი მხრივ, ადამიანის ქვეცნობიერი სწრაფვა, იქცეს სისტემის ნაწილად, ხოლო მეორე მხრივ, ძალაუფლებისა - განახორციელოს ტოტალურ კონტროლი.

ნაშრომის მიზანია ძალაუფლების ფარული მხარეების კვლევა, იმის გამოვლენა, რაც ზედაპირზე არ ჩანს. საინტერესო უნდა იყოს ძალაუფლების არა მარტო პოლიტიკურ ჭრილში განხილვა, არამედ მისი ყოფით დონეზე გაანალიზება. სწორედ ცხოვრებისეულ პრაქტიკაში ჩანს ყველაზე უკეთ, როგორ „აფათურებს ხელს“ ძალაუფლება იქ, სადაც სრულიად წარმოუდგენლად გვეჩვენება მისი არსებობა.

აღნიშნული მცდელობაა იმისა, რომ უკეთ გავერკვეთ, რატომ არის ადამიანი ძალაუფლების მოპოვების სურვილით შეპყრობილი, რეალურად რა დგას ამ ყველაფრის უკან და რა სახით არის შესაძლებელი, გამოვლინდეს ძალაუფლება ჩვენ მიმართ და ჩვენ მიერ.

თავი I. ძალაუფლების არსი

რა არის ძალაუფლება

(პლატონი, არისტოტელე, მაკიაველი, ჰობსი)

რა არის ძალაუფლება? ეს არის კითხვა, რომელზეც არ არსებობს ცალსახა პასუხი. რამდენადაც ვცდილობთ ამ ფენომენის ამოხსნას,მით უფრო ბუნდოვანი ხდება ის,მით მეტ გაუგებრობას ქმნის და სწორედ ესეც განსაზღვრავს მის როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებაში, ანდა ცალკეული ინდივიდის ცხოვრებაში. ვიდრე უშუალოდ ძალაუფლების ანალიზზე გადავიდოდე, მოკლედ განვიხილოთ პოლიტიკა, რომელიც საკითხის არსის უკეთ გარკვევაში დაგვეხმარება. იგი ერთ-ერთი ძირითადი გზამკვლევი იქნება, ანალიზის პროცესში. ამ მხრივ ჯერ კიდევ პლატონისა და არისტოტელეს მოსაზრებებია გასათვალისწინებელი. პლატონი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ: „პოლიტიკა ესაა ადამიანის მიერ ადამიანთა მართვის სფერო, რომლის საფუძველი ერთდროულად არის როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით რაციონალური და ინტუიციური ელემენტების ერთობლიობაა.“პოლიტიკაში ძალაუფლება, ჩვეულებრივ, მოიაზრება,როგორც ურთიერთობა. ეს არის უნარი და საშუალება, გავლენა მოახდინო სხვების ქცევაზე იმგვარი მოქმედებით, რაც მათ არჩევანს არ შეესაბამება. უფრო ვიწროდ რომ შევხედოთ, ძალაუფლება შეიძლება ასოცირდებოდეს უნართან - დასაჯოს ან დააჯილდოვოს ადამიანი. ეს უახლოვდება ძალას ან მანიპულაციას, „გავლენისაგან“ განსხვავებით, რომელიც ასევე მოიცავს რაციონალურ დარწმუნებას.პოლიტიკა,ძალაუფლების მოპოვების საშუალება,არ უნდა გავიგოთ ისე,რომ პოლიტიკის მიზანი მხოლოდ ძალაუფლების მოპოვება არის და მისი გამოყენება.ამ შემთხევაში,ძალაუფლებას პოლიტიკურ ასპარეზზე შესაძლოა,სხვადასხვა დატვირთვა ჰქონდეს.მანამდე კარგი იქნება, განვიხილიოთ სახელმწიფო,როგორც ძალაუფლების ძირითადი ბერკეტი. სოკრატე ამბობს: „მე მგონია სახელმწიფო წარმოიქმნება მაშინ,როდესაც თითოეულ ჩვენთაგანს არ შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა და საჭიროებს კიდევ მრავალ სახვა რაიმეს..ამრიგად ყოველი ადამიანი საშველად მოუხმობს ხან ერთს,ხან მეორეს და მათი დახმარებით ცდილობს ამა თუ იმ მოთხოვნილების

დაკმაყოფილებას.განიცდიან რა მრავალი სახის საჭიროებას,თავს იყრის ბევრი ადამიანი რათა ერთად იცხოვრონ და ერთმანეთს დახმარება გაუწიონ“.თუ გავაანალიზებთ ამ აზრს,კარგად დავინახავთ,რომ სწორედ მოთხოვნილებების არსებობა გახდა სახელმწიფოს შექმნის აუცილებელი პირობა და მხოლოდ ამის შემდეგ უკვე,მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო გახდა რაღაც ისეთის არსებობა,რაც ადამიანებს დაეხმარებოდა დაეკმაყოფილებინათ საკუთარი მოთხოვნილებები.თამამად შეიძლება ითქვას,რომ მოთხოვნილებათა მრავალგვარობამაც განსაზღვრა ძალაუფლების არსებობის აუცილებლობა.არ შეიძლება არ განვიხილოთ პლატონის „სახელმწიფოში’ განხილული მმართველობის ფორმები, ტიმოკრატიაზე,ანუ ქონებრივ ცენზზე დამყარებული რეჟიმი, ოლიგარქიაზე,ანუ უმცირესობის მმართველობა,დემოკრატია ხალხის მმართველობა და ტირანია ,ერთის მმართველობა საკუთარი სურვილის მიხედვით.რეალურად,ეს ფორმები შეიძლება ითქვას,პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისკენ არის მიმართული.სახელმწიფოს სჭირდება რაღაც მძლავრი,მყარი მექანიზმი,რითაც ძალაუფლებას უფრო მეტად სამართლიანს,დღევანდელი ტერმინი ,რომ გამოვიყენოთ,უფრო ლეგიტიმურს გახდის.მმართველობის ფორმები საშუალებას იძლევა,უფრო მკაფიოდ დავინახოთ ადამიანთა მისწრაფებები და მათი ინტერესები.ადამიანი ვერ იქნება იზოლირებული და თვითკმარი,მას ვიღაც სხვაც სჭირდება არსებობისთვის. ძალაუფლების ცნების გასაანალიზებლად უკეთესი იქნება პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებების შედარება.არისტოტელემ ნაშრომში “პოლიტიკა” განავითარა შეხედულება,რომ “ბუნებრივად თითოეულ ადამიანს ახასიათებს მისწრაფება სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისაკენ”,ეს ხაზს უსვამს იმას,რომ ძალაუფლების ქონა ადამიანის არსობრივი მახასიათებელია.თუ გვსურს ძალაუფლება რეალობაში დავინახოთ,იგი რამდენიმე გამოვლინების ერთობლიობად უნდა წარმოვსახოთ,ანუ ძალაუფლება ესაა უნარი მეორე მხარეს იძულებით რამე გააკეთებინო,რასაც იგი სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა.ამ თვალსაზრისით შეგვიძლია ვთქვათ,რომ ძალაუფლებას სამი სახე გააჩნია. პირველი, ესაა გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენის უნარი,მეორე ჩამოყალიბდეს პოლიტიკური დღის წესრიგი და თავიდან იქნეს აცილებული მიღებული

გადაწყვეტილებები და მესამე – პრიორიტეტების მანიპულაციების საშუალებით გაკონტროლდეს ადამიანთა შეხედულებები.მიუხედავად,ამ სამი სახისა, ძალაუფლება ემსახურება სხვებზე გავლენის მოხდენას,არ აქვს მნიშვნელობა, ეს პირდაპირ იქნება თუ ირიბად,ძალაუფლებას აქვს მიზანი,რომ სხვები მართოს და მათზე მოახდინოს მანიპულაცია.ყოველივე ეს კი მიმართულია იმისკენ,რომ ძალაუფლება ადამიანმა უფრო გააფართოვოს და არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ არსებულით.აქ კარგად ვლინდება ადამიანის ბუნება,რომ როცა ძალაუფლებას ხელთ ჩაიგდებს,ის ვერ სჯერდება არსებულს და სულ ცდილობს,რაიმე სხვა სახით,საშუალებებით გაზარდოს,გააფართოვოს.თუ არისტოტელეს პარალალურად პლატონის "სახელმწიფოს' მოვიყვანთ,ცხადი იქნება ის ფაქტი,რომ სადაც არის ძალაუფლება, იქ არსებობს წინააღმდეგობაც. ისევე როგორც არისტოტელეს ნააზრევის შემთხვევაში და ამავე დროს პლატონის,ღარიბებს აქვთ სურვილი მიელტვოდნენ ძალაუფლებისკენ და სწორედ ამ დროს იწყება "გაუთავებელი შუღლი,შეხლა-შემოხლა და ეს შინააშლილობა ბოლოს უღებს თვით მათაც და სახელმწიფოსაც". (პლატონი "სახელმწიფო გვ. 274) აქედან გამომდინარე ძალაუფლება საშიში ფენომენიცაა,რომელსაც ძალადობა ფიტავს და ასუსტებს,ამიტომ ძალაუფლება მალავს ამ ხასიათს და მხოლოდ ასე ხდება შესაძლებელი მისი ატანა.საინტერესო არის ის,რომ სხვებზე გავლენის მოხდენა გარკვეულწილად ძალადობა არის,ოღონდ შეფარული,კანონებით,თანამდებობებითა და სხვა ამგვარი კორელატებით.პოლიტიკაც არის შეფარული სივრცე,სადაც სხვისი დამორჩილება თითქოს კანონის მიხედვით სამართლიანია და მორალური,მაგრამ რეალურად ეს არ არის სწორი და ეთიკური ქმედება,რადგან ჩვენ სხვაზე ვცდილობთ ზეწოლას და ამგვარად მისი გადაწყვეტილებების მართვასაც.ეს არის შეჭრა ადამიანის პირად სივრცეში.თუმცა ძალაუფლება,ყველგან აღწევს და შესაძლოა, ყველანაირი ფორმით წარმოაჩინოს საკუთარი თავი.არისტოტელე ავითარებს აზრს,რომ „ადამიანი არის პოლიტიკური ცხოველი",ეს მოსაზრება კარგად გამოხატავს, ადამიანისა და პოლიტიკის სიახლოვეს,რომ ძალაუფლება არ არსებობს ადამიანების გარეშე და ადამიანები ვერ იარსებებენ მის გარეშე.ადამიანს აქვს ბუნებრივი მიდრეკილება ისწრაფვოდეს ძალაუფლებისკენ,ამას კი ყველაზე უკეთ

პოლიტიკაში ახერხებს.:“იმას,ვისაც შეუძლია გონებით მოვლენების წინასწარი განჭვრეტა,ის თავისი ბუნებით ხელმძღვანელი და მბრძანებელია,ხოლო ვისაც შეუძლია ამის განხორციელება ფიზიკური ძალებით,ის ქვეშევრდომია და მონური ბუნების მქონე,მონასა და ბატონს ერთი და იგივე ინტერესები ჰქონიათ“ (არისტოტელე „პოლიტიკა“ თბილისი 1995 ნაწილი 1 ,გვ 11) ადამიანში დევს როგორც ბატონობის,ისე პოლიტიკური ხელმძღვანელობის საწყისი,რასთან დაკავშირებითაც ძალიან კარგად გამოთქვამს აზრს არისტოტელე,“როდესაც სული ხელძღვანელობს სხეულს,მაშინ გვაქვს ბატონობის საწყისი,ხოლო როდესაც გონება ექვემდებარება ვნებებს,მაშინ პოლიტიკური და მეფური საწყისი“. (არისტოტელე „პოლიტიკა“ გვერდი 16)

მაკიაველი ამბობდა: “ყველაზე უარესი მაინც ისაა, რომ პარტიათა ბელადები და თავკაცები ოსტატურად ნიღბავენ თავიანთ ნამდვილ მიზნებს და მისწრაფებებს. ყველა ისინი ჭეშმარიტი თავისუფლების მტრები არიან, მიუხედავად ამისა, სწორედ თავისუფლების დაცვის საბაბით ძირს უთხრიან რესპუბლიკურ წყობას.ხოლო თუ გამარჯვებას მიაღწევენ, მათი ჯილდოა არა ის შეგნება, რომ თავიანთი მცდელობით განამტკიცონ თავისუფლება, არამედ ბილწი სიხარულის გრძნობა. ისინი ყველაზე მეტად კმაყოფილნი არიან იმით, რომ სძლიეს მოწინააღმდეგეებს და ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება და რაკი ხელისუფლების სათავეში მოექცევიან, არავითარი საშუალებების წინაშე აღარ იხევენ უკან, რაგინდ სასტიკი, რაგინდ ამორალური და უსამართლოც არ უნდა იყოს იგი. აი ამიტომაა, რომ გამარჯვებული პარტიის მიერ გამოცემული კანონები საყოველთაო სიკეთეს კი არ ისახავს მიზნად, არამედ პარტიის ბელადების პირად გამორჩენას. აი, რატომ დებენ ხელშეკრულებებს: არა იმიტომ, რომ გაადიდონ მამული, არამედ იმიტომ, რომ დააკმაყოფილონ მცირერიცხოვან თავკაცთა პატივმოყვარეობა”. (მაკიაველი „მთავარი“ გვ31)ეს სიტყვები დაწერილია მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს, თუმცა მთლიანად ესადაგება დღევანდელ მდგომარეობას.ფაქტები ჯიუტია და ადამიანი მუდამ გვევლინება იმ „პოლიტიკურ ცხოველად“,რომელიც ცდილობს პოლიტიკური .ძალაუფლებით დაიკმაყოფილოს პირადი ინტერესები,ვნებები.პოლიტიკა,როგორც ძალაუფლებისთვის ბრძოლის საშუალებას,მაკიაველი პირდაპირ თუ ირიბად ეხება და აღნიშნავს იმასაც,რომ

ძალაუფლებას არა მარტო მოპოვება, არამედ შენარჩუნებაც უნდა.თუ ადამიანმა არ იცის ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოლოგია,პოლიტიკური ძალაუფლება კარგავს თავის ფუნქციას და უმართავი ხდება.რა არის ძალაუფლება? ეს არის უნარი, ჩამოაყალიბო პირადი მიზნები და მოახდინო გავლენა სხვებზე, რათა ამ მიზნებს მიაღწიო. ეს არის შესაძლებლობა, შეინარჩუნო, რაც გაქვსს და მოახდინო გავლენა საკუთარი ინტერესების საპასუხოდ. მოკლედ რომ ვთქვათ, ძალაუფლება გულისხმობს გავლენას და კონტროლს მოვლენებზე.აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ,რომ ძალაუფლება საზოგადოების დომინანტური ჯგუფის ხელშია თავმოყრილი. დომინანტური ჯგუფი აწესებს სტანდარტებს, მოვლენებს თავისი პერსპექტივიდან აფასებს, თავის უპირატესობაშია დარწმუნებული, აკონტროლებს, ახორციელებს თავისივე შექმნილ კანონებს, სჯის ან წაახალისებს, მდიდრდება და ძლიერდება.მის გარეშე პოლიტიკა და პოლიტიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია, ვინაიდან თავად პოლიტიკა ძალაუფლებაა, ნებისმიერი ხერხის გამოყენებით სასურველი შედეგის მიღწევის უნარი.

როგორიც არ უნდა იყოს პოლიტიკური წყობა,იგი ყოველთვის ძალაუფლებაზეა დამოკიდებული.კაცობრიობის ისტორიის მანძილზე რამდენი სახელმწიფოებრივი წყობაც არსებობდა, ყველგან წამყვანი იყო ძალაუფლებისადმი ლტოლვა. ყოველთვის ყველა მმართველობის დროს ყველა ცდილობს თავის გავლენის ქვეშ ამყოფოს ყველაფერი.არ შეიძლება ძალაუფლებისთვის ბრძოლა,მხოლოდ ახირება იყოს.ეს არის აუხსნელი ფენომენი,რატომ აქვს ადამიანს სურვილი მისი გავლენის ქვეშ ამყოფოს სხვები და დაიმორჩილოს და ამავდროულად სიამოვნებას განიცდიდეს.ამის უკან ადamიანის ის თვისებები იმალება,რაც განაპირობებს ძალაუფლებისადმი ლტოლვას. შეიძლება ითქვას,ეს არის ბუნებრივი ცდუნება, რომელსაც ვერ უძლებს ადამიანი,მას სჭირდება ეს სივრცე, მიზანიმართულად ან ხანდახან გაუცნობიერებლად ცდილობს მოიპოვოს გავლენები და ამასთანავე ავტორიტეტიც.“პრესტიჟის გრძნობა“,არის ერთ-ერთი,რაც წარმართავს ადამიანის ინტერესებს და მის ქმედებებს.ეს ადამიანს აძლევს უპირატესობის საშუალებას.ძალაუფლების არსებობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ,ერთი ინდივიდის არსებობა,საჭიროა ერთზე მეტი,რათა ძალაუფლება არ იყოს რაღაც

თვითკმარი,რომელიც ვერ რეალიზდება და რჩება აბსტრაქტულ მდგომარეობაში.ის,ხომ უნდა ხორციელდებოდეს ვიღაცის მიერ, ვიღაცის მიმართ, რათა ერთი მეორის არსებობამ დაადასტუროს იგი.

მაქს ვებერი ძალაუფლების ფენომენის ანალიზისას, ყურადღებას ამახვილებს იმაზე,რომ ძალაუფლების ხარისხი უფრო ინსტიტუციის სისტემურ სტრუქტურირებაზეა დამოკიდებული,ვიდრე რომელიმე ქარიზმატული მმართველის პირად ნებაზე.თუმცა,სუბიექტური ინტენციის სრულად გამორიცხვა არ შეიძლება,პირიქით,სწორედ სუბიექტის სურვილი განაპირობებს ძალაუფლების განხორციელების სისტემურ ხასიათსაც.ჰობსიც ძალაუფლებრივ მიმართებებს სწორედ ნების ტერმინებში აღგვიწერს.იმისათვის,რომ ინდივიდთა ბუნებითი მდგომარეობა საზოგადოებრივ ფორმად ტრანსფორმირდეს, საჭიროა ძალა,რომელიც შიშის ქვეშ აიძულებდა ადამიანებს ერთობლივად ემოქმედათ საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. ამგვარი ძალა კი შეიძლება,მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში წარმოიქმნას,თუკი მოხერხდება მოაქალქეთა ნების ერთ საერთო ნებად გაერთიანება.საერთო ნების ფაქტიური და სიმბოლური გამომხატველი, ჰობსისთვის კი სუვერენია.დაახლოებით,მსგავს პრობლემას ვხვდებით რუსოსთანაც,თუმცა მისი პოზიცია ჰობსისგან განსხვავდება. რუსოსთვის მნიშვნელოვანია თავისუფლების უპირობო ღირებულების აღიარება.თუ იდივიდი,სუვერენის ნებისა და ინტერესების საწინააღმდეგოდ, თუნდაც განსხვავებულად იფიქრებს ან იმოქმედებს,კოლექტიური ძალაუფლების განხორციელების მექანიზმების მეშვეობით,მას აიძულებენ თავისუფლებას,ეს საკმაოდ უცნაური და ურთიერთსაპირისპირო დებულებაა.როგორ არის შესაძლებელი თავისუფლებისა და იძულების თანაარსებობა? სწორედ ეს არის ყველაზე უფრო პრობლემური კითხვა,რომელზეც პასუხი რუსოსთან არ მოგვეპოვება.

ძალაუფლება პოლისემიური და მრავალგანზომილებიანია,ის მოიცავს სხვადასხვა სფეროებს,მაგალითად ვებერისთვის პოლიტიკა არის ძალაუფლებრივ მიმართებებში და გადანაწილებაში მონაწილეობის სურვილი,სხვა დეფინიციის თანახმად,ძალაუფლება არის უნარი,აიძულო სხვა,გააკეთოს ის,რასაც იგი არ გააკეთებდა სხვა შემთხვევაში.ძალაუფლების რაობის ანალიზი,სხვადასხვა

ტრადიციებთან პოლემიკას მოითხოვს,როგორც კლასიკურთან ისე თანამედროვესთან.

ძალაუფლება, როგორც მანიპულირების საშუალება

რისთვის არსებობს სახელმწიფო იდეოლოგიები?თუ არა იმისთვის,რომ მმართველმა დახვეწილი მეთოდით, საზოგადოებას დააჯეროს არსებული ხელისუფლების სამართლიანობაში,მაგალითად კარლ მარქსს იდეოლოგიის ნიმუშად მიაჩნდა საბაზრო ეკონომიკა,რომელიც თითქოსდა ინდივიდუალური სარგებლისთვის იყოს ორიენტირებული,მაგრამ სინამდვილეში საკუთრების ეს ინსტიტუტი ორიენტირებული იყო ძალაუფლების რეალიზაციისკენ,რითაც ადამიანი ზრდიდა სამომავლო პერსპექტივებს.რა იყო ფაშიზმი და კომუნიზმი,თუ არა პოლიტიკური ძალაუფლების ტოტალური კონტროლი,რა არის ინდუსტრიული კაპიტალი,რომელიც იძლევა მატერიალური უსაფრთხოების გარანტიას,რაც წარმოადგენს კლასიკური ლიბერალიზმის რწმენას,მაგრამ სულაც არ ხორციელდება მოაქალაქეთა უმრავლესობის მოთხოვნილებები.ლიბერალიზმიც ხომ პრინციპში იდეოლოგია არის,რომელიც ძალადობის იარაღი ხდება,რომელსაც უმრავლესობა ღებულობს იძულებით ან ნებაყოფლობით.ამგვარად იდეოლოგიების მიზანი ხდება, საყოველთაო ბატონობის დამკვიდრება, ძალაუფლების მოხვეჭა და ამრიგად პრივილეგირებული მდგომარეობის შექმნა.ძალაუფლების,როგორც პოლიტიკური ფენომენის გამოვლენა არის ომი,რომელიც არის გაგრძლება პოლიტიკის სხვა საშუალებებით.ომი წარმოადგენს სამხედრო ძალადობას,რომელიც თითქოს მიზნად ისახავს დიპლომატიურ,იდეოლოგიური და ეკონომიკური ურთიერთობებს მოგვარებას,საყოველთაო მშვიდობის მოტანას როგორ კლაუზევიცი წერს : „ომი არის ძალადობის ერთადერთი აქტი,რათა მოწინააღმდეგე ვაიძულო შეასრულოს ჩემი ნება და ასევე,ომი არის ხელისუფლების / ძალადობის უკიდურესი გამოყენება“ (клаузевищ.к. „о.войне''2003) ომის მიზანი სინამდვილეში „მტრის ხატის“ შექმნა არის,რომლითაც ძალაუფლებას უფრო მეტად მასშტაბურს ხდიან,ილუზიურად კი თითქოს ძალაუფლება მშვიდობის სამსახურში დგას.თუ გადავხედავთ დღევანდელ ვითარებას,თვით თავდაცვის ინსტიტუტის არსებობის გარდა,ასევე ეკონომიკისა და

ჯანდაცვის ინსტიტუტიც ძალაუფლების გაზრდის მექანიზმია.თუ მოქალაქეს არ აქვს ფული,მას არ მკურნალობენ,მართალია არსებობს ჯამრთელობის დაზღვევაც,მაგრამ ესეც ისე არის შექმნილი,რომ დაზღვევა სრულად არ ანაზღაურდება, პაციენტს მაინც უწევს გარკვეული თანხის გადახადა.ეს ფული ჯანდაცვიდან გაედინება ეკონომიკაში,ეკონომიკა კი ძალაუფლების არა მხოლოდ არსებობის,არამედ შენარჩუნების მთავარი ბერკეტიც არის.ფულის კურსის დაცემაც ხშირად ხელოვნურად არი შექმნილი, ამ დროს ხალხი აშკარად გრძნობს,იმას რომ ძალაუფლება ზემოდან არის მართული.რაც შეეხება მასმედიას,როგორც ინფორმაციის გავრცელების საშუალება, არის ძალაუფლების ერთ-ერთი ნიშანი,“განა ვინმეს ინფორმირება მასზე ზეწოლას არ ნიშნავს? რა თქმა უნდა,რადგან ახალი მონაცემების მიწოდებით,ინფორმაცია პასუხისმგებელ პირთა შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებს ცვლის.“(ჟან მარი დენკენი - პოლიტიკური მეცნიერება - თბილისი 2007.გვ -242) ესეც ერთგვარი მანიპულაციაა,რათა შეცვალონ ხალხის განწყობა.ამის ნათელი მაგალითია პარტიების პიარ რეკლამების გაშუქება და ხალხში კეთილგანწყობის შექმნა.ძალაუფლების ფენომენის ღია არსებობა ვლინდება სასჯელაღსრულების დაწესებულებეში,სადაც პატიმრები იმყოფებიან ციხეში.ამით პოლიტიკა პოლიციის მეშვეობით ახორციელებს მათზე ძალაუფლებას,რამდენადაც მათ კანონით გათვალისიწინებული ვითარებით მიესაჯათ აქ ყოფნა.ესეც მექანიზმია,კონტოლირებადი გახადონ თავისუფლება მისჯილები.ყოველი გამოვლენა ძალაუფლებისა,ხაზს უსვამს ადამიანის ბუნებას და მის ბუნებრივ მიდრეკილებას, ზეგავლენის ქვეშ ამყოფოს სხვები.აქ ძალიან კარგად ავლენს თავს, პლატონის აზრი,რომელიც დემოკრატიას მმართველობის ნეგატიურ ფორმად მიიჩნევდა,ჩნდება მიმზიდველი მრავალფეროვნება,თითქოს ყველაფერი იდეალურია,მაგრამ რეალურად ეს ხალხის მმართველობა არის პატივმოყვარეთა მმართველობა.ხალხი დემოკრატიის იდეის არსებობით იჯერებს,რომ ცხოვრობს დემოკრატიულ სახელმწიფოში,სადაც ის,მართავს,მაგრამ რეალურად მართულია.შეიძლება ითქვას,დემოკრატიაც ძალაუფლების მოპოვების შენიღბული საშუალება არის და სწორედ მასში იმალება, ისეთი ფარული დეტალები,რაც

კონტროლირებადს,მაგრამ არაპროგნოზირებადსა სახიფათოს ხდის საზოგადოებრივ პროცესს.

მანიპულაციის სხვადასხვა ფორმები არსებობს,მათ შორის ექსპორტი და იმპორტი,კრედიტების გაცემა ბანკებში, კორუფცია, ქრთამიც ძალაუფლების გამოვლენის ფორმებია,გარდა ამისა ტერორიზმი,აქ უკვე ძალაუფლება ძალადობად წარმოგვიდგება.მართალია ტერორიზმს თვლიან აპოლიტიკურ მოვლენად,მაგრამ „თუ მას განვიხილავთ არა დანაშაულის,არამედ ომის კონტექსთში,მაშინ იღებს პოლიტიკურ სახეს,რადგან პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ტერორიზმი ძალისმიერ ძალაუფლებას იყენებს“ “ მამუკა ბიჭაშვილი „ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიაში“ 2001 წ) თუ გადავხედავთ ტერორისტულ აფეთქებებსს,ყველაზე ხშირად პოლიტიკური მოთხოვნების გასაკეთებლად აჰყავთ ბიზნესმენები ან ოფიციალური პირები.ძალზე ზოგადი სახით,ტერორიზმს ყოფენ რევოლუციურ ტერორიზმად,რომელიც შიდა მტრების მიერ ახორციელებს ძალადობრივ საქმიანობას ხელისუფლების შესაცვლელად,მეორე არის რეპრესიიული ტერორიზმი,რომელსაც სახელმწიფო მიმართავს საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ,რათა აბსოლიტურ მორჩილებას მიაღწიოს და მესამე ნარკოტერორიზმი,რომელიც წარმოადგენს ტერორიზმის უცნაურ ჰიბრიდს.სახელმწიფო აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს.სახელმწიფო საიდუმლო ორგანიზაციებისა და აგენტების საშუალებით თვალყურს ადევნებს მოქალაქეთა საქმიანობას,თუნდაც დავიწყოთ სამუშაო ადგილების შექმნის საკითხიდან,კარგად ჟღერს ის,რომ სახელმწიფო მოქალაქეებს უქმნის სამუშაო პირობებს,მაგრამ რელურად ის მათზე ძალაუფლებას ახორციელებს,ამით მას ხალხი ხელში „უჭირავს“, “აკონტროლებს“. რეალურად აქაც კი არ სრულდება ხალხის ნება,ამით ის დამოკიდებული ხდება ხელისუფლებაზე,რომელიც აძლევს სამუშაო ანაზღაურებას.ესეც ერთგვარი ბრძოლა არის ძალაუფლებისთვის.

კანონი და ლეგიტიმაცია

ვინ მართავს ადამიანი თუ კანონი?

ამრიგად არისტოტელეს თქმისა არ იყოს, პოლიტიკა კი არ ქმნის ადამიანებს, არამედ მათ იყენებს ისე, როგორც ბუნებას შეუქმნია“ (არისტოტელე 1 ნაწილი გვ.25) არისტოტელემ ამით აღნიშნა ის, რომ ადამიანები მრავალგვარ ურთერთობებში არიან ერთმანეთთან, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ურთერთობებში პოლიტიკური ურთერთობებია, ეს მასში „ჩადებულია“, თუმცა პოლიტიკური მართვა შეუძლებელია ლეგიტიმურობის გარეშე, რომელზეც საუბარი აქვს მაქს ვებერს, ყოველი საზოგადოება ეყრდნობა ძალაუფლებას, როგორც უნარი, მიაღწიო სასურველ მიზანს სხვათა წინააღმდეგობის მიუხედავად (Weber, 1978; I გამოცემა 1921) ძალაუფლების ლეგიტიმურობა ასახავს მმართველსა და მართულს შორის თანხმობის ხარისხს.“ლეგიტიმური ბატონობა არის ძალაუფლების ისეთი ტიპი,რომლის კანონიერება მომდინარეობს იმ პირთა თავისუფალი ნებიდან,რომელთა მიმართაც ეს ბატონობა ხორციელდება“.(მაქს ვებერი „ხარიზმული ბატონობა“ თბ.1995)ამრიგად მაქს ვებერი მივიდა დასკვნამდე,რომ ხელისუფლების განკარგულებისადმი მორჩილება არ ემყარება მხოლოდ იძულების წესების გამოყენებას.იგი შეიძლება ემყარებოდეს მეტად განსხვავებულ მოტივებს,დაწყებული ჩვეულებებით,სარგებლის ინტერესით და დამთავრებული წინაპართა ნაანდერძევისადმი პატივისცემით.ჩვევების და ტრადიციების დაცვაც კი ძალაუფლების გამოხატულებაა,ეს აიძულებს ყველას იშრომოს.სწორედ ეს წარმოადგენს ვებერთან ტრადიციულ მმართველობას,ხოლო ამის გვერდით განიხილავს ქარიზმატულ ძალაუფლებასაც,რომელიც ეფუძნება წარმოდგენას,რომ მოცემული კანონი ან ადამიანთა მოცემული ჯგუფი ფლობს განსაკუთრებულ უფლებას მართოს ადამიანები,აქ საგულისხმოა ის,რომ მმართველი ძალაუფლებას არ ახორციელებს პოლიტიკაში მუქარით,არამედ ატყვევებს ხალხს ძალაუფლების დაუოკებელი ძალით.ხოლო რაც შეეხება რაციონალურ მმართველობას,ეს არის კანონით განხორციელებული ძალაუფლება,რომელიც თითქოსდა ემსახურება სამართლის არსებობას.ეს ყველაფერი კი, წარმოადგენს ტოტალურ კონტროლს,სახელმწიფო მთლიანად აკონტროლებს საზოგადოების ცხოვრებაში ყველა სფეროს.

“ლეგიტიმურობა დამოკიდებულია არა მარტო ხელისუფლების მოპოვების გზის კანონიერებაზე, არამედ იმაზეც, თუ რამდენად მისაღებია ეს ხელისუფლება საზოგადოებისთვის.გავიაზროთ ის ვითარება,როცა ადამიანი იმყოფებოდა ბუნებრივ მდგომარეობაში,აქ შეიძლება ადამიანს ძალაუფლება ჰქონდეს მეორე ადამიანის მიმართ,მაგრამ „თუნდაც ბოროტმოქმედი ჩაუვარდეს ხელში,კაცს არ აქვს მის მიმართ აბსოლიტური ან თვითნებური ძალაუფელბა“,(თომას ჰობსი „სახელმწიფოს მიზეზებზე,წარმოშობასა და განსაძღვრებაზე“ , გვ.258) ეს ყოველივე ხომ არ არის დაყვანილი ვებერისეული სოციალური მოქმედების ორ ტიპზე : მიზანრაციონალური და ღირებულებითრაციონალურ ქმედებაზე.მაშასადამე,არსებობს ლეგიტიმური მიმართების ორი ბაზისი: გრძნობაზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა და გონებაზე დაფუძნებული ლეგიტიმურობა (მაქს ვებერი- „ხარიზმატული ბატონობა“) სამართალი ლეგიტიმურია, თუ იგი არის შესასრულებლად სავალდებულო. სამართალს ახასიათებს ფორმალური და მატერიალური ლეგიტიმურობა. ფორმალური ლეგიტიმურობა ნიშნავს, რომ სამართალი დადგენილია სათანადო პროცედურების დაცვით. მატერიალური ლეგიტიმურობა მოითხოვს რომ სამართალი უნდა იყოს ,,მართალი“. ლეგალურობა სახელმწიფო ხელისუფლების ფორმალურ–ორგანიზაციული პრინციპია. ლეგალურია ხელისუფლება რომლის საქმიანობაც ხორციელდება კანონის საფუძველზე.

კანონი არის პოლიტიკური ძალაუფლების მთავარი მექანიზმი,რასთან დაკავშირებითაც ლოკი შენიშნავს ერთ რამეს „ პოლიტიკურ ძალაუფლებად კი ვთვლი კანონების შექმნის უფლებას,რაც მოიცავს სიკვდილით დასჯას და,მასთან ერთად ყველა უფრო ნაკლებ სასჯელს“ (ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ) ამით ავტორი ხაზს უსვამს კანონების მნიშვნელობას პოლიტიკური ძალაუფლების შენარჩუნების საკითხში.რა არის კანონების არსებობა სახელმწიფოში თუ არა ხალხის მართვის მექანიზმი,მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს კანონმდებლობას და ამით იგი ავტომატურად მართული ხდება .კანონი განსაზღვრავს ძალაუფლების გამოყენების წესს.კანონით მინიჭებული ძალაუფლების გამოყენება ექვემდებარება კანონის უზენაესობას და რელევანტურია აგრეთვე ცალკეული ადამიანებისა და კერძო პირების ურთიერთობებშიც.კანონის უზენესობის მეშვეობით ხელისუფალი

ახორციელებს მართვას და სწორედ აქ ისმის კითხვა,ვინ მართავს ადამიანი თუ კანონი? რეალურად ადამიანი,რომელიც იყენებს კანონებს სხვათა სამართავად.კანონებთან დაკავშირებით პლატონი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას,“ყოველი ხელისუფლება ცდილობს მისთვის ხელსაყრელი კანონები ჰქონდეს :დემოკრატია დემოკრატიულ კანონებს აქვეყნებს,ტირანია - ტირანულს და ასე შემდეგ.კამონების გამოქვეყნების შემდეგ კი აცხადებენ,რომ ქვეშვერდომისთვის სამართლიანია ის,რაც ხელსაყრელია ხელისუფალთათვის,და ვინც კანონებს არღვევს ისინი სასტიკად სჯიან მას,როგორც კანონერებისა და სამართლიანობის ხელმყოფს“.რეალურად კანონი არ უზენაესობს,თითქოს მას აქვს ფორმალური მხარე და ამგვარად შეფარულად და თან გაცხადებულად ძალაუფლება ხორციელდება. თუ მაკიაველის სიტყვებით შევაჯამებთ აღნიშნულს, ასეთ სურათს მივიღებთ: ,,ამრიგად, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბრძოლის ორი სახე: ერთია ბრძოლა კანონების, ხოლო მეორე – ძალის მეშვეობით.“ (მაკიაველი „მთავარი“ 9, 182-183) ძალაუფლების საფუძველი დევს კანონებში,როდის არის მმართველობა უკეთესი ; როდესაც მართავენ ადამიანები თუ კანონები?ეს არ ითვალისწინებს მხოლოდ იმას ვინ მართავს,არამედ იმასაც თუ როგორ მართავს.საკითხი ასე დგას „ადამიანთა მიერ მართვა თუ კანონის მიერ მართვა?“ეს კითხვა მმართველობის ფორმებს კი არ ეხება,არამედ იმას,თუ როგორ ხორციელდება მმართველობა.კანონთა უზენაესობის პრიცნიპები გატარებულია ორ ავტორიტეტულ ტექსტში,პირველი ეკუთვნის პლატონს,ხოლო მეორე არისტოტელეს.პლატონი წერს: „მე,რომ მათ კანონთა მსახურები ვუწოდე,ეს იმიტომ არ მომხდარა,რომ რაღაც ახალი ფრაზის გამოგონება მინდოდა.მე უბრალოდ მჯერა,რომ სახელმწიფოს წარმატებაც და წარუმატებლობაც ყველზე მეტად ამაზეა დამოკიდებული“,ამაზეა დამოკიდებული არა მარტო ეს,არამედ ის,თუ როგორ ეცდება ძალაუფლება ხალხზე განახორციელოს ხელისუფალმა,არისტოტელე „პოლიტიკაში“ აღნიშნავს : „რა უფრო მიზანშეწონილია,საუკეთესო კაცმა გვმართოს თუ საუკეთესო კანონებმა’,ყოველ ადამიანს გრძნობები სძლევს,კანონები ამისგან თავისუფალნი არიან“.თუმცა პლატონს არ ეთანხმება კარლ პოპერი,რომელიც თვლის,რომ,არც კანონებმა და არც ადამიანებმა უნდა გვმართონ,არამედ საუკეთესო ინსტიტუტებმა.თუმცა პლატონის

კითხვაზე ცალსახა პასუხის გაცემა არასწორი იქნება,რადგან ამ შემთხვევაში გააჩნია სიტუაციას,რიგ შემთხვევაში საჭიროა კანონი,რიგ შემთხვევაში ადამიანი და ასევე ინსტუტუციაც.შეიძლება ითქვას,სამივე ერთად საჭიროა და შეთანხმებულად,კომპლექსურად,კონსტრუქციულად სამივე ინსტრუმენტი თუ სწორად იქნება გამოყენებული,უფრო პროდუქტიული იქნება სახელმწიფოს მართვა.ამ ნაწილს თუ დავუკავშირებთ,ჟან ჟაკ რუსოს „საზოგადოებრივ ხელშეკრულებას“,სადაც წერს,რომ „კანონთა მოუქნელობამ,რაც მოვლენებთან მათ მისადაგებას უშლის ხელს ზოგიერთ შემთხვევაში,როცა კრიზისის ჟამი დგება,შეიძლება დამღუპველი სახე მიიღოს,სახელმწიფოს ბოლო მოუღოს კიდეც.წესრიგი და დაყოვნებული ფორმები გარკვეულ დროს ითხოვს,რასაც ზოგჯერ მოვლენები არ ითმენს.შესაძლოა თავი იჩინოს მრავალმა ისეთმა შემთხვევამ,რომელთა გათვალისწინება კანონმდებელს არ შეეძლო.ამდენად ყველაფრის გათვალისწინება რომ შეუძლებელია,ეს არის ყველაზე საჭირო წინადხედულება.“ პლატონის მიერ დასმულ კითხვას,გარკვეულ ნაწილში რუსოც პასუხობს,რუსო არ აკნინებს კანონის მნიშვნელობას,მაგრამ ხაზს უსვამს,რომ მხოლოდ კანონზე დაყრდნობა სახიფათოა,ფიზიკურად შეუძლებელია მოვლენების წინასწარ აბსოლუტური განსაზღვრა.კანონი სიტუაციურია და არ შეიძლება ნებმისმიერ ვითარებას,ნებმისმიერ დროს მიესადაგოს.კანონი არ არის უპირობო გარანტია იმისა,რომ სახელმწიფოში მუდამ წესრიგი იქნება.ის არის ინსტრუმენტი,რომელიც ცდილობს მაქსიმალურად დაამყაროს ჰარმონია და მინიმუმდე დაიყვანოს ის საშიშროებები,რომელმაც შეიძლება დროთა განმავლობაში თავი იჩინოს.

მაგრამ დღეს ფაქტია,რომ კანონი უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს.შეგვიძლია ვთქვათ,რომ კანონი არის მთავარი ხელშეკრულება ხელისუფალსა და ხალხს შორის,ეს არის კანონიერი,მაგრამ რეალურად რა იმალება ამის მიღმა?მართლაც საინტერესოა,ვინ გვმართვას ადამიანები თუ კანონები.“საჯარო ძალაუფლება ყველა საზოგადოებაში აღემატება ყველა სულიერს, ვინც ამ საზოგადოებაში ცხოვრობს და ამ ძალაუფლების ძირითადი სარგებელი ისაა, შექმნას კანონები ყველა იმისათვის, ვინც მისი ქვეშევრდომია. ამ კანონებს უნდა

დავემორჩილოთ, თუ რაიმე მიზეზის აუცილებლობა არ გვიჩვენებს, რომ გონებისა თუ ღმერთის კანონი საპირისპიროს გვაიძულებს“.(ჰუკერი „ეკლესიური ერთობის კანონთა შესახებ“)

თავი II. ძალაუფლება,როგორც თვითდამკვიდრების საშუალება

პოლიტიკური ძალაუფლების ფენომენი (მიშელ ფუკო)

პოლიტიკური პარადიგმა ღია და ფარული ძალაუფლებისგან შედგება,ის სწორედ ამგვარად ავლენს თავის არსსა და ბუნებას.ადამიანებს სჭირდებათ ძალაუფლება,რათა თავი უფრო მყარად იგრძნონ და თავიანთ მოქმედებებს ლეგიტიმური ხასიათი მიეცეს.

საინტერესოა,როგორ უყურებს თანამედროვეობა პოლიტიკურ ძალაუფლებას და მის მნიშვნელობას საზოგადოებაში.რისთვის არის საჭირო პოლიტიკური ძალაუფლება და მით უფრო სად იმალება მისი ფარული მხარეები,რომელიც უფრო საშიშია ვიდრე ნათლად გამოხატული ძალაუფლების ფორმები,რომელთან პროგნოზი უფრო ადვილია და ნაკლებად საფრთხის შემცველი.ხოლო ტოტალურობის სინდრომი იმალება სწორედ იქ,სადაც არაფერი ჩანს და ყველაზე კარგად „აფათურებს ხელს“ პოლიტიკური ძალაუფლება.ამ მხრივ საინტერესოა განვიხილოთ მიშელ ფუკოს მოსაზრებები და დავაკავშიროთ თანამედროვეობას,რადგან შეუძლებელია,გავერკვეთ მის დამოკიდებულებაში თუ დღევანდელი გადასახედიდან არ შევხედეთ მის მიდგომებს.

პოლ_მიშელ ფუკო დაიბადა 1926 წლის 15 ოქტომბერს ქ.პუატიეში, პარიზის სამხრეთით, 250 კმ. დაშორებით. მისი მშობლები მდიდარი ბურჟუებია ქალაქში, რომელიც არის ფრანგული პროვინციალიზმის განსახიერება. სკოლაში პატარა მიშელი სუსტი და ახლომხედველი იყო, რის გამოც თანაკლასელებმა მალევე შეარქვეს პოლიმიშელი (ცირკის კუზიანი მასხარას ფრანგული ექვივალენტი). ათი წლის პოლ-მიშელი ხედავს თუ როგორ დახეტიალებენ პუატიეს ქუჩებში ესპანეთის სამოქალაქო ომის პირველი ლტოლვილები. სამი წლის შემდეგ გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, დაიწყო მეორე მსოფლიო ომი. ოჯახი უკანასკნელად დაბრუნდა ლა ბოლიდან, ზაფხულის არდადაგების შემდეგ. ფუკო 14 წლის გახდა, როდესაც ნაცისტები შეიჭრნენ საფრანგეთში, ხოლო ფრანგების არმია უწესრიგოდ იხევდა უკან. პუატიეც კი მოიცვა შიშმა. დოქტორი ფუკო ხელმძღვანელობს სასწრაფო დახმარების რაზმების ორგანიზებას პუატიეში. მისი მეუღლე შეშფოთებული კი იყო, მაგრამ ირწმუნებოდა, რომ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს. პატარა პოლ-

მიშლს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის ფორმაში დადიოდა, ყველა ეს მოვლენა ნამეტანი აფორიაქებდა. იმ ზაფხულზე გამოცდის შედეგები საზიზღარი იყო. დედის მცდელობით ის გადაიყვანეს სხვა სკოლაში.ეს მოვლენა, ან მაგალითი გამეორდება მის ცხოვრებაში. ფუკო ჩაიჭრება მნიშვნელოვან გამოცდებზე, მაგრამ ხელმეორედ გასვლისას ბრწყინვალე შედეგს აჩვენებს. ოცი წლის ფუკო, მეორე ცდით ჩაირიცხება პარიზის უმაღლეს ნორმალურ სკოლაში. ეს იყო ინტელექტუალური ორანჟერეა, სადაც ტრიალებდა ფრანგი სტუდენტების ნაღები ნაწილი. აქ სტუდენტობა ნიშნავს, რომ სამუდამოდ განეკუთვნები უმაღლეს კასტას. სტანდარტებთან შესაბამისობა არასოდეს ყოფილა ტიპიური საფრანგეთისათვის და სუპერინტელექტუალური ,,სტუდენტები" ხშირად საკმაოდ უცნაურები იყვნენ. მაგრამ აქაც კი, ფუკო ძალიან მალე მკვეთრად განსხვავდებოდა სხვებისაგან. ამ დროისათვის სკოლის ჩუმი და უწყინარი მოწაფე გადაიქცა უკიდურესად ფეთქებად ადამიანად. ერთი წლით, ან ოდნავ მეტით ადრე მან თანდათანობით გააცნობიერა თავისი არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია, რომ ის ჰომოსექსუალისტია.შეიძლება ითქვას,რომ ბიოგრაფიამ განსაზღვრა ფუკოს ინტერესებიც.

მიშელ ფუკო შეიძლება ვთქვათ, რომ, ის ავტორია, ვინც ყველაზე რადიკალურად და ,,პროვოკაციულად" გამოხატა პოლიტიკური ძალაუფლების მიღმა არსებული რეალობა.ფუკო მრავალ რაიმეში ნიცშეს ფილოსოფიის მძლავრ გავლენას განიცდის).ფუკო შეეცადა ეჩვენებინა, რომ სწორედ იქ, სადაც ყველაზე ხმამაღლა ქადაგებენ სიკეთესა და სიწმინდეს, ადამიანებზე მანიპულაციის ყველაზე სასტიკი მექანიზმები და სტრატეგიები იმალება.

პოლიტიკაში ძალაუფლება ისეთი გარანტია არის პოლიტიკური ურთერთობებისა ,როგორც დეკარტესთან აზროვნება არსებობისა.თუ ბეკონი ამბობდა,რომ „ცოდნა ძალაა" ფუკოსთან ეს ერთიანია.ის არის ის მოაზროვნე,რომელმაც ძალაუფლების ინსტრუმენტები დაგვანახა,"თუ რატომ კი არ ვართ პოლიტიკით დაინტერესებული,არამედ რატომ არ უნდა ვიყოთ დაინტერესებულნი,"რადგან ყველანაირი საზოგადოებრივი ურთიერთობა თითქმის ეფუძნება პოლიტიკურ ძალაუფლებას ფარულად თუ ღიად.ციხეებში,ფაბრიკებში,სკოლებში,ჯარში, ადამიანი ემორჩილება დისციპლინას

და იმყოფება მუდმივი ყურადღების,თვალთვალის ქვეშ.საჯაროდ დასჯა იმ სასამართლო პროცედურის ლოგიკური დასასრულია, რომელსაც წინ ინკვიზიცია მიუძღვის. ინდივიდებზე „ზედამხედველობა“ კი გამომცდელი პროცედურებითა და დისციპლინური მეთოდებით ნასაზრდოები სასამართლოს ბუნებრივი გაგრძელებაა. განა გასაოცარია, მრავალკამერიანი ციხე, თავისი რეგულარული ჩანაწერების სისტემებითა და იძულებითი სამუშაოებით, თავისი ზედამხედველობის ინსტანციებით, შეფასებებით და სპეციალისტებით, რომლებიც მოსამართლის ფუნქციებს იღებენ და ამრავლებენ, დასჯის თანამედროვე ინსტრუმენტად რომ იქცა? ნუთუ რამე გასაკვირია იმაში, რომ ციხეები აგრერიგად გვანან ქარხნებს, სკოლებს,ყაზარმებსა და საავადმყოფოებს?ციხე ერთადერთი ადგილია, სადაც ძალაუფლებას უკიდურეს განზომილებებში, შიშველ მდგომარეობაში შეუძლია თავის გამოვლენა და, ამავე დროს, თავის გამართლება, როგორც მორალური ძალის. რეალურად ამ ციხეებშიც პატიმრების მიმართ ხორციელდება ძალაუფლება.ძალაუფლება გაცილებით სიღრმეშია ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ. როცა პატიმრები ალაპარაკდნენ, მათ ციხის, სასჯელაღსრულების და სამართლიანობის შესახებ საკუთარი თეორია აღმოაჩნდათ. ძალაუფლების წინააღმდეგ მიმართული ამ სახის დისკურსი, პატიმრების თუ დამნაშავეებად წოდებულთა ეს კონტრ-დისკურსი არის სწორედ მთავარი, და არა დამნაშავეობის შესახებ თეორია. ციხეების ეს პრობლემა ლოკალური და მარგინალურია, რადგან ყოველწლიურად ციხეებში 100 000 ადამიანზე მეტი არ ხვდება; მთლიანობაში დღეს საფრანგეთში შეიძლება 300 000 ან 400 000 ადამიანია, ვინც ოდესმე ციხეში მოხვედრილა. და მაინც, ეს მარგინალური პრობლემა თავზარს სცემს ხალხს. ძალიან მიკვირდა, როცა ვხედავდი, რომ ციხეების პრობლემით ამდენი ადამიანი ინტერესდებოდა, რომელიც თვითონ არ იყო ციხეში; და როგორ ისმენდნენ ისინი პატიმართა იმ დისკურსს, რომელიც არ იყო მათზე გათვლილი. რითი აიხსნება ეს? იქნებ იმით, რომ, ზოგადად, სასჯელაღსრულების სისტემა ის ფორმაა, რომელშიც ძალაუფლება, როგორც ძალაუფლება, ყველაზე აშკარად ავლენს თავს? ვიღაცის ციხეში ჩასმა და დატოვება, მისთვის საკვების, გათბობის მოკლება, გარეთ გასვლის, სიყვარულის უფლების წართმევა და ა.შ., ეს ყველაფერი ძალაუფლების ყველაზე მძვინვარე სახის გამოვლინებაა, რაც კი

შეიძლება წარმოვიდგინოთ. ერთხელ, ერთ პატიმარ ქალს ველაპარაკებოდი, და მან თქვა: "წარმოგიდგენიათ, მე, ორმოცი წლის ქალი, ერთ მშვენიერ დღეს ციხეში იმით დამსაჯეს, რომ ცარიელ პურზე დამსვეს." რაც ამ ამბავში გამაოგნებელია, არის არა მარტო ძალაუფლების განხორციელების ბავშვურობა, არამედ ის ცინიზმიც, რომლითაც იგი ახორციელებს თავს, როგორც ძალაუფლება, ყველაზე არქაული, მიამიტური და ინფანტილური ფორმით. ცარიელ წყალზე და პურზე ჯდომა რაცაა, ბავშვობაში ვსწავლობთ. ციხე ერთადერთი ადგილია, სადაც ძალაუფლებას უკიდურეს განზომილებებში, შიშველ მდგომარეობაში შეუძლია თავის გამოვლენა და, ამავე დროს, თავის გამართლება, როგორც მორალური ძალის. "დიახაც, მე მაქვს მიზეზი დასასჯელად, რადგან, მოგეხსენებათ, ცუდია ქურდობა, კაცისკვლა…" ციხეებში განსაცვიფრებელი სწორედ ისაა, რომ, აქ მაინც, ძალაუფლება არ იმალება, არ ინიღბება; რომ იგი, სრულიად ცინიკურად, თავს ავლენს, როგორც უმცირეს დეტალებში გაწერილი ტირანია, და რომ, ამავე დროს, იგი სუფთაა, სრულიად "გამართლებულია", რამდენადაც მას თავისუფლად შეუძლია საკუთარი თავის ფორმულირება მისი არსებობის მომცველი მორალის ფარგლებში: ამგვარად, მისი უხეში ტირანია წარმოგვიდგება როგორც სიკეთის გასხივოსნებული ბატონობა ბოროტებაზე.

ეს სირთულე, ჩვენი უძლურება, ვიპოვოთ ბრძოლის ადეკვატური ფორმები, იმით ხომ არაა გამოწვეული, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, რა არის ძალაუფლება? ბოლოსდაბოლოს, XIX საუკუნემდე მოგვიწია დაცდა, რათა შეგვეტყო, თუ რას წარმოადგენდა ექსპლუატაცია, მაგრამ ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა არის ძალაუფლება და ალბათ ვერც მარქსი და ვერც ფროიდი ვერ დაგვეხმარება იმ ყოვლად იდუმალი, ხან ხილული და ხანაც უხილავი, ერთდროულად ჩვენს წინაშე არსებული და დამალული ფენომენის სრულად გასაგებად, რასაც ძალაუფლება ეწოდება. სახელმწიფოს შესახებ თეორიით, სახელმწიფო აპარატის ტრადიციული ანალიზით ნამდვილად არ ამოიწურება ძალაუფლების განხორციელებისა და ფუნქციონირების სფერო. დღესდღეობით ყველაზე დიდი გამოცანაა: ვინ ახორციელებს ძალაუფლებას და სად ხორციელდება იგი? ამჟამად, ჩვენ მიახლოებით მაინც ვიცით, ვინ ეწევა ექსპლუატაციას, სად მიდის მოგება, ვის ხელში გადის ის და სად ხდება მისი

რეინვესტირება, მაშინ როცა ძალაუფლება… მშვენივრად ვიცით, რომ ხელისუფალნი არ არიან ისინი, ვინც ფლობენ ძალაუფლებას. მაგრამ “მმართველი კლასის” ცნება არც საკმარისად ნათელი და არც საკმარისად დამუშავებულია. “ბატონობა”, “ხელმძღვანელობა”, “მართვა”, “სახელისუფლებო ჯგუფი”, “სახელმწიფო აპარატი” და ა.შ., ეს ხომ ცნებათა მთელი თამაშია, რაც ჯერ კიდევ გასაანალიზებელია. ამასთავე, საჭიროა იმის ცოდნა, თუ სადამდე მიდის ძალაუფლება, რა ფორმებით და იერარქიის, კონტროლის, ზედამხედველობის, აკრძალვების, იძულების რომელ, ხშირად უმცირეს, ინსტანციებამდე წვდება იგი. ყველგან, სადაც არის ძალაუფლება, ხორციელდება ძალაუფლება. საკუთრივ პიროვნულად მისი მფლობელი არავინაა; და მაინც, იგი ყოველთვის ხორციელდება რაღაც მიმართულებით და ხალხის ერთ ნაწილს აქეთ მხარეს ტოვებს, მეორე ნაწილს კი – იქით; არ ვიცით, ზუსტად ვის აქვს ძალაუფლება, მაგრამ ყოველთვის ძალიან კარგად ვიცით, ვის არ აქვს იგი. რაც შეეხება თქვენ მიერ დასმულ ამ პრობლემას: კარგად ვხედავთ, ვინ ეწევა ექსპლუატაციას, ვინ იღებს მოგებას, ვინ მართავს, მაგრამ ძალაუფლება ისევ რჩება რაღაც ძალიან ბუნდოვან მოვლენად. მე შემდეგ ჰიპოთეზას წამოვაყენებდი: თვით მარქსიზმმაც კი და, პირველ რიგში სწორედ მან, განსაზღვრა ეს პრობლემა ინტერესის კუთხით (ძალაუფლება უპყრია საკუთარი გამორჩენის ინტერესებით განსაზღვრულ გაბატონებულ კლასს). ამავე დროს, ვაწყდებით შემდეგ შეკითხვას: როგორ ხდება, რომ ხალხი, ვისაც არ აქვს ძალაუფლების მიმართ გამოკვეთილი ინტერესი, მიყვება, ეტმასნება ძალაუფლებას და მისი პატარა ნაგლეჯისთვის მათხოვრობს? შეიძლება ეს იმის გამო ხდება, რომ, როგორც ეკონომიკური, ისე არაცნობიერი ინვესტიციების კუთხით, გამორჩენის ინტერესი არ არის საბოლოო სიტყვა; რომ არსებობს სურვილის ინვესტიციებიც, რომლებიც ნათელს ხდიან, რომ, საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია გვსურდეს არა ჩვენი ინტერესის საწინააღმდეგოდ (რადგან ინტერესი ყოველთვის თანმდევია და იქ იმყოფება, სადაც მას სურვილი ადგილს მიუჩენს), არამედ უფრო ღრმად და ბუნდოვნად, ვიდრე ეს ამ ინტერესს შეესაბამება.არსებობს სურვილის ინვესტიციები, რომლებიც ან აყალიბებენ ან ფანტავენ ძალაუფლებას, და რომლებიც ახერხებენ, რომ ძალაუფლება ერთდროულად მოიპოვებოდეს როგორც ერთი ჩვეულებრივი პოლიციელის, ისე პრემიერ-მინისტრის დონეზეც, და რომ,

არსებითად, თითქმის არანაირი განსხვავება არ არსებობდეს იმ ძალაუფლებას შორის, რომელსაც ერთი პატარა პოლიციელი ახორციელებს და, იმას შორის, რომელსაც მინისტრი ახორციელებს. სწორედ სოციალურ კორპუსთან მიმართებაში სურვილის ინვესტირების ბუნებით აიხსნება, თუ რატომ შეუძლიათ პარტიებს ან სინდიკატებს, რომლებიც წესით იმთავითვე, კლასის ინტერესების სახელით, რევოლუციურ ინვესტიციებზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი, სურვილის დონეზე რეფორმისტული ან პირწმინდად რეაქციული ინვესტიციები ჰქონდეთ.

არსებობს ცენტრები და არსებობს შეუმჩნეველი, ნაკლებად ნაცნობი წერტილები.მისი ნამდვილი წინააღმდეგობა და სიძლიერე შესაძლოა იქ შეგვხვდეს სადაც არ ველოდებით.თეორია არასდროს ეწევა საკუთარი თავის ტოტალიზებას, არამედ გამრავლებასა და თვითგამრავლებას ახდენს. ეს სწორედ ძალაუფლებაა, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, ტოტალიზებით ოპერირებს.მიშელ ფუკომ შეიმუშავა ძალუფლების ახალი ცნება. ჩვენ ძალაუფლებას განვიხილავთ როგორც ყოველთვის ზემოდან მომავალს ერთი მიმართულებით, და ერთი წყაროდან – მმართველი, სახელმწიფო, მმართველი კლასი. ფუკოსთვის ძალაუფლებას უფრო მოძრავი, წრიული ხასიათი აქვს. ის არასდროს არის ერთი ცენტრის მიერ მონოპოლიზირებული, ეს კი ნიშნავს, რომ გარკვეულწილად ჩვენ ყველანი ვართ მონაწილეები – ერთდროულად წარმოვადგენთ როგორც მჩაგვრელებს, ასევე ჩაგრულებს. ძალაუფლების ურთიერთობები განმსჭვალავენ სოციალური არსებობის ყველა დონეს და ფუნქციონირებენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში – ოჯახისა და სექსუალობის პრივატულ სივრცეებში, ისევე როგორც პოლიტიკის საზოგადოებრივ სივრცეებში, ეკონომიკასა და სამართალში.“ უფრო მეტიც, ძალაუფლებას არა მხოლოდ ნეგატიური, მჩაგვრელობითი ხასიათი აქვს, რომელიც ეძებს კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას, არამედ ის ასევე პროდუქტიულია. ძალაუფლება აწარმოებს საგნებს, მოაქვს სიამოვნება, აკონსტრუირებს ცოდნის ფორმებს, ქმნის დისკურსს. ის შეიძლება განვიხილოთ როგორც პროდუქტიული ქსელი, რომელიც მთელ სოციალურ სხეულში ოპერირებს. მაგალითად, დამსჯელი სისტემა ქმნის წიგნებს, ხელშეკრულებებს, წესებს, კონტროლის ახალ სტრატეგიებს, დებატებს პარლამენტში, ტრენინგის სისტემას

ციხის თანამშრომლებისთვის.(მიშელ ფუკო „ზედამხედველობა და დასჯა“) მარტივად რომ ავხსნათ, ძალაუფლება საკუთარი მსოფლმხედველობის სხვისათვის თავსმოხვევის შესაძლებლობის ქონაა. უმეტესწილად, ძალაუფლება აღიქმება, როგორც რაიმე კუთვნილება, რომელიც დომინანტ ჯგუფებს გააჩნიათ, მარგინალიზებულ ჯგუფებს კი არა. პოსტ-სტრუქტურალისტურმა თეორიებმა, მაგალითად მიშელ ფუკოს ნაშრომებმა, ეს მოსაზრება ეჭვქვეშ დააყენა. ფუკო გვიჩვენებს ძალაუფლების ურთიერთმიმართებით მოდელს, რომლიც მიხედვითაც, ძალა ყველგანაა და შეუძლებელია მისგან გათავისუფლდე, პოსტსტრუქტურალიზმის გავლენის ქვეშ მყოფი ქვიარ თეორეტიკოსებისთვის კი ოპოზიციური პოლიტიკის მიზანი ძალაუფლების მიმართ წინააღმდეგობა (რეზისტენტობა) და მის საპირისპიროდ მუშაობაა და არა ძალაუფლებისგან გათავისუფლება.პოლიტიკური ძალაუფლება სახელმწიფოს ხელშია ლოკალიზებული და ხორციელდება კონკრეტული ინსტიტუციების მიერ.მაგალითად როგორიც არის სამინისტრო,პოლიცია,არმია.პოლიტიკური ძალაუფლება ასევე ხორციელდება იმ ინსტიტუციების გავლით,რომლებიც ისე გამოიყურებიან,თითქოს არანაირი კავშირი არ ჰქონდეთ პოლიტიკურ ძალაუფლებასთან.ეს შეიძლება ითქვას ოჯახთან მიმართებით,უნივერსიტეთთან მიმართებით და ზოგადად ყველა საგანმანათლებლო სისტემასთან მიმართებით,რომლებიც თითქოსდა უბრალოდ ცოდნის გავრცელებით არიან დაკავებულნი.ამგვარად ფუკომ უფრო ნათლად დაგვანახა,სად და როგორ ვლინდება ძალაუფლება,როგორც პოლიტიკური ფენომენი. ფუკოსთან ძალაუფლება შორდება დესპოტურ ცენტრალიზირებულობას,გარდაისახება ძალთა მრავალგვარ მიმართებებში და საბოლოო ჯამში გამოიხატება წაინააღმდეგობათა სახით.ძალაუფლებისა და შეწინააღმდეგების ატომები იმდენად მცირედ არიან გახლეჩილნი,რომ ამ მიკროსკოპული მასშტაბის წყალობით ერთმანეთში აირევიან.უკვე ჩვეულებად იქცა, ყოველ შემთხვევაში ევროპულ საზოგადოებაში, ის აზრი, რომ ძალაუფლება სახელმწიფოს ხელშია ლოკალიზებული და ის ხორციელდება კონკრეტული ინსტიტუციების მიერ. მაგალითად როგორიც არის სამინისტრო, პოლიცია და არმია. მიიჩნევა, რომ ყველა ეს ინსტიტუცია, ერის თუ

სახელმწიფოს სახელით, ემსახურება გარკვეული გადაწყვეტილების დამუშვებას და მიღებას, შემდეგ განხორციელებას და მათ დასჯას ვინც არ დაემორჩილება. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ასევე ხორციელდება იმ ინსტიტუციების გავლით, რომელებიც ისე გამოიყურებიან, თითქოს არანაირი კავშირი არ ქონდეთ პოლიტიკურ ძალაუფლებასთან და თითქოს დამოუკიდებლები იყვნენ მისგან, როდესაც ეს ასე არ არის. ეს შეიძლება ითქვას ოჯახთან მიმართებით, უნივერსიტეტთან მიმართებით და ზოგადად ყველა საგანმანათლებლო სისტემასთან მიმართებით, რომლებიც თითქოსდა უბრალოდ ცოდნის გავრცელებით არიან დაკავებულნი, როდესაც კონკრეტული ძალაუფლებაში მყოფი სოციალური კლასის ინტერესების განხორციელებაა მათი საქმიანობა. ცოდნის ინსტიტუციები, მაგალითად როგორიც არის მედიცინა, ასევე ამაგრებს პოლიტიკურ ძალაუფლებას. ეს ზოგჯერ ისეთი ცხადია, რომ სკანდალად შეგვიძლია მივიჩნიოთ, მაგალითად ფსიქიატრიის შემთხვევაში. ჩვენს საზოგადოებაში რეალური პოლიტიკური ამოცანა იმ ინსტიტუციების საქმიანობის კრიტიკაა, რომლებიც ერთი შეხედვით ნეიტრალური და დამოუკიდებლები ჩანან. მათი კრიტიკა ისე რომ ნიღაბი ჩამოეხსნას იმ პოლიტიკურ ძალადობას, რომელიც შეუმჩნევლად ყოველთვის ახორციელებდა საკუთარ თავს ამ ინსტიტუციების საშუალებით, რათა შევძლოთ მათ წინააღმდეგ ბრძოლა. ეს კრიტიკა და ბრძოლა კიდევ სხვა მიზეზების გამო მიმაჩნია არსებითად: პირველ რიგში, იმის გამო რომ პოლიტიკური ძალაუფლება გაცილებით სიღრმეშია ვიდრე ჩვენ ვვარაუდობთ. არსებობს ცენტრები და არსებობს შეუმჩნეველი, ნაკლებად ნაცნობი წერტილები. მისი ნამდვილი წინააღმდეგობა და სიძლიერე შესაძლოა იქ შეგვხვდეს სადაც არ ველოდებით. ალბათ არ არის საკმარისი, იმის თქმა რომ მთავრობის, სახელმწიფო აპარატის უკან დომინანტი კლასი დგას. არამედ უნდა დადგინდეს აქტივობის ის წერტილები, ის ადგილები და ფორმები, რომელშიც ეს დომინაცია ხორციელდება. და რადგანაც ეს დომიანცია არ გამოიხატება უბრალოდ ეკონომიკური ექსპლოატაციის პოლიტიკური ტერმინებიში, ის ხდება დომინანტური კლასის ინსტრუმენტი და დიდი ზომით მისი არსებობის პირობა. ასე რომ თუ ვერ შევამჩნევთ კლასობრივი ძალაუფლების ამ საყრდენებს, ამით საშუალებას მივცემთ

მათ, რომ გააგრძელონ არსებობა და მეტიც აღიდგინონ თავიანთი თავი რევოლუციური პროცესის შემდეგაც კი.

“ძალაუფლების გენეალოგია” ინტელექტუალური ისტორიის სავსებით განსაკუთრებულ ტიპს, “ისტორიული არსებების ორგანიზებულ და მოწესრიგებულ ტრაექტორიებად შეერთების წესს” წარმოადგენს, რომელიც არც მათი წარმოშობის მარტივი ახსნაა და არც მათი შედეგების აუცილებელი გაცნობიერება.ფუკო ცდილობს ნათელი მოფინოს აწმყოსა და დღევანდელობას, იყენებს რა “ისტორიულ რესურსებს იმისათვის, რათა გაიაზროს იმ ელემენტების განსხვავებული ტრაექტორიების შემთხვევითობები, თავისებურებები, ურთიერთკავშირები და პოტენციალური შესაძლებლობები, რომელი ელემენტებიც გამოცდილების სახით შედიან თანამედროვე დადგენილებებში” აქ არ არის არანაირი დეტერმინიზმი. აწმყო, დღევანდელობა, აუცილებლობით და გარდაუვლად არ არის წარსული ხდომილებების შედეგი. ფუკო ორიენტირებულია ისტორიის კრიტიკულ გამოყენებაზე იმისათვის, რათა დღევანდელობის, აწმყოს შესაძლებლობები ნათელჰყოს. ძალაუფლების გენეალოგიაში ფუკო ბჭობს იმის შესახებ, თუ როგორ მართავენ ადამიანები საკუთარ თავს და სხვებს ცოდნის შექმნის მეშვეობით. სხვათა შორის, იგი აანალიზებს იმას, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლებას, განსაზღვრავს რა ადამიანებს გავლენის ობიექტების სახით და შემდეგ როგორ მართავს ცოდნის დახმარებით ამ ობიექტებს.შეიძლება,ითქვას რომ ცოდნა ფუკოსთან ძალაუფლების გამოვლენის ფორმაა და ცოდნა თავად არის ძალაუფლება.ძალაუფლების საფუძველი სწორედ ცოდნაა,ადამიანმა უნდა იცოდეს რა არის ძალაუფლება და ეს მას მისცემს საშუალებას არა მარტო ფლობდეს ძალაუფლებას,არამედ ინარჩუნებდეს კიდეც.ამრიგად ფუკო ცდილობს დაგვანახოს,ძალაუფლების დისკურსი,რომელიც კომპლექსურია და არ შეიძლება მხოლოდ ერთ ჭრილში გაანალიზება.

“შეშლილობასა და ცივილიზაციაში” ფუკო ეწევა ცოდნის, განსაკუთრებით ფსიქიატრიაში არსებული ცოდნის არქეოლოგიას. თავის გამოკვლევას იგი აღორძინების ეპოქიდან იწყებს, როდესაც შეშლილობა და გონება ჯერ კიდევ არ გაყრილან, ერთად იმყოფებიან. მაგრამ 1650 და 1800 წლებს (კლასიკურ პერიოდში)

შორის, მათ შორის დადგენილი იქნა დისტანცია და საბოლოო ანგარიშით გონებამ დაიმორჩილა შეშლილობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფუკო აღწერს გონებასა და შეშლილობას შორის "დარღვეულ დიალოგს". იგი აღწერს ამ პროცესის საბოლოო შედეგს: "ამ მომენტში მთელი თავისი სიდიადით გამეფდა გონება, ზეიმობდა რა გაცოფებულ უგონობა-შეშლილობაზე. ამგვარად, შეშლილობას წაართვეს ის ილუზორული თავისუფლება, რომელიც ჯერ კიდევ აძლევდა აღორძინების ეპოქის საზღვრებზე განვითარების საშუალებას. არც თუ დიდი ხნის წინათ, იგი გაჭირვებით გადაადგილდებოდა დღისით თუ მზისით "მეფე ლირში", "დონ კიხოტში". მაგრამ, არა ნაკლებ ნახევარი საუკუნის შემდეგ, იგი უკვე იზოლირებული და შეზღუდვების ციხეში გამოკეტილი იყო, დამოკიდებული გახდა გონებაზე, მორალის წესებსა და მათ ერთფეროვან ღამეებზე". ამგვარად, ფსიქოლოგია (და ფსიქიატრია) ფუკოსათვის არის არა მეცნიერული მცდელობა, ცდა, არამედ მორალური საქმიანობა, წარმოება, მიმართული შეშლილების წინააღმდეგ, რომელბიც თანდათანობით კარგავენ ამ "დახმარებისაგან" თავდაცვის უნარს. იგი თვლის, რომ ე.წ. მეცნიერული პროგრესი შეშლილებს "კოლოსალურ მორალურ პატიმრობას" უსჯის.გონებასა და შეშლილობას შორის ურთიერთობა არ შეიძლება მხოლოდ დავიყვანოთ მხოლოდ ფსიქოლოგიისა და ფსიქიატრიის დონეზე.რეალურად აქ ღრმა ფილოსფიური თეზისები იკვეთება.სწორედ ფსიქიატრია,სადაც გონებასა და შეშლილობას შორის „დარღვეულია დიალოგი",ავლენს პოლიტიკური ძალაუფლების ფარულ მხარეებს.სახელმწიფო ფსიქიატრიულ დაწესებულებებშიც აღწევს და ცდილობს ის მექანიზმები გამოიყენოს რაც ბუნებრივია ამ დაწესებულების სტრუქტურისთვის და ბუნებრივად წარმართოს თავისი მიზნები,რომ მოახდინოს ადამიანთა მანიპულაცია და დაანახოს,რომ ილუზორული თავისუფლების წართმევა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფთათვის პოლიტიკური ძალაუფლების გამოვლენის ფორმაა.აქედან ხდება ადამიანთა დაზომბირება,მათ აქაც უნდა იგრძნონ ის,თუ რა შეუძლია სახელმწიფოს და რომ ისინი პოლიტიკური ძალაუფლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.აქ ერთობ საგულისხმო დეტალი იჩენს თავს.თუ დავაკვირდებით,ფსიქიატრიული დაწესებულები პაციენტებს აგრძნობინებენ,რომ თითქოს ის მათზე ზრუნავს,უქმნის ყველანაირ პირობას,რომ იმკურნალონ და

გამოჯამრთელდნენ.მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი ეფექტია,რეალურად ფისიქატრია სახელმწიფოს ბერკეტია,რომელსაც ეფექტურად იყენებს და სარგებელსაც იღებს.

შრომაში "დისციპლინა და სასჯელი" ამ ნაწარმოებში ფუკო განიხილავს 1757 და 1830 წლების ინტერვალს – ანუ პერიოდს, როდესაც ტუსაღთა წამება სატუსაღოს წესებით კონტროლმა შეცვალა საყოველთაოდ მიღებული შეხედულების თანახმად, წამებიდან წესებისაკენ ეს გადაადგილება ტუსაღების მიმართ დამოკიდებულების ჰუმანიზაციას წარმოადგენდა; იგი უფრო რბილი, ნაკლებ მტანჯველი და ნაკლებ მკაცრი გახდა. სინამდვილეში კი, როგორც ფუკო თვლის, სასჯელი უფრო რაციონალიზებული გახდა ("ჯალათი გილიოტინაზე მხოლოდ როგორც პედანტი ყარაული, ისე უნდა გამოიყურებოდეს") და მრავალი მიმართებით უფრო მეტადაც კი დაარტყა პატიმრებს. ტუსაღთა, სასჯელმისჯილთა ადრეული წამებანი, შეიძლება მოწყობლიყო საჯარო დემონსტრაციებისათვის, მაგრამ ეს "ძალაუფლების ცუდი ეკონომიკა" იყო, რამდენადაც, როგორც წესი, მაყურებელთა შორის იწვევდა მღელვარების წარმოდგენებს. წამების დროს ნათლად ვლინდებოდა კავშირი ცოდნასა და ძალაუფლებას შორის; წესების შემოტანით კი ეს კავშირი გაცილებით ნაკლებ ცხადი და ნათელი გახდა. წესების ახალი სისტემა იყო "უფრო რეგულარული, უფრო ეფექტური, უფრო უცვლელი, უფრო მყარი და უფრო დეტალური თავისი შედეგებით; მოკლედ რომ ვთქვათ, ესაა წესები, რომლებიც ამაღლებენ მის ზემოქმედებას, თანაც ისე, რომ ამცირებენ მის ეკონომიკურ ღირებულებას". ახალი სისტემა გამიზნული იყო არა იმისათვის, რომ უფრო ჰუმანური ყოფილიყო თუ გამხდარიყო, არამედ იმისთვის, "რათა უკეთესად დაესაჯა... რათა უფრო ღრმად ჩაესო დამსჯელი ხელისუფლება-ძალაუფლება სოციალურ სხეულში". წამებისაგან განსხვავებით დამსჯელი ძალაუფლების ეს ახალი ტექნოლოგია ადრეც გვხვდებოდა არასტანდარტულ შემთხვებში, იგი უფრო მრავალრიცხოვანია, უფრო ბიუროკრატიზირებულია, უფრო ეფექტურია, უფრო უპიროვნო-უსახოა, უფრო მდგრადია, უფრო განსჯითია და გულისხმობს ზედამხედელობას არა მხოლოდ დამნაშავეებზე, არამედ მთლიანად საზოგადოებაზეც.

როგორც ვხედავთ,გარდა ფსიქიატრიული დაწესებულებისა,პოლიტიკური ძალაუფლება სადამსჯელო დაწესებულებებშიც აღწევს.ცდილობს ძალაუფლებას

ცოდნის მეშვეობით უფრო ლეიგიტიმური სახე მისცეს და ერთი შეხედვით ის შეცვლილი დამოკიდებულება,რომელიც თითქოს ჰუმანიზმით არის სავსე კარგად გამოიყენოს ინტერესების განსახორციელებლად.ამით კი პატიმრებს დაანახოს,რომ ცდილობს მათი მდგომარეობის შემსუბუქებას.არსობრივად არაფერი არ იცვლება,მხოლოდ გარეგანი ფაქტორის შეცვლა ამ შემთხვევაში არ მოქმედებს საბოლოო რეზულტატზე.წამებიდან წესებისაკენ გადაადგილება მხოლოდ პირობითია და არანაირად არ არის პატიმრების მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი.ესეც ილუზიაა,რომელშიც იმყოფება სამდამსჯელო დაწესებულება და შიგნით არსებული პატიმრები.დავაკვირდეთ ერთ მნიშვნელოვან ნიუანსს,რისთვის დასჭირდა სახელმწიფოს ამ სახით დაესაჯა პატიმრები,ხომ შეიძლება დაეტოვებინა ძველი დასჯის მექანიზმი? რეალურად ის უკვე „გამოგონილ ველოსიპედს“ იყენებს,რომელსაც სხვადასხვა ფორმით არგებს არსებულ რეალობას.იცვლება ეპოქა და მასთან ერთად გარემოებაც,ხდება ღირებულებათა გადაფასებაც,სწორედ ამ ღირებულებებთან მიმართებაში უნდა გახდეს რელევანტური ის პორცესი,რომელიც მიმდინარეობს დაწესებულებებში,თუნდაც ეს იყოს ფისიქატრია ან ციხე.ფუკო დისციპლინარული ძალაუფლების სამ ინსტრუმენტს გამოყოფს: პირველი – იერარქიული თვალთვალი, ანუ ჩინოვნიკთა მიერ ყველაფერ იმის თვალთვალი და დაკვირვება, რაც მათ მიერ კონტროლირდება, ერთი დაძაბული-დაჟინებული ხედვით. მეორე ინსტრუმენტი – მანორმალიზებელი განაჩენის-მსჯავრის გამოტანის-დადების უნარი და იმათი დასჯა, ვინც ნორმებს არღვევს. ასე, მაგალითად, ადამიანები შეიძლება უარყოფითად შევაფასოთ და დავსაჯოთ დროის კატეგორიებში (დაგვიანებისათვის), საქმიანობის კატეგორიებში (უყურადღებობის გამო) და ყოფაქცევის კატეგორიებში (უპატივცემულობის გამო).მესამე ინსტრუმენტი – ადამიანზე თვალთვალისა და დაკვირვებისათვის და მათ შესახებ მანორმალიზებელი განაჩენების გამოტანაში გამოკვლევების გამოყენება. დისციპლინარული ძალაუფლების ეს ინსტრუმენტი ორივე დანარჩენს მოიცავს.ზემოთ ჩამოთვლილი სამივე ინსტრუმენტი რეალურად ერთიანი მექანიზმია,რომელიც ჩაშლილია და დანაწევრებულია,ასე უფრო მარტივი ხდება ადამიანთა მართვა და კონტროლი.თუ მოხდა კატეგორიების გაერთიანება,მაშინ მაკონტროლებელი ინსტრუმენტი არ იქნება

ისეთივე მძლავრი,ვთქვათ როგორც თავდაპირველ მდგომარეობაში.ფუკო დისციპლინარული საზოგადოების წარმოშობის არა მხოლოდ უარყოფით მხარეებზე ლაპარაკობს; მისი აზრით ამას ასევე დადებითი შედეგებიც აქვს. მაგალითად, იგი თვლის, რომ დისციპლინა პოზიტიურად ფუნქციონირებს სამხედრო და სამრეწველო ქარხნებში. მიუხედავად ამისა, ფუკო შეშფოთებას განიცდის საზოგადოებაში დისციპლინის გავრცელების გამო, განსაკუთრებით სახელმწიფო პოლიციის ქსელში მისი დამკვიდრების გამო, რომლისთვისაც მთელი საზოგადოება ხდება თვალთვლის, აღქმის ველი და დასჯის ობიექტი. ფუკო არ თვლის, რომ დისციპლინა ერთსახოვნად და ერთმნიშვნელოვნად მოიცავს მთელ საზოგადოებას, ფუკო ფიქრობს, რომ იგი "მიძვრება" და განმსჭვალავს საზოგადოებას და მისი წინსვლის ზომის შესატყვისად ზემოქმედებს მის განსაზღვრულ ნაწილებზე. საბოლოო ანგარიშით, დისციპლინარული გავლენის ქვეშ მნიშვნელოვანი ინსტიტუტების უმრავლესობა აღმოჩნდება. ფუკო რიტორიკულ კითხვას სვამს: "განა საკვირველია, რომ ციხეები და სატუსაღოები ასე გავს ქარხნებს, სკოლებს, ყაზარმებს, საავადმყოფოებს, რომლებიც, თავის მხრივ, ყველა ციხეების მსგავსია?" საბოლოო ანგარიშით, ფუკო ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ სადამსჯელო სისტემის წარმოშობისას დისციპლინა "სადამსჯელო ინსტიტუტიდან მთელ სოციალურ სხეულზე გადაადგილდება".თუმცა ფუკოს აზრს,რომ დისციპლინას პოზიტიური ფუნქციაც გააჩნია,უნდა შევხედოთ კრიტიკული თვალით.ერთი შეხედვით დისციპლინა არ მოიცავს ერთმნიშვნელოვნად საზოგადოებას,არ გააჩნია ჰოლისტური ბუნება.მაგრამ რეალურად სწორეს ის,რომ იგი ზემოქმედებს განსაზღვრულ ნაწილებზე,იმის წინაპირობა არის,რომ მოიცვას არა საზოგადოებს გარკვეული ნაწილი,არამედ მთელი საზოგადოება.ამას ახერხებს სწორედ სხვადასხვა დაწესებულებების მეშვეობით,რომელთაც გააჩნიათ სხვადასხვა ფუნქცია,მაგრამ რეალურად ერთი და იმავე როლს ასრულებენ.სწორედ აქ იმალება დისციპლინის მნიშვნელობა,რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება.დაწესებულება,რომ დავაკვირდეთ იზოლირებულია საზოგადოებისგან,გარკვეულ ნაწილს არ აქვს შეხება არც ციხესთან და არც ფისიქტრიულ დაწესებულებასთან და მხოლოდ გარედან ხედავენ ამ შენობა-ნაგებობებს,მაგრამ შიგნით რაც ხდება,მხოლოდ გარკვეული

ნაწილისთვის არის ხელშესახები.ეს მდგომარეობა სახელმწიფომ ბუნებრივად შექმნა,ყველას ადგილი შეუძლებელია იყოს ციხეში ან სხვა რომელიმე დაწესებულებაში.სწორედ ეს დიფერენციაციაც,გარკვეული ნაწილია იმ „ტოტალური თვალთვალის“,რომელსაც პოლიტიკური ძალაუფლება ჰქვია.ეს გარემოება კი ქმნის იმ განცდას,რომ ადამიანმა უკვე იცის,თუ რაიმე დააშავა რაც სცდება კანონს,ის უკვე პატიმრების ბედს გაიზიარებს.მაგრამ ამ სურათის აფიშირებას არ ახდენს სახელმწიფო,ის უბრალოდ გვაჩვენებს,რომ არის ციხის დაწესებულება და არის პატიმარი.ამ ზოგადი სურათით კი ყველაფერი ნათელი ხდება,პოლიტიკური ძალაუფლება იძენს როგორც ფარულ ისე გარეგან გამოხატულებას.ეს ყოველივე ერთის შეხედვით მიმართულია წესრიგის დამყარებისაკენ,საზოგადოებრივი კეთილდღეობის შესაქმნელად,მაგრამ არც ასე მარტივად არის საქმე.რეალურად ყველაფერი სხვაგვარად არის და სწორედ ეს ის მხარეა,რომელიც არ ჩანს და რომელიც ყველაზე ეფექტურად მუშაობს,როგორც კი მისი ფარული მხარე გადავა სიცხადეში,პოლიტიკური ძალაუფლება დაკარგავს თავის სახეს.

მიუხედავად იმისა, რომ “დისციპლინა და სასჯელში” ცხადად და ნათლად უფრო მეტ ყურადღებას ფუკო ძალაუფლების საკითხს უთმობს, ამ შრომაშიც მას ასევე აინტერესებს მისთვის ჩვეული თემა; ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა. წამებისაგან ციხის წესებზე გადასვლა სხეულის დასჯისაგან სულის, ანუ ნების დასჯაზე გადასვლას მოასწავებდა. ამ ცვლილებამ, თავის მხრივ, ნორმისა და ზნეობრიობის მოსაზრებები შემოიტანა. ციხის ჩინოვნიკებმა და პოლიციამ დაიწყეს პატიმრის ნორმალურობისა და მორალურობის შეფასება. საბოლოოდ, განსჯის თუ განკითხვის ეს უნარი სხვა “მცირე მასშტაბის” მქონე მოსამართლეებზე-მსაჯულებზეც, მაგალითად, ფსიქიატრებზე და პედაგოგებზეც გავრცელდა. ყველა ამ მსჯავრ-მსჯელობებიდან წარმოიშვა მეცნიერული სადამსჯელო ცოდნის ახალი ქვეგანყოფილებები, რაც შემდეგში თანამედროვე “მეცნიერულ-იურიდიული კომპლექსის” საფუძველი გახდა. მორჩილების ახალი სახე მდგომარეობდა იმაში, რომ ადამიანები განისაზღვრებოდნენ უკვე როგორც ცოდნის, მეცნიერული დისკურსის ობიექტი. საკვანძო მომენტი იმაშია, რომ აქ თანამედროვე ჰუმანიტარული მეცნიერების წყაროები და საწყისები ვლინდება . ფუკომ დამცინავად გამოსახა ამ

დისციპლინების კალაპოტიდან ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმოშობა: “ამ მეცნიერებათა ტექნიკური მატრიცა, რომელიც აგერ უკვე საუკუნეზე მეტია ამდენად აღაფრთოვანებს ჩვენს “ადამიანისმოყვარეობის” გრძნობას – ამ დისციპლინების და მათი კვლევების უმნიშვნელო ღვარძლიან წვრილმანებშია” (ფუკო,1979,გვ.226

ღირს “დისციპლინისა და სასჯელის” კიდევ ერთი ასპექტის გახსენება. ფუკოს აინტერესებს, თუ როგორ ბადებს ცოდნა ძალაუფლების განხორციელების მეთოდებს. ძალაუფლება მეცნიერულ ცოდნაში ახდენს თვითმანიფესტაციას. ყოველი შემუშავებული იდეოლოგია, თეორიული პარადიგმა თუ ცოდნის სისტემა, ერთგვარ ფილტრს ჰქმნის, რომელიც მეტნაკლები სიზუსტით გაატარებს ინფორმაციულ ქაოსს და ამგვარად, სინამდვილეს მოიხელთებს. მოცემულ კონტექსტში იგი განიხილავს “პანოპტიკუმს”. ესაა სტრუქტურა, რომელიც საშუალებას აძლევს მომსახურე პერსონალს პატიმართა ცხოვრების ყველა ასპექტს უთვალთვალონ. არსებითად, ზედამხედველთა მუდმივი თვალთვალი არ მოითხოვება; ამ სტრუქტურის თავად არსებობა (და მომსახურეთა-მოთვალთვალეთა არსებობის შესაძლებლობა) აკავებს დამნაშავეებს. პანოპტიკუმმა შეიძლება წრიული ციხის ცენტრში მდებარე კოშკის სახე მიიღოს, რომლიდანაც ყარაულს შესაძლებლობა ეძლევა დაინახოს ყველა კამერა-დილეგი. პანოპტიკუმი ციხის თანამშრომლებისათვის ძალაუფლების უზარმაზარი წყარო ხდება, რამდენადაც მათი ტოტალური ზედამხედველობა - თვალთვალის შესაძლებლობას აძლევს. კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ პანოპტიკუმის ძალაუფლება ფართოვდება პატიმართა მიერ საკუთარი თავის კონტროლის ხარჯზე; ისინი თავს იკავებენ სხვადასხვა ქმედებებისაგან, იმიტომ, რომ ეშინიათ, რომ მათ მეთვალყურენი დაინახავენ. აქ შეიმჩნევა ცოდნას, ტექნოლოგიასა და ძალაუფლებას შორის ცხადი კავშირი. გარდა ამისა, ფუკო უბრუნდება ჰუმანიტარული მეცნიერების თავის ჩვეულ თემას, რამდენადაც პანოპტიკუმს განიხილავს, როგორც ადამიანთა შესახებ ინფორმაციების მოსაკრებელ განსაზღვრულ ლაბორატორიას. პანოპტიკუმი იყო ადამიანთა შესახებ ინფორმაციის მოგროვებისათვის გამოყენებული სოციალურ – მეცნიერული ლაბორატორიებისა და სოციალური მეცნიერების სხვა მეთოდთა წინამორბედი და მაცნე. სხვა დონეზე ფუკო

პანოპტიკუმს განიხილავს, როგორც “საზოგადოების მთლიანი ტიპის”, დისციპლინარული საზოგადოების საფუძველს.

ფუკო აკეთებს დასკვნას, რომ ცოდნა და ძალაუფლება ისე მჭიდროდ კავშირში არიან, შესაძლებელია მათი ერთ ტერმინში გაერთიანება (მაგალითად ,,ძალცოდნა)”. პატიმრობა ნიშნავს კონტროლსა და ცოდნას. ძალა და ცოდნა ერთიანია. ამ საზოგადოებაში ძალაუფლება აუცილებლად განიცდის ტრანსფორმაციას. ფუკოს თეორიის თანახმად, მას აღარ შეუძლია დამოუკიდებლად არსებობა. ის არ არის აბსოლუტური და არ ეკუთვნის ერთ ადამიანს, როგორც ლუდოვიკო XV–ს ეპოქაში. ძალა გადაიქცა ,,ტექნოლოგიად”: ეს არის საზოგადოების კონტროლი საკუთარ წევრებზე. თანამედროვე ინდივიდი ყალიბდება უამრავი წესებისა და მითითებების სივრცეში. როდესაც ის რეაგირებს ამ შეზღუდვებზე ამით ის გარკვეულწილად ქმნის საკუთარ თავს. ეს ნათლად ჩანს დენდის არქეტიპზე. ნაცვლად იმისა, რომ გაანადგურის თავისი ინდივიდუალობა, ის გრძნობს თვითგამოხატვის აუცილებლობას – ღიად და ექსტრავაგანტურ ფორმებში, რომელიც ფაქტობრივად წესების დიდი რაოდენობის დაძლევას გულისხმობს.შეიძლება ითქვას,რომ პოლიტიკური ძალაუფლება გავლენას ახდენს ადამიანებზე და ამგვარად,აყალიბებს ისეთ პიროვნებებს,რომლებიც შემდგომში თავად ახორციელებენ სხვებზე ძალაუფლებას.ძალაუფლების ფორმალიზაციამ დამალა ძალაუფლების ძალადობრივი ნაწილი.რეალურად, ის რაც ხდება ციხეებში,მაგალითად თვალთვალი,ესეც ერთგვარი ძალადობის გამოვლენა არის.ასეთი სახის „ძალადობა’ უფრო მეტად გავლენას ახდენს პატიმრებზე,ვიდრე პირდაპირ გამოვლენილი ძალადობა.ძალადობა შენიღბულია და თითქოს გამართლებას იმით ახდენს,რომ მის უკან არის კანონი,რომელიც აუცილებლად უნდა აღსრულდეს.ფუკოს „სასჯელის“ მნიშვნელობის გაგება, 4 ურთიერთდამოკიდებული იდეის გააზრებაზე დგას: ძალაუფლება, ცოდნა, სხეული და დისციპლინა.

რაც შეეხება **ძალაუფლებას,** ფუკოსთვის იგი არ წარმოადგენს ფლობის საგანს, არამედ ის არის რაღაც, რაც ქმნის იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომელშიც შემდეგ თავად ოპერირებს. ძალაუფლება ვლინდება სულ პაწაწინა ინტერაქციებშიც. ის არ არის რაღაც, რაც აუცილებლად დომინაციასთან და კონფლიქტთან უნდა

გავაიგივოთ, არამედ ის ხასიათდება შემოქმედებითი უნარით და მწარმოებლურობით: იგი ჩართულია ინდივიდის შექმნა-ფორმირებაში, მისი სურვილების და ღირებულებების განსაზღვრაში.აქ კარგად ჩანს ძალაუფლების პოზიტიური შინაარსიც,რომ ის მხოლოდ იმისთვის არ არსებობს,რომ ვიღაც იყოს დომინანტი და აკონტროლებდეს სხვებს.არამედ ძალაუფლებას სხვა უფრო მნიშვნელოვანი როლიც აკისრია,ის აქტიურად მონაწილეობს ინდივიდის ჩამოყალიბებაში,რათა მან თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნოს.რატომღაც პოლიტიკური ძალაუფლება დღესდღეობით გაიგივებულია მართვასთან,განკარგულების გაცემასთან და ვიღაცების ჩაგვრასთან,რაც არასწორია.ეს შეიძლება იყოს ძალაუფლების ერთი მხარე და ამ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა არის პოლიტიკური ძალაუფლების მიზანი.სწორედ ამ მიზნის გააზრების შემდეგ უფრო მარტივი ხდება იმის გაგება,თუ რას ემსახურება პოლიტიკური ძალაუფლების „პაწაწინა“ ინტერქაციები.თუმცა ინტერქაცია არ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ ინდივიდზე მოვიაზროთ,ის აუცილებლად ერთ ინდივიდზე მეტს გულისხმობს,ან ინდივიდთა ერთობლიობას.ძალაუფლება მხოლოდ კომუნიკაციებში არსებობს.

რატომ არის ასეთი მნიშვნელოვანი ადამიანისთვის ძალაუფლება,არა მგონია მხოლოდ ეს პრესტიჟის საკითხი იყოს,პრესტიჟის გარდა ინდივიდს აქვს შეგრძნება,რომ ის ყალიბდება და ფორმირდება სწორედ ამ ძალაუფლების მეშვეობით ან როდესაც სხვა ფლობს ამ ძალაუფლებას და ის ამ ინტერაქციაშია.„ძალაუფლება, უფრო მიმართების კატეგორიაში შედის, ვიდრე მიკუთვნებულობის. ის პრივილეგია არ არის; გაბატონებული კლასების მიერ არ ხდება მისი შეძენა და შენახვა, ის ამ კლასის სტრატეგიული პოზიციების თანხვდომილი ზემოქმედებაა.“

აქვე უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა,რა უფრო უმჯობესია, ინდივიდის ფორმირება მოხდეს ძალაუფლების გარეშე,თუ მისით.ეს დილემური კითხვა არის და ალბათ შეუძლებელიც არის ცალსახა პასუხის გაცემა,იმდენად რთული და მრავალმხრივი კითხვაა არსობრივად,თუმცა როგორც სამსჯელო საკითხი,შეიძლება ფუნდამენტური მნიშვნელობის აღმოჩნდეს.

ფუკო გვიხსნის, რომ ძალაუფლების გამოვლინება დამოკიდებულია მისი სამიზნის, ანუ **სხეულის** გააზრება/გაგებაზე, რაც **ცოდნის** არსებობის გარეშე შეუძლებელია. ვიღაცის ან რაღაცის კონტროლისთვის, აუცილებელია გაგვაჩნდეს ცოდნა ამ სუბიექტის შესახებ. ცოდნა, ამ შემთხვევაში, სუბიექტის კლასიფიკაციაში გვეხმარება.ფუკოსთვის, ძალაუფლება **დისციპლინის** მეშვეობით ოპერირებს. აქ დისციპლინაში იგულისხმება ძალაუფლების ისეთი მექანიზმი, რომელიც ინდივიდებს არეგულირებს, მათ სხეულზე მოქმედებით. დისციპლინა ანაწილებს ინდივიდებს სხვადასხვა სივრცეებში და ანიჭებს მათ კონკრეტულ როლებს. დისციპლინას შეუძლია ინდივიდის დროში კონტროლი კონკრეტული დღის წესრიგის შეთავაზებით, რომელიც განსაზღვრავს მათ მოქმედებას დღის განმავლობაში. მაგრამ დისციპლინა არ გახლავთ თავად ძალაულფება ან სასჯელი, ის არის უფრო საშუალება, რომლის მეშვეობითაც ოპერირებს ძალაუფლება.

ამ ტერმინების და იდეების პარადიგმაში აანალიზებს ფუკო **სასჯელის** ისტორიას და განიხილავს, მას როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობების ქსელს, რომელიც ძალაუფლება-ცოდნის რეჟიმების და ადამიანის სხეულის ურთიერთკავშირით.კონკრეტულად ციხეზე, ფუკო გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ციხის დაბადება დაკავშირებულია კრიმინალის შექმნასთან. ის ამბობს, რომ ციხე თავად ქმნის კრიმინალს ისეთი სოციალური კატეგორიის შექმნით, როგორიც არის დამნაშავე. ამას ეწოდება კრიმინალის ეპისტემოლოგიური წარმოება. ეპისტემოლოგია ცოდნის წარმოშობის და მისი ლიმიტების შესწავლაა. ციხის შემთხვევაში კი იგულსიხმება ის ეპისტემოლოგიური სისტემა, რომლის მეშვეობითაც გვაქვს ცოდნა, თუ რა არის კრიმინალი. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, სადამსჯელო ინსტიტუტი ქმნის კრიმინალს, იდენტიფიცირებადი სოციალური კატეგორიის მეშვეობით – ანუ ადამინაების კატეგორიის შექმნის გზით, რომლებიც ჩადიან ისეთ რაღაცებს, რასაც საზოგადოება არქმევს არასწორს და შემდეგ იღებს ზომებს, რომ არ გაიმეორონ იგი. ასეთ ადამიანებს ვუწოდებთ კრიმინალებს/დამნაშავეებს. ფუკო გვეუბნება, რომ ადამიანების ამ კატეგორიაში განთავსება, მათ დეჰუმანიზაციას გულისხმობს, რადგან ინდივიდი დაყავს სტატისტიკურ მასალამდე.*დისციპლინა და სასჯელი* თანამედროვე სადამსჯელო სისტემის განვითარების და საზოგადოებაში

მისი როლის შესახებ გვიამბობს. ფუკო გვიმტკიცებს, რომ ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გამოყენების წესის ცვლილება, დროთაგანმავლობაში აისახება საზოგადოების სტრუქტურის ცვლილებაზე. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ XVIII საუკუნეში არსებული ფიზიკურად დასჯის წესის ჩანაცვლება თანამედროვე ციხის სისტემით, რაც მიზნად ისახავს ინდივიდის კონტროლს, გულისხმობს **სასჯელის** ჩანაცვლებას ინდივიდის **გამოსწორებით, ანუ ინდივიდის შეცვლით.** ასეთ ცვალებად პროცესებს დიდი და ღრმა გავლენები აქვს საზოგადოებაზე. ფუკო, ციხის გამოსასწორებელი მეთოდების შესწავლით და ანალიზით გვიჩვნებეს, თუ როგორ შეაღწია იგივე მეთოდმა სხვა ინსტიტუტებში, როგორიცაა სკოლა, საავადმყოფო, და თავად სოციალური მეცნიერებებიც კი, რომლებიც ძალაუფლება- ცოდნის მეშვეობით გვცვლიან და გვაყალიბებენ იმად, რასაც წარმოვადგენთ დღეს. ფუკო ამბობს, რომ სოციოლოგია, ფილოსოფია და ფსიქოლოგია ციხის როლს ასრულებენ. ისინი არ გახლავთ ადამიანის მდგომარეობის შემსწავლელი ცოდნის სფეროები, არამედ უფრო სიმართლის რეჟიმები, რომლებიც გარკვეული სუბიექტური ფორმების და ღირებულებების ნორმალიზაციას ეწევიან, მაშინ როდესაც განსხვავებულის პათოლოგიზაციას ახდენენ. ასეთივე აზრისაა ფუკო თანამედროვე სკოლაზე, რომლის დანიშნულებაც არა დამოუკიდებელი ინდივიდის შექმნაა, არამედ მისი დისციპლინარიზაცია, რათა შეისისხლხორცოს მოდერნულობის რეპრესიული გარემოება. ზოგადად, წიგნის მთავარი თემა გახლავთ ძალაულფების ინსტიტუციონალური ტრანსფორმაცია, დისციპლინარული რეჟიმის აღმასვლა და ის ურთიერთკავშირი, რაც ძალაულფების განახლებულ ფორმას და აკადემიურ სფეროს შორის ჩამოყალიბდა.ფუკო თანამედროვე ძალაუფლებრივი რეჟიმების ზემოთაღწერილ გამოვლინებას დეჰუმანიზაციას უწოდებს. ის ცდილობს, იმ გზების სინათლეზე გამოტანას, რომლის მეშვეობითაც ვახდენთ ჩვენივე თავების დისციპლინირებას ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ გარკვეული სახის ინდივიდებად ჩამოყალიბებას.

კონკრეტულად ციხეზე, ფუკო გვიმტკიცებს, რომ თანამედროვე ციხის დაბადება დაკავშირებულია კრიმინალის შექმნასთან. ის ამბობს, რომ ციხე თავად ქმნის კრიმინალს ისეთი სოციალური კატეგორიის შექმნით, როგორიც არის დამნაშავე. ამას ეწოდება კრიმინალის ეპისტემოლოგიური წარმოება. ეპისტემოლოგია ცოდნის წარმოშობის და მისი

ლიმიტების შესწავლაა. ციხის შემთხვევაში კი იგულსიხმება ის ეპისტემოლოგიური სისტემა, რომლის მეშვეობითაც გვაქვს ცოდნა, თუ რა არის კრიმინალი. სხვა სიტყვებით რომ ავხსნათ, სადამსჯელო ინსტიტუტი ქმნის კრიმინალს, იდენტიფიცირებადი სოციალური კატეგორიის მეშვეობით – ანუ ადამინაების კატეგორიის შექმნის გზით, რომლებიც ჩადიან ისეთ რაღაცებს, რასაც საზოგადოება არქმევს არასწორს და შემდეგ იღებს ზომებს, რომ არ გაიმეორონ იგი. ასეთ ადამიანებს ვუწოდებთ კრიმინალებს/დამნაშავეებს. ფუკო გვეუბნება, რომ ადამინების ამ კატეგორიაში განთავსება, მათ დეჰუმანიზაციას გულისხმობს, რადგან ინდივიდი დაყავს სტატისტიკურ მასალამდე.

დისციპლინა და სასჯელი ორი სახის ურთიერთსაპირისპირო დასჯის ფორმას განიხილავს ისტორიულ დროში. აქედან, თავდაპირველი სახის სასჯელი, მიზნად ისახავდა დამნაშავის სხეულის შეურაცხყოფას; ხოლო თანამედროვე სასჯელის ფორმა, მიზნად ისახავს, ადამიანის ნორმალიზაციას.ფუკოს პირველი მაგალითი, ერთი ადამიანის სიკვდილით დასჯის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც საფრანგეთის მეფის მკვლელობას შეეცადა 1757 წელს. ეს ადამიანი საჯაროდ დაანაწევრეს და წამების ასეთი ფორმით მოკლეს. ცერემონიას კი ხელისუფლების წარმომადგენლები უძღვებოდნენ. ფუკო ასეთი სახის სასჯელს მოძველებულს უწოდებს და ამბობს, რომ იგი მიზნად ისახავდა დამნაშავეზე შურისძიებას, მისი სხეულის შეურაცხყოფით.

ფუკოს მეორე მაგალითი, უკვე თანამედროვე პარიზის არასრულწლოვანთა გამოსასწორებელ დაწესებულებას ეხება. გამოსასწორებელი სკოლა, მკაცრი და სტრუქტურილებული განრიგის მიხედვით ოპერირებს და მასში მოთავსებული ადამიანების ცხოვრების რეგულირებას ეწევა: იგი წყვეტს ინდივიდების ქცევებს, ჭამის დროს და მანერას, ძილს, ვარჯიშს და დაბანვასაც კი. ამ სცენარში, დასჯა ხორციელდება ჩუმად და არა საჯაროდ – სპექტაკლის და ცერემონიის გარეშე. მიზანი კი აღარ გახლავთ შურიძიება, არამედ დამნაშავის გამოსწორება/ ტრანსფორმაცია. დამნაშავის ქცევის კონტროლის მეშვეობით, თანამედროვე დასჯის ფორმა მთლიანად ცვლის ინდივიდს.ფუკოსთვის ასეთი სახის ცვლილებას, რომელიც მომართულია კონტროლის სისტემიდან და რომელიც ეფუძნება ცოდნას და არა ფიზიკურ ძალას, აქვს ღრმა და ფართო სპექტრის გავლენები მთლიან საზოგადოებაზე. იგი გახლავთ თანამედროვე ძალუფლებრივი ურთიერთობის

სიმბოლიკა: დღეს ღია ძალადობა, ისეთი სახის ძალაულფების გამოვლინებამ ჩაანაცვლა, რომელიც დეტალურ ცოდნას გვთავაზობს მოქალაქეზე და გრძელვადიან ჩარევას უზრუნველყოფს მის ადამიანობაში, რათა მოხდეს მისი საქციელის მოწესრიგება.თუმცა საინტერესოა,ეს მიზანმიმართული წესრიგი - ტოტალური დასჯის ფორმაა, თუ უბრალოდ საზოგადოების კეთილდღეობაზეა ორინეტირებული.ძალაუფლება ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას,თითქოს სხვადასხვა მექანიზმით მუშაობს,მაგრამ რეალურად ის ეფუძნება ერთ მთავარ მექანიზმს,რომელსაც სხვადასხვა გამოვლენის ფორმა ახასიათებს.წინააღმდეგ შემთხვევაში მას აღარ ექნებოდა ტოტალური ხასიათი.

იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებრივი ძალაუფლების ცენტრალიზებულ წყაროებზე ფოკუსირდეს იმგვარ სამოქმედო არეალებში, როგორიც ეკონომიკა ან სახელმწიფოა, ფუკო ძალაუფლების ანალიზისას ხაზს უსვამს მიკრო-დონის ძალაუფლებრივ ურთიერთობებს. ფუკოს მიხედვით, რადგან სოციალურ სხეულს თანამედროვე ძალაუფლება კაპილარების მსგავსად სერავს, ძალაუფლება ყველაზე უკეთ თავის კონკრეტულ და ლოკალურ შედეგებში ჩანს და აგრეთვე, იმ ყოველდღიურ პრაქტიკებში, რომლებიც ძალაუფლებრივ ურთიერთობებს შეადგენს და კვლავაწარმოებს. ძალაუფლებრივი ურთიერთობების ყოველდღიურ პრაქტიკებზე ეს აქცენტი დაუკავშირდა ფემინისტურ პროექტს, რომელიც ესწრაფვის, პირადი ურთიერთობების პოლიტიკა გააანალიზოს და შეცვალოს გენდერირებული ძალაუფლებრივი ურთიერთობები გამოცდილების ყველაზე ინტიმურ დონეებზე "ქორწინების, დედობისა და სავალდებულო ჰეტეროსექსუალობის ინსტიტუტებში, სქესთა შორის 'პირად' ურთიერთობებში და იმ ყოველდღიურ რიტუალებსა და რეჟიმებში, რომლებიც ქალების საკუთარი თავისა და საკუთარი სხეულების მიმართ დამოკიდებულებებს მართავენ" (სავიცკი 1998: 93). ნენსი ფრეიზერი აღნიშნავს, რომ ფუკოს შრომები ახალ ბიძგს აძლევს იმას, რასაც ხშირად "ყოველდღიური ცხოვრების პოლიტიკას" უწოდებენ, რადგანაც ეს შრომები ქმნის "ემპირიულ და კონცეპტუალურ ბაზისს იმისთვის, რათა სექსუალობა, სკოლა, ფსიქიატრია, მედიცინა და სოციალური მეცნიერება პოლიტიკურ ფენომენებად განვიხილოთ." ფრეიზერის აზრით, რადგან ძალაუფლების ანალიზის მიმართ ფუკოს მიდგომა საშუალებას იძლევა, რომ ამ

სფეროებში არსებული პრობლემები პოლიტიკურ პრობლემებად განვიხილოთ, ის "აფართოებს იმ სივრცეს, სადაც ადამიანებს შეუძლიათ თავიანთი ცხოვრების ფორმებს კოლექტიურად დაუპირისპირდნენ, გაიგონ და მათი შეცვლა სცადონ" (ფრეიზერი 1989: 26).ის ფაქტი,რომ ფუკო ძალაუფლებას ლოკალურად განიხილავს,სულაც არ გულისხმობს იმას,რომ ის არ არის დაინტერესებული მისი გლობალური ხასიათით.პირიქით ლოკალური ანალიზი იძლევა იმის საშუალებას,რომ პოლიტიკურ ძალაუფლება უფრო ფართო მასშტაბით გავაანალიზოთ.ფუკოს მიდგომა ამ შემთხვევაში გონივრულია,დეტალებიდან იწყებს ძალაუფლების გაანალიზებას,რათა გამოამჟღავნოს ყოველდღიური ძალაუფლებრივი ურთიერთობები.თანაც აქ საგულისხმოა ერთი რამ,რომ ის ცდილობს პრაქტიკიდან ამოსვლას და არა პირიქით.ამ შემთხვევაში უფრო სანდო და მყარია ფუკოს ანალიზი,რომელიც არსებულ მოცემულობას ეყრდნობა.ის ამოდის რეალობიდან,თუმცა უფრო შორს მიდის და ინტერსდება რა ხდება რეალობის მიღმა.რეალობა ამ შემთხვევაში საზოგადოებისთვის შეიძლება იყოს ერთი,ის რაც ღიად ჩანს და ზედაპირზეა,ხოლო მეორე რაც არ ჩანს და ამ ზედაპირის მიღმაა.მიკრო-პოლიტიკურ დონეზე ძალაუფლების ფუნქციონირების შესახებ ფუკოს ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მიგნება ისაა, რომ იგი სხეულს და სექსუალობას სოციალური კონტროლის უშუალო ლოკუსად სცნობს. ფუკო ამტკიცებს, რომ სხეული ისტორიულად სპეციფიკურია. სხეული მოაზრებულია ბიოძალაუფლების ისტორიულად ცვალებადი რეჟიმების უშუალო სამიზნედ და მათ მიერ ფორმირებულად და ფემინისტი სოციალური და პოლიტიკური თეორეტიკოსებისთვის პოსტსტრუქტურალისტური თეორიის ფუკოსეული ვერსია მიმზიდველი სწორედ ამის გამოა. შეგვიძლია ვარაუდის დონეზე ვთქვათ,რომ თუ სხვები პოლიტიკურ ძალაუფლებას აანალიზებენ გლობალურად და არა მიკრო დონეზე,ეს შესაძლოა,მიმართული იყოს იმისკენ,რომ ადამიანებმა დაიჯერონ ის შესაძლო "სიკეთეები",რაც შეიძლება მოჰქონდეს პოლიტიკურ ძალაუფლებას.ფუკო კი ცდილობს ამ ილუზიის დანგრევას და იმ რეალობის გაანალიზებას,რაც არის ჩვენი,ყველას ყოველდღიურობა.ერთი შეხედვით ფუკოს მიდგომა მარტივია და

ახალი არაფერია,მაგრამ სწორედ ამ სიმარტივეში იმალება ყველაზე დიდი სირთულეები,რაც თან ახლავს ძალაუფლების ანალიზს.

ფუკო ცდილობს დაგვანახოს,რომ ის რაც ჩვენს გარშემო ხდება,ყველა ჩვენგანი თანამონაწილეა.სწორედ ყველა ჩვენგანის მეშვეობით აქვს ძალა ძალაუფლებას.არ აქვს მნიშვნელობა ამ შემთხვევაში,ფლობ თუ არა მას.დისციპლინარული ტექნოლოგიები სოციალური კონტროლის განსაკუთრებულად ეფექტური ფორმებია, რადგან ისინი ინდივიდებს მათი სხეულების, ჟესტების, სურვილებისა და ჩვევების დონეზე ეპატრონებიან და ქმნიან ინდივიდებს, რომლებიც მიჯაჭვულნი არიან საკუთარ დაქვემდებარებაზე და ამრიგად, მისი გაუცნობიერებელი აგენტებიც არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისციპლინური ძალაუფლება აყალიბებს ინდივიდებს, რომლებიც "ნებაყოფლობით" უქვემდებარებენ საკუთარ თავს თვითკონტროლს და თვითნორმალიზაციას.

ფუკომ შეიმუშავა ძალუფლების ახალი ცნება. ჩვენ ძალაუფლებას განვიხილავთ როგორც ყოველთვის ზემოდან მომავალს ერთი მიმართულებით, და ერთი წყაროდან - მმართველი, სახელმწიფო, მმართველი კლასი. ფუკოსთვის ძალაუფლებას უფრო მოძრავი, წრიული ხასიათი აქვს. ის არასდროს არის ერთი ცენტრის მიერ მონოპოლიზირებული და ქსელური ტიპის ორგანიზაციის მატარებელია.ძალაუფლების ურთიერთობები განმსჭვალავენ სოციალური არსებობის ყველა დონეს და ფუნქციონირებენ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში - ოჯახისა და სექსუალობის პრივატულ სივრცეებში, ისევე როგორც პოლიტიკის საზოგადოებრივ სივრცეებში, ეკონომიკასა და სამართალში.ძალაუფლების მეტაფიზიკის შესწავლა გვიჩვენებს, რომ ძალაუფლება აღიქმება, არა როგორც მიღწევა, არამედ როგორც სტრატეგია. ბატონობის ზეგავლენა არა „გათავისებას" არამედ მექანიზმებს, მანევრებს, ტაქტიკას ტექნიკებს, მოქმედებებს მიეწერება. მასში უნდა დავინახოთ შეუცვლელი დაძაბულობის, აქტიური ურთიერთობების ქსელი და არა პრივილეგიები, რომელსაც უნდა დაეუფლო. მისი მოდელი შეიძლება აღვწეროთ, უფრო როგორც განუწყვეტელი ბრძოლა, ვიდრე შეთანხმება უფლებებსა და უპირატესობებზე ანდა ტერიტორიების დაპყრობებზე. ძალაუფლება, უფრო მიმართების კატეგორიაში შედის, ვიდრე მიკუთვნებულობის.

ის პრივილეგია არ არის; გაბატონებული კლასების მიერ არ ხდება მისი შეძენა და შენახვა, ის ამ კლასის სტრატეგიული პოზიციების თანხვდომილი ზემოქმედებაა, რომელიც აღმოცენდება და ზოგჯერ ფართოვდება, ბატონობის ობიექტთა მდგომარეობების გამოისობით. გარდა ამისა, ძალაუფლება არ მიემართება როგორც დაკისრებული მოვალეობა ანდა აკრძალვა მასზე, ვისაც ის „არ აქვს“. ის მოიცავს ამ უკანასკნელთ, გადაეცემა მათი მეშვებით და მათი გავლით. ის მათზე იმავე ძალით ზემოქმედებს, რა ძალითაც მისი მოწინააღმდეგეები წინააღმდეგობას უწევენ. ესე იგი, ძალაუფლებრივი დამოკიდებულებები განჭოლავს პირდაპირ ხალხს. ისინი არ ლოკალიზდებიან სახელმწიფოსა და მოქალაქეთა შორის, კლასთა შორის ურთიერთობათა საზღვრებზე და არც უბრალოდ წარმოქმნიან, ინდივიდების, სხეულების, ჟესტების, მოქმედებების დონეზე, კანონის თუ მმართველობის საერთო ფორმას. ისინი გამოიხატებიან არასტაბილურობის კერებსა და შეჯახებათა უსასრულო რაოდენობის წერტილებში, რომელთაგან თითოეული თავის თავში ატარებს კონფლიქტების, ბრძოლის და უკიდურეს შემთხვევაში ძალთა თანაფარდობის დროებით ცვლილებებს. აქედან გამომდინარე, „მიკროძალაუფლებათა“ დამხობა არ ექვემდებარება „სულ ყველაფრის ან არაფრის კანონს“, ის არ მიიღწევა ერთხელ და სამუდამოდ, არც ფუნქციონირების და არც დესტრუქციის ინსტიტუტების მეშვებით.ფუკო გვიჩვენებს,რომ პოლიტიკური ძალაუფლება უფრო საშუალება არის,ვიდრე მიზანი.იგი არის გზა,რომელიც მიმართულია ძალაუფლების გაფართოებისთვისა და განმტკიცებისთვის. წარმოვიდგინოთ,რომ პოლიტიკური ძალაუფლება არის მიზანი და არა საშუალება,ეს ფაქტობრივად, ძალაუფლებას დაუკარგავს აქტიურ ბუნებას და მას აღარ ექნება ინტერაქციული ფუნქცია.ფუკო თვლიდა რომ ძალაუფლება იმიტომ კი არ არის ყოვლისშემძლე რომ ყველაფერს მოიცავს, არამედ იმის გამო რომ ყველაფრიდან გამომდინარეობს. ყველანაირი მოქმედება რომელსაც თქვენ მიმართავთ, ყველანაირი აზრი რომელსაც გამოთქვამთ, სისტემის სტრუქტურული ორგანიზაციის წყალობით ძალაუფლების კვლავწარმოებას ხმარდება. ფუკოს კვლევის მეთოდი ისტორიულია. ფუკო ასკვნის რომ ძალაუფლების სტრუქტურული რეორგანიზაცია კლასიკურ

ეპოქაში ხდება, როდესაც სხეულის დასჯას და სხეულის რეპრესიას აზროვნებაზე კონტროლი ანაცვლებს.

ფუკოს სწავლებები, კონკრეტულად ციხეზე (Discipline and Punish) და სექსუალობაზე (The History of Sexuality), გვიჩვენებს, რომ ძალაუფლებას შეუძლია იმოქმედოს არამარტო შეგნებულად, არამედ გაუაზრებლად და ანონიმურად, და რომ ძალაუფლება არამხოლოდ ამკრძალავი, ასევე შემოქმედებითიცაა. ის ადამიანებს ასე მარტივად არ უშლის კონკრეტული რაღაცების გაკეთებას და შეუძლია ადამიანები აქციოს გარკვეული ტიპის არსებებად. მის წიგნში დასჯაზე, ფუკო წერს: *"არასწორია ვთქვათ, რომ სული ილუზია ან იდეოლოგიური ეფექტია. პირიქით, ის არსებობს, მუდმივად წარმოიქმნება სხეულის გარშემო და მის შიგნით იმ ძალაუფლების ფუნქციონირებით, რომელსაც დასჯილებზე გამოსცდიან."*შეიძლება არსებობდეს ძალაუფლებათა ურთიერთობები, რომლებიც არ არის მჩაგვრელი. თუ ფუკოს ხედვა სწორია, მაშინ არსებობს ძალაუფლებათა ურთიერთობები, რომლებიც მოიცავს ჩვენი ქცევების უმეტესობას, ყველას თუ არა. ეს ქცევები, ინდივიდუალურად თუ სხვებთან კომბინაციაში, გვაქცევს გარკვეული ტიპის არსებებად.რადგან ძალაუფლება ყოვლისმომცველია, თავს ვერ ავარიდებთ კითხვას, თუ რომელი ძალაუფლებათა ურთიერთობაა მჩაგვრელი და რომელი არა. ძალაუფლების წესრიგის შემხედვარე, უნდა ვიკითხოთ ქმნის თუ არა ის ისეთ რამეს, რაც მის გავლენის ქვეშ მყოფთათვის მავნებელია.ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, ვერ ვიტყვით, რომ ის ცუდია, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალაუფლებათა ურთიერთობაა.ამასთანავე, ძალაუფლების გაგების გაფართოებით, ფუკო განავრცობს ხედვას თუ როგორ ოპერირებს დომინაცია. როგორც ზევით ავღნიშნეთ, დომინაცია მოიცავს ძალაუფლებათა ურთიერთობებს სხვადასხვა სოციალურ არენაზე. რასაც ფუკოს ანალიზი გვთავაზობს, არის ისტორიული ანგარიში იმისა, თუ როგორ ხდება ამ ურთიერთობების, და ამასთან ერთად, თანამედროვე ძალაუფლების მოქმედების უფრო დეტალური კონცეპტის წარმოქმნა. შემოქმედებითი ძალაუფლების იდეაც ამ კონცეპტს მიეკუთვნება, რადგან, როგორც ფუკოს ისტორიები გვიჩვენებს, ასეთი ტიპის ძალაუფლების არსებობა საჭიროებს განვითარებულ ტექნოლოგიებსა და უფრო დიდ მოსახლეობას ვიდრე აქამდე არსებობდა.ჩნდება კითხვა, თუ როგორ უნდა გავწიოთ წინააღმდეგობა. თუ

ძალაუფლება არსებობს ყველგან და ჩვენი ჩამოყალიბების ყველა ასპექტში იღებს მონაწილეობას, მაშ როგორ უნდა შედგეს პოლიტიკური წინააღმდეგობა? ფუკო ყოველთვის თავშეკავებული იყო ამ საკითხთან დაკავშირებით. ის თავისთავს ხედავდა, როგორც ბრძოლისთვის ინტელექტუალური ინსტრუმენტების "მიმწოდებლად", თუმცა ყოველთვის თაკილობდა ნორმატიულ ან სტრატეგიულ დისკუსიებში ჩაბმას. ეს გამომდინარეობდა მისი რწმენიდან, რომ ბრძოლის წესები უნდა გადაწყვიტონ ადამიანებმა, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ წინააღმდეგობაში, და არა ინტელექტუალებმა, რომლებიც ძალიან ხშირად მხოლოდ თავიანთი სახელის გამო ლაპარაკობენ.

„ადამიანი მოკვდა"! – როგორც ფუკომდე თითქმის ერთი საუკუნით ადრე ნიცშემ კაცობრიობას ღმერთის სიკვდილი აუწყა, ფუკო ცოდნისა და დისკურსების სამყაროდან ადამიანის გაქრობაზე ალაპარაკდა. მეცნიერულმა ცოდნამ ადამიანები დაახარისხა ნორმალურებად და არანორმალურებად, ჯანმრთელებად და ავადმყოფებად, ჭკვიანებად და გიჟებად. სამედიცინო სფეროში არსებობს მხოლოდ ავადმყოფობა და მისი სიმპტომები, ფსიქიატრიამ კი, რომელიც ახალ დროებაში გაჩნდა, ისე გარიყა სულიერ ავადმყოფებად შერაცხული ადამიანები, როგორც შუა საუკუნეებში საზოგადოება კეთრიანებს იცილებდა. ცოდნა, მცოდნეობა ძალაუფლების ინსტრუმენტი გახდა, რომლისთვისაც არსებობენ არა ცალკეული ადამიანები, არამედ მხოლოდ ადამიანთა ბიომასა. ფუკოს გამოგონილი ტერმინია „ბიო-ძალა" - ძალაუფლების ეს ტექნიკა, რომელიც მიმართულია არა ინდივიდების, არამედ მთელი მოსახლეობისაკენ და ისეთი ბიოლოგიური პროცესების დარეგულირებას გულისხმობს, როგორიცაა შობადობა, კვდომა, ჯანმრთელობა. ეპოქა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ფუკოს აზრით, არის ადამიანების, მათი სხეულების მართვის ხანა. „ძალაუფლების მიკროფიზიკა" სწორედ სხეულისა და აზროვნებისათვის გარკვეული ფორმის მიცემის, მათი მოდიფიკაციისკენაა მიმართული.

ფუკოსთან ძალაუფლება არაა ფლობის საგანი ან რომელიმე პიროვნებისა თუ სოციალური კლასის საკუთრება. ფუკოს ნაკლებად აინტერესებდა ძალაუფლების რეპრეზენტაციის თემა, მისი თვითინსცენირებები, და მან მთელი ყურადღება

რეალური მექანიზმებისაკენ გადაიტანა. „ძალაუფლება მოქმედებს მცირე ელემენტების მეშვეობით, როგორიცაა ოჯახი, სექსუალური ურთიერთობები, აგრეთვე ცხოვრების პირობები და მეზობლობა. [...] ძალაუფლება არ ექვემდებარება ფლობას, რამდენადაც ის მუდამ თამაშობს, მუდამ რისკავს. ძალაუფლება ისე მოიგება და წაიგება, როგორც ბრძოლა. მისი არსი საომარი მდგომარეობაა და არა მისაკუთრება."

ომის მეტაფორას ფუკოს ნააზრევში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: არა მხოლოდ ძალაუფლება, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობები, მათ შორის ცალკეულ ინდივიდებს შორის კამათი, მეგობრობა და სიყვარულიც კი, ომის ნიშნის მატარებელია. საზოგადოება იქმნება და ყალიბდება სამოქალაქო ომის ფონზე. „საზოგადოება", როგორც XIX საუკუნის პროდუქტი, არის არა უნივერსალური ნების გამოხატულება, არამედ ძალაუფლების მხრიდან ადამიანების სხეულებზე ერთგვარი სამედიცინო ჩარევის შედეგი, რომელიც, „საზოგადოებრივი სხეულის" სიჯანსაღის დაცვის იდეით, „სხვანაირების" იზოლაციისა თუ განადგურებისაკენაა მიმართული. ფუკოს ხშირად ნიცშეს ადარებენ და ზოგჯერ „XX საუკუნის ნიცშედაც" მოიხსენიებენ. ამგვარი შედარებების ამოსავალი პრინციპი ისაა, რომ, როგორც ნიცშემ, ფუკომაც ეჭვქვეშ დააყენა საყოველთაოდ აღიარებული თუ დამკვიდრებული ზნეობრივი ღირებულებები და იდეალები. ფუკო შეეცადა ეჩვენებინა, რომ სწორედ იქ, სადაც ყველაზე ხმამაღლა ქადაგებენ სიკეთესა და სიწმინდეს, ადამიანების დაკაბალებისა და მანიპულაციის ყველაზე სასტიკი მექანიზმები და სტრატეგიები იმალება. ძალაუფლების ძალადობრივი ხასიათი კი ყველაზე უკეთ აქ ვლინდება,სწორედ აქ იმალება პოლიტიკური ძალაუფლების ფარული მხარე,როგორც კი ეს „სასტიკი მექანიზმები" საკუთარ თავს ღიად აჩვენებს, ძალაუფლება უკონტროლო,უმართავი გახდება.პოლიტიკურ ძალაუფლებას ეძლევა სამოქალაქო ომის ხასიათი.თუ სამოქალაქო ომში იბრძვიან იარაღით,პოლიტიკური ძალაუფლების შემთხვევაში უკვე ხდება მასების მანიპულაცია.ერთი შეხედვით ომს უფრო სასტიკი ხასიათი აქვს,მაგრამ რეალურად ეს „ომიც პოლიტიკური ძალაუფლების გაგრძელება არის,ოღონდ სხვა საშუალებებთ." აქ შეგვიძლია ვთქვათ,რომ ძალაუფლება ავლენს ძალადობრივ ფორმას.რეალურად,ეს ძალაუფლება

ყველგან არსებობს,ყველაზე მეტად კი იქ,სადაც წარმოუდგენელია მისი არსებობა.ძალაუფლების საშუალებით შესაძლებელია ადამიანთა მართვა და მათ აქვთ ილუზია,რომ ისინი ფლობენ ძალაუფლებას.მაგრამ ეს ასე არ არის.ეს არის მათი შეხედულება,შეიძლება ითქვას ილუზიაც, რადგან თუ ადამიანები ფლობენ მას, ესეიგი ძალაუფლებას ეძლევა სხვა ბუნება, რომ მისი კონტორლი შესაძლებელი ხდება.ეს კი ძირს უთხრის პოლიტიკური ძალაუფლების ფუნდამენტურ მნიშვნელობას.უბრალოდ იმდენად ცვალებადია მისი ბუნება და იმდენად სწრაფად ხდება მისი ფორმირება,შეუძლებელია მისი მისაკუთრება. ფუკო ცდილობს რეალობის აღწერას,ღირებულებებისგან დამოუკიდებლად,რადგან თუ არსებობს უმაღლესი იდეალები,მაშინ რატომ ხდება ადამიანთა მიზანმიმართული გარდაქმნა და საბოლოო ჯამში იზოლირება? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად,უნდა აღვნიშნოთ,რომ პოლიტიკურ ძალაუფლებას გააჩნია,როგორც რაციონალური ისე ირაციონალური ბუნება.**რატომ არის, რომ ადამიანები, რომლებსაც ძალაუფლებას გადავცემთ, როგორც წესი, სრულიად კარგავენ იმ თვისებებს, რომელთა გამოც მათ ეს პრივილეგია მივანიჭეთ.** ეს ეხება მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროს, სადაც შეიძლება იყოს რეალიზებული ძალაუფლება – პოლიტიკა, სამუშაო ადგილი, ბიზნესი და ა.შ. როგორც წესი, ადამიანები ლიდერები ხდებიან თავიანთი სოციალური უნარების – ენთუზიაზმის, თანაგრძნობის, გუნდური მუშაობის, თავაზიანობისა და სხვათა წყალობით, მაგრამ ძალიან მალე ტრანსფორმირდებიან სოციოპათებად, განსაკუთრებით – პოლიტიკური ძალაუფლების შემთხვევაში.ფუკოს მოსაზრებების საფუძველზე კარგი იქნება განვიხილოთ არსებული მდგომარეობის საპირისპირო მოცემულობა. როგორ მოიქცევიან ადამიანები ცივილიზაციის, უფრო ზუსტად, მის მიერ დაწესებული შეზღუდვების გარეშე? როგორ მოიქცევიან ბავშვები მშობლების, სკოლის, პოლიციის, კანონის და, საზოგადოდ, ზედამხედველობის გარეშე?ეს უკვე მეორე უკიდურესობას ქმნის და მეტი სისასტიკეა მოსალოდნელი.ამიტომაც შედარებითია ყველაფერი და ამ მდგომარეობას სჯობია ისევ არსებული,სადაც მეტ-ნაკლებად არის დარეგულირებული დისციპლინის საშუალებით მდგომარეობა.მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის თქმის საშუალებას,რომ გავამართლოთ ის რაც ხდება.უბრალოდ ეს შედარება საჭიროა იმისთვის,რომ დავინახოთ პოლიტიკური

ძალაუფლების პოზიტიური ელემენტები და ცალსახად ნეგატიურად არ შევხედოთ მას.ამ აზრის განვითარებით მივდივართ,ერთ საინტერესო მოსაზრებამდე,რა არის ფუკოს მიზანი ?დაგვანახოს არსებული რეალობის დამალული მხარეები და საქმე გაართულოს,თუ იპოვოს გამოსავალი და საქმე გაამარტივოს.ფუკო,შეიძლება ითქვას აღწერს პრობლემებს და არ გვთავაზობს პრობლემათა გადაჭრის გზებს.ეს შეიძელა ითქვას მიზანიმართული ქმედებაა ან იქნებ,გამოსავალი ამ უკონტროლო ვითარებიდან არ არსებობს.ამ ყველაფერს მივყავართ პოლიტიკური ძალაუფლების რთულ ბუნებამდე.ისევ აქედან უნდა ამოვიდეთ და მეტ-ნაკლებად გავაცნობიეროთ არსებული ვითარების როგორც დადებითი,ისე უარყოფითი მხარეები.რა უფრო უმჯობესია,აგრესიით მოპოვებული ძალაუფლება,თუ როცა სხვების ინტერესების გათვალისწინებით მოიპოვებ ამ ძალაუფლებას? პირველის შემთხვევაში შეიძლება ითქვას,რომ მალე დაკარგავს ადამიანი ძალაუფლებას და თანაც აქვე უნდა აღვნიშნოთ,რომ ადამიანები ძალაუფლებას ძალასა და აგრესიასთან აკავშირებენ. მაგრამ ძალა სულაც არ არის ძალაუფლების აუცილებელი ნიშანი. ძალაუფლება სხვათა ქცევაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობაა,ხოლო მეორე მაგალითის შემთხვევაში,შეგვიძლია ვთქვათ,რომ ადამიანი მოიპოვებს აღიარებას.როგორც ვხედავთ არც ისე მარტივია ძალაუფლების მოპოვება და მით უფრო რთულია მისი შენარჩუნება.ეს ყველაფერი კი დამოკიდებულია,არა მარტო ადამიანურ ურთიერთობებზე,არამედ პოლიტიკური ძალაუფლების არსის ცოდნაზეც.ანტიკურ პერიოდში სოკრატე ამბობს,რომ „სიკეთე არის ცოდნა“,ესეიგი თუ ადამიანმა არ იცის რა არის სიკეთე,ის ვერ გააკეთებს სიკეთეს ან სხვის ჩადენილ კეთილ ქმედებას მვერ აღიქვამს სიკეთედ.ასეა,ძალაუფლების შემთხვევაში,თუ არ ვიცით რა არის მისი არსი,შეუძლებელია მისი განხორციელება.

ძალაუფლება, გავლენა და ავტორიტეტი

ძალაუფლება განსაკურებული სახის გავლენაა.თავად გავლენა კი ესაა სხვა ინდივიდების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე ზემოქმედების უნარი,ყოველგვარი ძალის გამოყენების მუქარის ისე ავტორიტეტის გარეშე.ერთი ინდივიდი შეიძლება მეორეზე ზეგავლენას ახდენდეს

პრესტიჟის,პატივისცემის,სიყვარულისა და ერთგულების საფუძველზე.გავლენას ფლობს ადამიანი,ნიშნავს იმას,რომ მას ძალუძს სისრულეში მოიყვანოს თავისი განზრახვები და ინტერესები,სანამ მას წინააღმდეგობას არ უწევენ..ძალაუფლებას კი ის ფლობს,რომელსაც სხვა ინდივიდების მხრიდან წაინააღმდეგობის მიუხედავად,ძალუძს განსაზღვროს ის,რაც მოხდება,იყოს ხდომილების,ქმედების დეტერმინანტი.

ტოტალიტარიზმის და ავტორიტარიზმის ცნებებს ხშირად ურევენ.ავტორიტარიზმით რომ დავიწყოთ,ის მომდინარეობს ლათინური ცნებიდან აუცტორიტას,რომელიც გაზრდას,განვრცობას ნიშნავს.ავტორიტეტის ცნება,როგორც ჰანა არენდტი წერს თავის ესეში „ავტორიტეტის შესახებ“ რომაული აღმოჩენა იყო.ჰანა არენდტი მიჯნავს ავტორიტეტისა და ძალაუფლების ცნებებს.იქ სადაც ძალაუფლებაა, ვერ იარსებებს ავტორიტეტი და პირიქით.არენდტის თქმით,ავტორიტეტი ეფუძნება რელიგიას და ტრადიციას.ავტორიტეტის ფლობა ნიშნავს ისეთი უნარ-შესაძლებლობების ფლობას,რომ ზეგავლენა მოახდინო სხვების მოქმედებზე ისე,რომ ამ დროს არ მიმართოს უხეშ ძალას,შთაგონების ან დარწმუნების გზას,ავტორიტეტი ესაა ძალაუფლება,რომელსაც შთაგონების ძალა აქვს.ავტორიტეტი წარმოუდგენელია საიდუმლოების შარავანდედის გარეშე,რამდენადაც ის,რაც ძალიან კარგად არის ცნობილი,ნაკლებად ფასდება.ეს კი საშუალებას გვაძლევს წარმოვაჩინოთ იგი სასურველ შუქზე.ავტორიტეტის არსი ისაა,რომ იგი ხელს უშლის ადამიანებს დაინახონ ნივთები ისე,როგორც ისინი სინამდვილეში არიან და ბჭობის,კამათისა და დაურწმუნებლობისგაგან ათავისუფლებს მათ.მასებს და თვით ცალკეულ იდივიდებსაც ხშირად მზარმზარეული აზრები და შეხედულებები უფრო ესაჭიროებათ,ვიდრე დისკუსიები და ჭეშმარიტების ძიება.ამიტომ უმეტეს შემთხვევაში,ავტორიტეტი „თავისი არსით გაზიარებული ილუზიაა“.პიროვნული ავტორიტეტი და ქარიზმა დიდად არის დამოკიდებული მასების შეხედულებებსა და რწმენებზე,ვიდრე ადამიანის ტალანტზე.

თავი III. ძალაუფლების გამოვლენის ისტორიული დისკუსის ზოგადი მონახაზი

დისციპლინარული საზოგადოება (მიშელ ფუკო)

მიშელ ფუკოს აზრით ძალაუფლების ფენომენის შესასწავლად არსაკმარისია მისი პოლიტიკური სისტემის ჩარჩოების განხილვა.ძალაუფლება საკუთარი თავის ინვესტირებას ახორციელებს ადამიანებში,მთლიანად საზოგადოებაში და მათი მეშვეობით ობიექტივირებული განსხეულდება და მუშაობს რეალობაში.მიშელ ფუკო შეისწავლიდა საზოგადოებათა განსხვავებულ ისტორიულ ტიპებს და შემდგომ კომპარატივისტული ანალიზის მეშვეობით გვიჩვენებდა თუ საზოგადოებრივი ცვლილებების ფონზე როგორ იცვლებოდა ძალაუფლების ხასიათი და ფუნქციონირების მექანიზმი.ფუკო შეისწავლის შუა საუკუნეების მონარქისტულ საზოგადოებას.ეს ერთგვარი შესავალია მისი ინტერესის ძირითადი საგნის დისციპლინარული საზოგადოების განსახილველად,რომელიც ისტორიულად პოსტ-მონარქიული საზოგადოებაა.ფუკოს შთაგონების წყაროდ იქცა იერემია ბენთამის ნაშრომი „პანოპტიკუმი",რომელსაც თავის ეპოქაში არანაირი ყურადღება არ მიუპყრია.ფუკო ცდილობს აგვიხსნას,რამ შთააგონა ბენთამს პანოპტიკუმის მოდელით მოწყობილი საზოგადოების შემოთავაზება,ფუკო მოგვითხრობს,რომ მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ადამიანებს თან სდევდა შიში ბნელი სივრცისა,რასაც აღძრავდა ბურუსის,გაურკვევლობის ფარდა,რომელიც შეუძლებელს ხდიდა საგანთა,ადამიანთა,ჭეშმარიტების ხილვადობას.აუცილებელი იყო იმ ჩაბნელებული პალატის ჩამონგრევა,რის მიღმაც იფარებოდა პოლიტიკური მაქინაციები,მეფეთა ხუშტურები,რელიგიური ცრურწმენები.რევოლუციამ მოიტანა უნდობლობა და სიძულვილი საპატიმროების,საავადმყოფოების,მორგების, ე.წ გამოსასწორებელი დაწესებულებების და მონასტრების მიმართ.

ფუკოს მაგალითად მოჰყავს ანა რედკლიფის ნაწარმოებები,სადაც უხვადაა მთები,ტყეები,გამოქავბულები,ჩამონგრეული ციხესიმაგრეები,მონასტრები და გამეფებული წყვდიადი და მდუმარება მკითხველს უნერგავს საშინელებათა გრძნობას,ეს წარმოსახული სივრცეები მტრობენ ყოველგვარ გამჭირვალობას,შეუძლებელს ხდიან საგანთა ხილვადობას და სწორედ ამის

აღკვეთას ცდილობდს ახალი რევოლუციური სული.ამ ვითარებაში ბატონდება შეხედულება,რომ საზოგადოებაში სამართლიანი ძალაუფლების გარანტი შეიძლება იყოს მხოლოდ საყოველთაო გამჭირვალობა,კოლექტიური მზერის თითოეულ საგანთა მოვლენაზე,ასევე კოლექტიურად ადამიანთა ურთიერთ კონტროლი,რათა სამართლიანობის მზერას არ გამოჰპარვოდა არცერთი შემთხვევა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების.ძალაუფლების მამოძრავებელ ძალად უნდა ქცეულიყო საზოგადოებრივი აზრი,რომელიც უკვე აღარ შეეგუებოდა წყვდიადით მოსილ არცერთ ალაგს.

იერემია ბენთამის მიერ შემუშავებული იდეალური პანოპტიკური ციხე,რომელიც ფუკომ ძალაუფლებრივი ტექნიკების ანალიზისათვის გამოიყენა.პანოპტიკუმი წარმოადგენს რკალისებული ფორმის,საკნებად დიფერენცირებულ შენობას,რომლის ცენტრშიც ამ დილეგებში დატუსაღებული ადამიანების მაკონტროლებელი კოშკურა დგას.შემთხვევით არ არის კოშკურა ისე მოწყობილი,როგორც იერემია ბენთამი განიხილავს.არქიტექტურა,როგორც ადამიანებზე,საზოგადოებაზე,მათი ნებისგან დამოუკიდებლად,პირდაპირ მოქმედი იდოლოგიური ფენომენია,ის ხდება საშუალება,რომ გარეგნული ბრწყინვალებით დაფაროს ავტორიტარულ-ძალადობრივი რეჟიმი.ეს არის კულტურულ-პოლიტიკური სიმბოლოების ერთობლიობა,რომელიც ადამიანურ შესაძლებლობათა და მოთხოვნათა დაკმაყოფილების საშუალება არის.პანოპტიკუმის არქიტექტურული კომპოზიციის თავისებურება არის ის,რომ პატიმარი კოშკურიდან სრულიად ხილული და გაშიშვლებულია.პატიმარი ყოველთვის არის ინფორმაციის ობიექტი და არა კომუნიკაციის სუბიექტი.ფუკოს თანახმად პანოპტიკუმის პრინციპი კლასიკური დილეგებისაგან რადიკალურად გასხვავებულია.ტრადიციულ საპყრობილეში პატიმარი კონტროლდებოდა აბსოლუტური წყვდიადითა და უხილავობით,ხოლო პანოპტიკუმის მიკვეთრი საინათლე და მეთვალყურეობის მზერა ატყვევებს და ბოჭავს იზოლირებულ პატიმარს.გავიხსენოთ გოფმანის მიერ აღწერილი პაციენტების მდგომარეობა,როდესაც მათ სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლისა და სადამსჯელო ოპერაციების,მორალური აღზრდის შედეგად უყალიბდებათ თვითკონტროლის უნარი და ქცევის სტერეოტიპული მოდელი.გოფმანის

დაკვირვების თანახმად პაციენტს მუდმივი შთაგონებისა და ზედამხედველობის ძალით საკუთარ თავზე შეშლილის წარმოდგენა ექმნებათ.ზედამხედველობის შიშით (რომელიც შეიძლება არც ხორციელდებოდეს) ისინი ბოჭავენ საკუთარ ემოციებსა და ქცევებს და ამით თავადვე არიან ძალაუფლებრივი მექანიზმის თვითგანმახორციელებლები.“პანოპტიკუმი სასწაულმოქმედი მანქანაა,რომელიც როგორც არ უნდა გამოიყენო,ძალაუფლების ერთგვაროვან ზემოქმედებას აწარმოებს“.რეალური მორჩილება მექანიკურად იქმნება წარმოსახული და ფიქციური ურთიერთობიდან.პანოპტიკუმი არის ერთგვარი ძალაუფლების ლაბორატორია და პოლიტიკური ტექნოლოგიის ფორმა,რომელიც ამცირებს ძალაუფლების წარმომადგენელთა რაოდენობას და ამავდროულად ზრდის მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანთა რიცხვს.პანოპტიკური მოდელი წარმოადგენს დისციპლინარული პროგრამისა და ძალაუფლების განხორციელების რაციონალურ ტექნიკას,განსხვავებით შავი ჭირით დაავადებული ქალაქის მაკონტროლირებული მექანიზმისაგან,რომელიც წარმოადგენს ძალადობაზე დაფუძნებულ დისციპლინარულ მოდელს,ისევე როგორც გოფმანისეული ტოტალური ინსტიტუციები,კერძოდ კი ფსქიატრიული დაწესებულებები,საბოლოოდ მივიღეთ დისციპლინის ორი განსხვავებული ფორმა. 1)დისციპლინა იზოლაციისა და მკაცრი შიდა განაწესის სახით,რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დისციპლინა-ბლოკადა და 2) დისციპლინა-მექანიზმი,რომელიც ძალაუფლების ეკონომიასა და ეფექტურობას უზრუნველყოფს და ვრცელდება საზოგადოების მთელ სხეულზე.პანოპტიკუმის ძირითადი ამოცანა - პატიმრის მუდმივ ხილვადობაში ყოლა,უზრუნველყოფს ძალაუფლების ავტომატურ ფუნქციონირებას,არქიტექტურული აპარატი პანოპტიკუმი მანქანაა,რომელიც ადმიანისგან დამოუკიდებლად ქმნის და ინარჩუნებს ძალაუფლებრივ მიმართებას.არქიტექტურის მეშვეობით სივრცის ფუნქციონალურად მოწყობის შემდგომ ეტაპად ძალაუფლება უჯრედულად დაყოფილ სეგმენტებში განათავსებს ინდივიდებს,სადაც ისინი შეზღუდული არიან დროით განზომილებაშიც.სივრცისა და დროის დაპყრობით ძალაუფლება ახდენს ინდივიდთა აზროვნების დახშობას,გარდა იმისა,რომ ძალაუფლება იპყრობს ფიზიკურ სხეულებს,ის თავის საცეცებს მათ ცნობიერებაში ჩაუშვებს და ეს მეთოდი

უფრო მეტის მომცემია,ვიდრე უშუალოდ იძულება გამოხატული ფიზიკური ზემოქმედების მეშვეობით.ფუკო მიიჩნევდა,რომ დისციპლინარულ საზოგადოებაში ინიდივიდთა მუშტირირების მეთოდები საოცრად მრავალფეროვანი იყო.მაგალითად,განათლების სისტემაში გამოცდები თითქოს ცოდნის შეფასების კრიტერიუმად მსახურობდნენ,მაგრამ ირიბი გზით ისინი ასევე ძალაუფლების ხელში ინდივიდთა მორჩილების ქვეშ ყოფნის საშუალებად გვევლინებოდნენ.ფუკო ხაზს უსვამს,რომ ნებისმიერი დისციპლინა ორინეტირებულია დეტალებზე,რამეთუ დისციპლინა ეს არის დეტალის პოლიტიკური ანატომია.ფუკო იხსენებს მარშალ დე საკსის სიტყვებს : „თუმცა იმათ,ვისაც დეტალებში კირკიტი უყვართ,შეზღუდულ ადამიანებად მიიჩნევენ,მე მეჩვენება,რომ დეტალი მთავარია,ის ფუნდამენტს აყალიბებს და შეუძლებელია შენობის აღმართვა ანდა მეთოდის გამომუშავება,თუ კი არ იცნობ ,ათ საფუძველს.საკმარისი არაა გიყვარდეს არქიტექტურა,უნდა შეგეძლოს ქვათა გარანდვა“.ფუკო თვლიდა,რომ არქიტექტურა იარაღია ძალაუფლების ხელში და იგი ფუნქცნიონალურად მოაწყობს საზოგადოებრივ ველს,ადამიანურ საერთო საცხოვრებელს,რათა მასში ინდივიდთა გარკვეული წესით განთავსებით შემდგომში განსაზღვრულ იქნეს მათივე ყოფიერებაც.

ტოტალური კონტროლის ახალი ფორმები

(მიშელ ფუკო; ჰერბერტ მარკუზე)

ფუკოს ანალიზი პოლიტიკური ძალაუფლების თაობაზე ,მიანიშნებს ძალაუფლების ტოტალურ ხასიათზე.რასთან დაკავშირებითაც საინტერესოა ჰერბერტ მარკუზეს შეხედულებები,რომელიც გველაპარაკება თანამედროვე იდუსტრიულ საზოგადოებაში კონტროლის ახალ ფორმებზე,რაც შეიძლება ითქვას ფუკოს ნააზრევის გაგრძელებაა.მარკუზე ცდილობს ტოტალიტარულის უფრო ფათო ასპექტში გაანალიზებას და ამ ცნების დაზუსტებას.მარკუზესთან „ტოტალიტარულის“ ცნება უფრო ფართოდ მოაზრება : იგი ნიშნავს არა მხოლოდ საზოგადოების ტერორისტულ მართვა-კოორდინაციას,არამედ ეკონომიკურ-ტექნიკურ კოორდინაციასაც მოთხოვნილებათა მანიპულირების გზით.დღეს უკვე პოლიტიკური ხელისუფლება თავის ძალაუფლებას ინარჩუნებს და ამყარებს არა

შიშის და ტერორის გზით,არამედ თანამედროვე წარმოებისა და ტექნოლოგიების კონტოლის გზით.რაც უფრო რაციონალური,პროდუქტიული,მაღალტექნოლოგიური და ტოტალური ხდება საზოგადოების მართვა,მით უფრო ძნელია წარმოვიდგინოთ ის საშუალებები და გზები,რითაც ინდივიდი დაძლევდა ამ მონობას.თავისუფლებები და უფლებები ასეთ საზოგადოებაში ხდებიან ბატონობის ინსტრუმენტი.მარკუზე წერს : „თუ კი მუშა და მიდი ბოსი ერთობიან ერთი და იგივე პროგრამით,კითხულობენ ერთი და იგივე გაზეთს ან ატარებენ ერთი და იგივე ავტომობილს,ეს მეტყველებს მართვის და ბატონობის სისტემის უნივერსალურობაზე.“ყველაფერი ეს უყალიბებს ინდივიდს წინასწარგანსაზღვრულ ჩვევებს,რეაქციებს,განწყობებს,რომლითაც იგი მიბული ხდება მთლიან სისტემაზე.ასე ყალიბდება ერთგანზომილებიანი აზროვნების და ქცევის მოდელი და საბოლოო ჯამში ერთგანზომილებიანი ადამიანი.დღევანდელი პოსტინდუსტრიული საზოგადოება მარკუზეს აზრით არის ჰიბრიდი კეთილდღეობის სახელმწიფოსა და ომის სახელმწიფოსი,რა არის ძირითადი ტენდენცია ასეთი საზოგადოების? ესაა ეროვნული ეკონომიკის კონცენტრაცია მსხვილ კორპორაციათა მოთხოვნილებათა ირგვლივ,რასაც თან ახლავს მთავრობის მაკონტროლებელი როლი.თანამედროვე (პოსტ) ინდუსტრიულ საზოგადოებაში ტრანსფორმაცია განიცადა თავად ექსპლუატაციის ფორმამ და ხასიათმა.ტექნოლოგიური ტოტალობის შიგნით ეს მექანიზებული,ავტომატიზირებული თუ კომპიუტერიზირებული შრომა გვევლინება გამომათაყვანებელ,გამომადებილებელ,არაადამიანურმონობად.

ტექნიკური პროგრესის სიმბოლო, – კომფორტული, მშვიდი, გონივრული დემოკრატიული განძარცვა თავისუფლებისაგან – გაბატონდა მთელს განვითარებულ ინდუსტრიულ ცივილიზაციაში. მართლაც, რა იქნებოდა იმაზე უფრო რაციონალური, ვიდრე ინდივიდუალობის ჩახშობა მექანიზაციის საზოგადოებრივად მტკივნეულ, მაგრამ აუცილებელ პროცესში: ინდივიდუალური ინიციატივების გაცილებით ეფექტურ, გაცილებით პროდუქტიულ კორპორაციებში კონცენტრირება; თავისუფალი კონკურენციის რეგულირება თანაბრად ღარიბ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის; პრეროგატივების შეკვეცა და ნაციონალური სუვერენიტეტი, რომელიც აფერხებს რესურსების ინტერნაციონალური ტიპის ორგანიზებას. ის, რომ

ეს ტექნოლოგიური წესრიგი აგრეთვე წარმოშობს პოლიტიკურ და ინტელექტუალურ კოორდინაციას, შეიძლება სავალალო, ან პირიქით – იმედის მომცემი განვითარების წინაპირობა იყოს.ეს არის განვითარებული ინდუსტრიული ცივილიზაციის მიზანი, ტექნოლოგიური რაციონალობის „დასასრული“. თუმცა, ფაქტობრივად, აბსოლუტურად განსხვავებული ტრენდი მუშაობს: *აპარატი მის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოთხოვნილებებს აფართოებს, რათა დაიპყროს სამუშაო და თავისუფალი დრო, მატერიალური და ინტელექტუალური კულტურა. შემდეგ კი დაიცვას ეს სტატუს-კვო.* იმ ძალების გათვალიწინებით რომლითაც ის ორგანიზებას უწევს საკუთარ ტექნოლოგიურ ბაზას, თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოება *არსით ტოტალიტარულია.* ტოტალიტარულობა არ აიხსნება მხოლოდ საზოგადოების პოლიტიკური კოორდინაციის ტერორისტული ხასიათით. იმავე წარმატებით იგი შეიძლება აიხსნას მშვიდობიანი ეკონომიკურ-ტექნოლოგიური კოორდინაციით, რომელიც ოპერირებს მანიპულაციებითა და ელიტური, კანონით ზურგგამაგრებული ინტერესებით. ამგვარად, იგი აფერხებს ეფექტური ოპოზიციის წარმოქმნის პროცესს. შედეგად არა მხოლოდ სპეციფიკურ მთავრობათა და პარტიათა მმართველობაა ტოტალიტარული, არამედ *წარმოებისა და დისტრიბუციის სპეციფიკური სისტემა, რომელიც, შესაძლოა, მშვენივრად მოერგოს პარტიათა „პლურალიზმს“, “ძალთა ბალანსს“, ოპოზიციურ გაზეთებსა და ჟურნალებს და ა.შ. როგორც ჩანს ტოტალური კონტროლის ახალი ფორმები გონივრულად არის გაბატნოებული საზოგადოების დიდ ნაწილზე და* ემსახურება ინდივიდის გაქრობას.ადმიანები ხდებიან სისტემის ნაწილი და იძულებულნი არიან სისტემას ემსახურონ.მათი რეალიზაცია ამ პროცესში არს პოლიტიკური ძალაუფლების პროდუქტი.თუ მოხდა „ინდივიდის ჩახშობა“,ესეიგი მანქანა წარმატებით მუშაობს.ეს ყველაფერი იმდენად ეფექტურია,რომ ადამიანებს თითქოს მოსწონთ ამ მდგომარეობაში ყოფნა,შინაგანი პროტესტის არსებობის შემთხვევაში კი ეს პროტესტი იმდენად ხანმოკლე აღმოჩნდება,რომ ინდივიდები ვერ ახერხებენ მის გამოხატვას.ადამიანს უწევს ტოტალური რეჟიმის მსხვერპლი გახდეს და იხელმძღვანელოს მზა რეცეპტით,ის რაც უკვე დანერგილია.ეს მდგომარეობა არაფრით განსხვავდება ფუკოს ანალიზისგან,თუ მარკუზესთან მექანიზაციის

საშუალებით ხდება ინდივიდების „ჩახშობა“,ფუკოს შემთხვევაშიც ანალოგიურად ხდება სახელმწიფო დაწესებულებებში,ორივეს შემთხვევაში მიზანი ერთია,ადამიანი გახდეს სისტემის ნაწილი და პოლიტიკური ძალაუფლების ინსტრუმენტი.ის უფლებები და თავისუფლებები,რომლებიც ერთი შეხედვით შესაძლებელია კომფორტული იყოს,მეორე შეხედვით იძენს საშიშ ფორმებს.სახელმწიფო ინდივიდებს ანახებს,რომ ის მათზე ზრუნავს და აძლევს უფლებებს,რომ საკუთარი თავი დაიცვან,მაგრამ ეს უფლებები ისევ მათ წინააღმდეგ არის შექმნილი.როგორ არის ადამიანის ბედი ასეთ სამყაროში და არის თუ არა იგი პოლიტიკური ძალაუფლების მსხვერპლი? თუ ეს მხოლოდ მითია და რეალურად ადამიანებს მოსწონთ მფარველობა ვიღაცის მხრიდან.შიშველი ფაქტი, რომ მანქანის ფიზიკური ძალა აღემატება ადამიანისას, წარმოშობს ალბათობას, ეს მანქანა თავად იქცეს ეფექტურ პოლიტიკურ ინსტრუმენტად ნებისმიერ საზოგადოებაში, რომლის საბაზისო ორგანიზაციული მოწყობა მექანიზირებული პროცესებითაა განპირობებული. მაგრამ პოლიტიკური ტრენდი შესაძლოა შემობრუნდეს: არსებითად მანქანის ძალა ადამიანის მიერ დაგეგმილი და განსაზღვრული ძალაა.საზოგადოებაში.ამრიგად ძალაუფლება იქცა საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერი მოვლენის მნიშვნელობის კრიტერიუმად.

შრომის პროცესის ანალიზი საშუალებას მოგვცემს ახალი ბერკეტი მოვიპოვოთ და უფრო ხელშესახები გახდეს ძალაუფლების ფარული მხარეები.თუ აქამდე პროლეტარის შრომა ცხოველური იყო და მარგინალიზებული იყო საზოგადოებისგან,დღეს პირიქით მოხდა,თანამედროვე ექპლუატაციის ფორმებმა მოახდინა მშრომელის სრული ინტეგრირება ტექნოლოგიურ უნივერსუმში.მაგრამ მიუხედავად აღნიშნული ტრანსფორმაციებისა,ექსპლუატაციის რეალური არსი არ იცვლება! თუ კონტროლის ფორმები დაიხვეწა და შეიცვალა ადმინისტრაციული კონტროლის ფორმებით,სულაც არ ნიშნავს იმას,რომ შრომის ხასიათი შეიცვალა.ყველაზე კარგად მშრომელი ადამიანის სახე ასახავს სისტემის ბუნებასა და პოლიტიკური ძალაუფლების პარადიგმას.ისეა მოწყობილი სისტემა,რომ ადამიანები იძულებულნი ხდებიან,ყველა თუ არა,უმეტეს შემთხვევაში იმუშაონ სისტემურად და მათზე ვიღაცამ იბატონოს.თუმცა შრომა ამ ნეგატიური მოდუსების გარდა,არ

გამორიცხავს ასევე ადამიანის კეთილდღეობასაც.მარკუზე ინტერვიუში საუბრობს მუშისა და სისტემის ურთიერთობაზე,რომ „ვერ გათვლი, როგორ შეიძლება დაემხოს ასეთი სიმჭიდროვისა და ძალის მქონე სისტემა, რადგან ის უმცირეს პროვოკაციასაც კი მთელს მის ძალაუფლებას დაუპირისპირებს. ეს რომ სიმართლე ყოფილიყო, მაშინ ეს მსოფლიოს ისტორიაში პირველი მარადიული სოციალური სისტემა იქნებოდა. ვფიქრობ, რომ დღესდღეობით ბზარები საკმაოდ ღრმაა. სისტემის შინაგანი წინააღმდეგობანი უფრო მწვავეა, ვიდრე ოდესმე: პირველ რიგში, დაპირისპირება ერთი მხრივ უზარმაზარ სიმდიდრესა და მეორე მხრივ, მის რეპრესიულ და დესტრუქციულ გამოყენებას შორის; გარდა ამისა, მიდრეკილება ავტომატიზაციისადმი, რაც კაპიტალიზმისთვის აუცილებელია, თუკი გაფართოებული წარმოების შენარჩუნება სურს.“ ავტომატიზაცია წარმოების პროცესიდან ფიზიკური სამუშაო ძალის გაქრობას იწვევს და ამგვარად,შეიძლება ითქვას,რომ სისტემის შინაგანი წინააღმდეგობანი ხდება კაპიტალიზმის გადარჩენის საფუძველი.ფუკოს პოზიციიდან თუ შევხედავთ მარკუზეს მოსაზრებებს,არსობრივად ორივე ერთი და იგივეა.ფუკოს შემთხვევაში ადამიანები მუშაობენ საგანმანათლებლო ,სადამსჯელო და სხვა დაწესებულებებში და წარმოების ნაწილი ხდებიან და სწორედ აქ გვევლინებიან იმ „მუშათა კლასად“,რომელიც არის მართული და მეტ სარგებელს იღებს არა მშრომელი,არამედ ის ვისაც ემსახურებიან.მაგრამ როგორია ზოგადი სურათი?თითქოს სამუშაო ადგილები შექნილია ადამიანების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად,მაგრამ ეს უფრო მიმართულია იმისკენ,რომ ადმიანებმა ვეღარ იაზროვნონ,როგორც ინდივიდებმა და იაზროვნონ როგორც სისტემის ნაწილმა.ეს მომენტი კარგად ასახავს,თუ რამდენად პროგრესულად განვითარდა სოციალური ცვლილებები და რა სიკეთეები მოუტანა საზოგადოებას.

ფუკოს ეხმიანება ირვინ გოფმანიც,რომელმაც ფსიქიატრიულ დაწესებულებაში პაციენტებსა და პერსონალებზე ხანგრძლივი დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად დაწერა წიგნი „თავშესაფარი“.ნაშრომის უმთავრესი აღმოჩენა არის ტოტალური ინსტიტუტის“ კონცეპტი,რომელიც წარმოადგენს ადამიანური ცხოვრების ყველა ასპექტისა და წავრილმანის ტოტალური კონტროლისა და ზედამხედველობის

განმახორციელებელ დაწესებულებას.გოფმანისეული ტოტალური ინსტიტუციების თავისებურებები და მისი ფუნქციონირება უფრო კარგად და თვალსაჩინოდ გამოიკვეთება მიშელ ფუკოს ნააზრევთან შედარებისა და შეპირისპირების ფონზე.“შეშლილობის ისტორია კლასიკურ ეპოქაში“ ფსიქიატრიული დაწესებულების სოციალური ფუნქციისა და მისი ისტორიის ერთ-ერთ კლასიკურ ნაშრომად ითვლება,რომელშიც ფუკომ საარქივო ისტორიულ დოკუმენტებზე დაყრდნობით აღწერს სულიერად დაავადებული ინდივიდების საზოგადოებისგან იზოლაციის პრაქტიკებს.ფუკოს ერთ-ერთი ძირითადი ინტენცია არის ისტორიული ფაქტის პრობლემატიზაციითა და თემატიზირებით თანამედროვე საზოგადოების დიაგნოზის დასმა.ის ცდილობს იმის წარმოჩენასა და დასაბუთებას,რომ თანამედროვე „ტოტალური ინსტიტუტები“ კვლავ მემკვიდრეობით მიღებული სტრუქტურების ფუნქციონალური გავლენის ქვეშ არიან.ამგვარ სტრუქტურებს კი განეკუთვნებოდნენ „შეშლილობის ისტორიაში“ აღწერილი,1657 წელს,hospital general-ის მსგავსი დაწესებულებები,რომელთა შინა განაწესიავალდებულებდა ადამიანს ლოცვასა და შრომას.ტოტალურ ინსტიტუტებში დატუსაღებული სუბიექტის რესოციალიზაციის ერთადერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მორალურ-იძულებითი აღზრდის შედეგად ინდივიდუალური ცნობიერების ტრანსფორმაცია და მის კოლექტიურ ცნობიერებასთან აბსოლუტური გაიგივება.სწორედ აქედან იღებს სათავეს ნორმისა და პათოლოგიის,შეშლილობისა და რაციოს დიქოტომია და დაპირისპირება.ასევე შეგვიძლია გოფმანისეული დესკრიფცია დავუკავშიროთ ფუკოს ერთ ნაშრომს „დისციპლინასა და სასჯელს“,კერძოდ წიგნის მესამე თავს,რომელშიც ფუკომ ძალაუფლების განხორციელების ორი განსხვავებულიი პარადიგმა აღწერა.მე-17 საუკუნეში გავრცელებული შავი ჭირის პრევენციის მიზნით ხელისუფლება საკმაოდ შემაშინებელ და დამთრგუნველ ზომებს მიმართავდა.მკაცრი და აბსოლუტური კონტროლი მთელ სივრცეზე,სახლებისა და მისი უახლოესი შემოგარენის ჩაკეტვა და იზოლაცია,სიკვდილის,დასნეულებისა და დასჯის შიშით საკუთარი სახლებიდან გავლის აკრძალვა,მეთვალყურის დაჟინებული მზერა და მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების ყოვლისმომცველი კონტროლი,საგუშაგოები და სათვალთვალო კოშკები,ზედამხედველობა,რომელიც

დაფუძნებულია მუდმივი რეგისტრაციის ცენტრალიზებულ სიტემაზე.საკუთარ ავადმყოფობასა და სიკვდილთანაც კი ინდივიდების დამოკიდებულება ძალაუფლების წარმომადგენელთა მიერ განხორციელებული რეგისტრაციის შედეგად გამოტანილ დასკვნებსა და გადაწყვეტილებაზე გადის.დახურული და სეგმენტირებული სივრცე,ნებისმიერი გადაადგილებისა და მოძრაობის კონტროლი,ლოკალიზებული ინდივიდები,ამგვარ სიტუაციაში ძალაუფლება მოქმედებს დაუნაწევრებელი,უცვლელი იერარქიული სისტემის მიხედვით,ყველაფერი ეს კი წამოადგენს დისციპლინარული მექანიზმის კომპაქტურ მოდელს.შავ ჭირს ხვდებიან და უპირისპირდებიან წესრიგით,ფუკოს თანახმად სწორედ შავმა ჭირმა წარმოქმნა დისციპლინარული სქემები და ზედამხედველობის სიღრმისეული სტრუქტურები.შავი ჭირით დასნეულებული ადამიანის სახლში დატუსაღება და მისი ტოტალური კონტროლი რადიკალურად განსხვავდება კეთროვანისადმი ხელისუფლების დამოკიდებულებისაგან.ძალაუფლების განხორციელების მექანიზმსა და დისციპლინარული საზოგადოების მეორე მოდელს წარმოადგენს ინგლისელი უტილიტარისტი მოაზროვნისა და იურისტის,იერემია ბენთამის მიერ შემუშავებული იდეალური პანოპტიკური ციხე,რომელიც ფუკომ ძალაუფლებრივი ტექნიკების ანალიზისათვის გამოიყენა.პანოპტიკუმი წარმოადგენს რკალისებული ფორმის,საკნებად დიფერნცირებულ შენობას,რომლის ცენტრშიც ამ დილეგებში დატუსაღებული ადამიანების მაკონტროლებელი კოშკურა დგას.ამ არქიტექტურული კომპოზიციის თავისებურება არის ის,რომ პატიმარი კოშკურიდან სრულიად ხილული და გაშიშვლებულია.პატიმარი ყოველთვუს არის ინფორმაციის ობიექტი და არა კომუნიკაციის სუბიექტი.ფუკოს თანახმად პანოპტიკუმის პრინციპი კლასიკური დილეგებისაგან რადიკალურად გასხვავებულია.ტრადიციულ საპრყრობილეში პატიმარი კონტროლდებოდა აბსოლუტური წყვდიადითა და უხილავობით,ხოლო პანოპტიკუმის მიკვეთრი საინათლე და მეთვალყურეობის მზერა ატყვევებს და ბოჭავს იზოლირებულ პატიმარს.გავიხსენოთ გოფმანის მიერ აღწერილი პაციენტების მდგომარეობა,როდესაც მათ სამედიცინო პერსონალის მიერ კონტროლისა და სადამსჯელო ოპერაციების,მორალური აღზრდის შედეგად უყალიბდებათ თვითკონტროლის უნარი და ქცევის სტერეოტიპული

მოდელი.გოფმანის დაკვირვების თანახმად პაციენტს მუდმივი შთაგონებისა და ზედამხედველობის ძალით საკუთარ თავზე შეშლილის წარმოდგენა ექმნებათ.ზედამხედველობის შიშით (რომელიც შეიძლება არც ხორციელდებოდეს) ისინი ბოჭავენ საკუთარ ემოციებსა და ქცევებს და ამით თავადვე არიან ძალაუფლებრივი მექანიზმის თვითგანმახორციელებლები.“პანოპტიკუმი სასწაულმოქმედი მანქანაა,რომელიც როგორც არ უნდა გამოიყენო,ძალაუფლების ერთგვაროვან ზემოქმედებას აწარმოებს“.რეალური მორჩილება მექანიკურად იქმნება წარმოსახული და ფიქციური ურთიერთობიდან.პანოპტიკუმი არის ერთგვარი ძალაუფლების ლაბორატორია და პოლიტიკკური ტექნოლოგიის ფორმა,რომელიც ამცირებს ძალაუფლების წარმომადგენელთა რაოდენობას და ამავდროულად ზრდის მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფ ადამიანთა რიცხვს.პანოპტიკური მოდელი წარმოადგენს დისციპლინარული პროგრამისა და ძალაუფლების განხორციელების რაციონალურ ტექნიკას,განსხვავებით შავი ჭირით დაავადებული ქალაქის მაკონტროლირებული მექანიზმისაგან,რომელიც წარმოადგენს ძალადობაზე დაფუძნებულ დისციპლინარულ მოდელს,ისევე როგორც გოფმანისეული ტოტალური ინსტიტუციები,კერძოდ კი ფისქიატრიული დაწესებულებები,საბოლოოდ მივიღეთ დისციპლინის ორი განსხვავებული ფორმა. 1)დისციპლინა იზოლაციისა და მკაცრი შიდა განაწესის სახით,რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ დისციპლინა-ბლოკადა და 2) დისციპლინა-მექანიზმი,რომელიც ძალაუფლების ეკონომიასა და ეფექტურობას უზრუნველყოფს და ვრცელდება საზოგადოების მთელ სხეულზე.

განმანათლებლობა, როგორც ძალაუფლების პროექტი (მიშელ ფუკო, იმანუელ კანტი, თეოდორ ადორნო, მაქს ჰორკჰაიმერი, იურგენ ჰაბერმასი)

შეიძლება ითქვას,რომ განმანათლებლობა არის ძალაუფლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტი,რომელიც საზოგადოებაში ეფქტურად მუშაობს და ძალაუფლების არეალს უფრო მეტად აფართოებს.აღნიშნული მოსაზრების დასაზუსტებლად,კარგი იქნება ერთმანეთს შევადაროთ რამდენიმე ავტორის

მოსაზრებები,სადაც დავინახავთ განმანათლებლობის როლსა და მნიშვნელობას ძალაუფლებასთან მიმართებაში და უფრო ნათლად დავინახავთ რამდენად არის შესაძლებელი განმანათლებლობა ძალაუფლების გარეშე.

რა არის განმანათლებლობა?“ ეს არის ადამიანის გამოსვლა უმწიფრობიდან. კონკრეტულად კი, ეს გამოსვლა მდგომარეობს გაბედვაში იმსჯელო დამოუკიდებლად, ავტორიტეტებზე და მსჯელობებზე დაყრდნობის გარეშე. "უმწიფრობა" აქ ადამიანური ნების გარკვეული მდგომარეობაა, როდესაც ავტორიტეტის აზრი ფარავს პიროვნულ განსჯებს, ხოლო "განმანათლებლობა" კი სიმამაცის აქტია, რომელიც პიროვნულად უნდა განხორციელდეს. „უმწიფრობაში ყოფნა ძალიან კომფორტულია. თუ მაქვს წიგნი, რომელიც განსჯას შემიცვლის, მოძღვარი, რომლიც სინდისის მაგივრობას გამიწევს, ექიმი, რომელიც დიეტას ჩემს მაგივრად განსაზღვრავს და ა.შ. - და ა.შ. მაშინ საკუთარი ძალისხმევა აღარ დამჭირდება..“ კანტი ასკვნის, რომ ძალიან ძნელია ინდივიდუალურად გამოსვლა უმწიფრობიდან და რომ ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.კანტი ასკვნის, რომ ძალიან ძნელია ინდივიდუალურად გამოსვლა უმწიფრობიდან და რომ ეს მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ. ამიტომ კანტი უფრო „ადვილი საქმის“ - საზოგადოების უმწიფრობიდან გამოყვანის შესახებ მსჯელობას იწყებს: კანტი მსჯელობს გონების ორგვარ გამოყენებაზე: გონების კერძო და საჯარო მოხმარების შესახებ.გონების კერძო მოხმარება (გამოყენება) კი არის ყოველდღიური საქმიანობა, სამსახური, სამუშაო, ის, რაც ეხება კონკრეტულ ვითარებას, რომელშიც ჩვენ კონკრეტული პოზიცია გვიკავია და კონკრეტული სამუშაოს შესრულება გვევალება. გონების საჯარო მოხმარებისას ადამიანი მეცნიერი ხდება, გონების კერძო მოხმარებისას კი ის არის ის, რა სამუშაოსაც ასრულებს - მუშა, ჯარისკაცი, მღვდელი, ექიმი, მასწავლებელი.ამდენად პროგრესული ხელისუფლების პოზიცია, უცნაურად გამოიყურება და დაიყვანება ფორმულაზე : „იმსჯელეთ და იდავეთ რამდენიც გენებოთ,მაგრამ დამემორჩილეთ!“ აქ ნათელი ხდება,რომ ხელისუფლება ცდილობს ადამიანების სააზროვნო პოტენციალის ჩაკვლას და პარადოქსი ისაა,რომ ის აძლევს თავისუფლებას და ამავდროულად ზღუდავს კიდეც მათ.საინტერესოა,ასეთ ვითარებაში ხალხი უფრო თავისუფალია,თუ უფრო მეტად შეზღუდული? იქნებ

თავისუფლება ამ შემთხვევაში მხოლოდ ილუზიაა და რეალურად საზოგადოება,ძალაუფლების პროექტში ერთვება გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად.შეიძლება,ითქვას სწორედ ეს არის საზოგადოების ბედი.ეს გახლავთ განმანათლებლობის ის ძირითადი დისკურსი,საიდანაც შესაძლებელი ხდება ძალაუფლების მოპოვების საშუალებების მოძიება.ამ შემთხვევაში,განმანათლებლობა ძალაუფლების მექანიზმად გვევლინება.ამ აზრს ავითარებსკიდევ ერთი ტექსტი, რომელიც განმანათლებლობას ეხება და რომელიც ძალიან პოპულარული იყო მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, არის თეოდორ ადორნოს და მაქს ჰორკჰაიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკა“.წიგნის ავტორები მსჯელობენ კაპიტალიზმის განვითარებაზე,რომ ამ განვითარებას მივყავართ არა სოციალური რევოლუციისკენ,არამედ ტოტალიტარიზმისაკენ და ფაშიზმისკენ.განმანათლებლობა საწარმოო ძალებსა (მუშებს) და საწარმოო ურთიერთობებს შორის წინაამღდეგობას გარდაქმნის სიმბიოზად, რის შედეგადაც წარმოიშობა ფაშიზმი და ტოტალიტარიზმი.ეს დეტალი დასტურია იმისა,რომ განმანათლებლობა,რომელიც უნდა იყოს საზოგადოების განვითარების საფუძველი,რეალურად პირიქით რეგრესის მიზეზი ხდება.ესეც ძალაუფლების ერთგვარი გამოხატულება არის,განმანათლებლობა გვევლინება მასების მანიპულაციის საშუალებად,რომელიც ეფექტურად მუშაობს.ჰორკჰაიმერისა და ადორნოს აზრით, განმანათლებლობა და, მაშასადამე, მთელი დასავლური ცივილიზაცია დადაღულია შინაგანი თვითგამანადგურებელი დიალექტიკის ნიშნით, რადგანაც ბუნებაზე სულ უფრო სრულად ბატონობის პრეტენზია ადამიანის ადამიანზე პროგრესულ ბატონობად და ინდივიდის სოციალური სისტემისადმი დამონებად იქცევა: ,,განმანათლებლობა მუდამ ისახავდა მიზნად შიშის გრძნობისგან ადამიანთა გათავისუფლებას და პატრონებად მათ გადაქცევას. მაგრამ მთლიანად განათლებული დედამიწა ტრიუმფალური უიღბლობით გაღდასმული ბრწყინავს...”.მართალია განმანათლებლობა ნიშნავდა ავტორიტეტებისგან დამოუკიდებლად აზროვნებას,მაგრამ მას საკითხავია,მას ნეგატიური შედეგი უფრო მეტად მოჰყვა,თუ პოზიტიური.თუ ჰერბერტ მარკუზეს დავეყრდნობით,ერთგანზომილებიანი ადამიანი ამჟამინდელი საზოგადოების

შეშლილი ინდივიდია, ის, ვისთვისაც გონება რეალობასთან იგივდება, რის გამოც ის ვერ ხედავს სხვაობას არსებულსა და იმას შორის, რაც უნდა იყოს. ამიტომაც ადამიანს იმ სისტემის გარეთ, რომელშიც ცხოვრობს, არსებობის სხვა შესაძლო სახეობები არ ესახება.კიდევ ერთი ტექსტი,რომელიც მნიშვნელოვანი არის განმანათლებლობის საკითხის გარშემო გახლავთ,იურგენ ჰაბერმასის „საჯარო სფეროს სტრუქტურული ტრანსფორმაცია“.სადაც ავტორი ეხება კომუკინაციას,რომელიც შეიძლება ითქვას,უფრო მჭიდროს აკავშირებს განმანათლებლობასა და ძალაუფლებას. ჰაბერმასი წერს : ევროპული მაღალი კულტურა წარმომადგენლობითიდან იქცა ღიად: ახალ დრომდე თვით-პრეზენტაცია მხოლოდ ერთეულებს შეეძლოთ და ასევე, მხოლოდ ერთეულებს ქონდათ ამის უფლება. სალონებმა და ყავის სახლებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ თვით-პრეზენტაცია პრინციპულად შესაძლებელი გახდა ყველასათვის.შეიძლება,ეს დადებით ფაქტად ჩაითვალოს,რომ თვით-პრეზენტაცია ყველასთვის ხელმისაწვდომია,მაგრამ აქაც იმალება საინტერესო მარცვლები და შესაძლოა, ეს ფაქტი საფრთხეებს შეიცავდეს.შემთხვევითი არ არის,რომ შეიქმნა სრულიად ახალი საჯარო კულტურა,რომელიც დამყარებულია კომუნიკაციაზე და რომლიდანაც გამომდინარეობს კომუნიკაციის აუცილებლობა.ამ კომუნიკაციაში კი - ნათლად ჩანს ძალაუფლების მნიშვნელობა,რომელიც ვლინდება ინტერაქციებში,რაზეც ფუკო მსჯელობდა.კომუნიკაცია ხდება განმანათლებლობის მთავარი იარაღი ძალაუფლების პროექტის განსახორციელებლად.

1984 წელს მიშელ ფუკომ გამოაქვეყნა „რა არის განმანათლებლობა?“-ის საკუთარი ვერსია.ფუკო იწყებს თავის ტექსტს დებულებით, რომ კანტი პირველია, ვინც განსაზღვრა თავისი დრო არა როგორც ეპოქა, ან პერიოდი, არამედ, როგორც გასასვლელი რაღაცისაკენ.განმანათლებლობა, ფუკოს განსაზღვრებით, არის ნებას, ხელისუფლებას და გონების გამოყენებას შორის მანამდე არსებული ურთიერთობის სახეცვლილება. ეს სახეცვლილება უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ამ სამის ერთმანეთის გარეშე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობის შესაძლებლობის კვლევაში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე მივდივართ დასკვნამდე, რომ თანამედროვე სამყაროში გონების ყოველი საჯარო გამოყენება განმანათლებლობის

პროექტში მონაწილეობაა, ვიცით და ვაცნობიერებთ ამას თუ არა.გონების ნებისმიერი საჯარო გამოყენება განმანათლებლობის პროექტში მონაწილეობაა.ფუკო ცდილობდა გამოეკვლია, რამდენად არის შესაძლებელი განმანათლებლობა ძალაუფლების გარეშე. ფუკოს ტექსტიდან ჩანს, რომ ძალაუფლების მოშორება განმანათლებლობისათვის განმანათლებლობის მხოლოდ კრიტიკულ განხილვაზე (ანუ, ფილოსოფიაზე) დაყვანით შეიძლება.პრაქტიკული დასკვნა კი გამაფრთხილებელია: გონების ნებისმიერი საჯარო გამოყენება, რაოდენ არ უნდა ემიჯნებოდეს ის ნებისმიერ იდეოლოგიას და ძალაუფლებას, არის განმანათლებლობის დიდ პროექტში მონაწილეობა, შესაბამისად - დიდი იდენტობის შექმნაში და ძალაუფლების მოპოვებაში მონაწილეობის მიღება. იმ შემთხვევაშიც, როდესაც გონების საჯარო გამოყენება პრინციპულად უარყოფს ძალაუფლებას, ის უკვე მონაწილეობს განმანთლებლურ პროექტში, რომელიც წარმოსახვითი საზოგადოების შექმნაზე, და შესაბამისად ძალაუფლების მოპოვებაზეა მიმართული: იმიტომ, რომ: 1. ქმნის დიდ იდენტობას, რომლის მონაწილეებიც უპირობოდ აღიარებენ ძალაუფლებისაგან საკუთარი თავის გამიჯვნას; 2. ხელს უწყობს ძალაუფლების მოპოვებას იმ ინდივიდების მიერ, რომლებმაც იციან, თუ როგორ გამოიყენონ ამ ძალაუფლების უარმყოფელი იდენტობის არსებობა საკუთარი ძალაუფლების მოსაპოვებლად. შესაბამისად, როდესაც ვიყენებთ ჩვენს გონებას საჯაროდ, უნდა ვიცოდეთ ორი რამ: 1. ჩვენ ამით უკვე ვმონაწილეობთ განმანათლებლობის რომელიღაც მცირე პროექტში და ვიღებთ მონაწილეობას რომლიღაც წარმოსახვითი საზოგადოების შექმნაში; 2. შესაბამისად, ჩვენ ვიღებთ მონაწილეობას ძალაუფლების რომელიღაც პროექტში;

საბოლოო ჯამში,შეიძლება ითქვას,რომ ძალაუფლება სხვადასხვა ფორმით ახორციელებს თავის პროექტებს.მისთვის აუცილებელია მექანიზმები,რითაც ის საზოგადოებისთვის მისაღები იქნება.სწორედ ეს მექანიზმები განაპირობებს ძალაუფლების არსებობის,განმტკიცებისა და შენარჩუნების პერსპექტივას.

თავი IV ძალაუფლების ფსიქოანალიზი

ყოფნისა და ფლობის პრინციპები ცოდნასა და ძალაუფლებაში

(ერიხ ფრომი)

ერიხ ფრომი (23, 1900, ფრანკფურტი - გ.18 მარტი, 1980, ლოკარნო) ფსიქოლოგი, ფილოსოფოსი, ფსიქოანალიტიკოსი, ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენელი, ერთ-ერთი ფუძემდებელი. კაპიტალისტური ფასეულობების უარმყოფელი და სოციალური რეკონსტრუქციის მომხრე ფრომი არც ტრადიციულ კონსერვატიზმის იდეოლოგიას იზიარებდა.

ჩვენ იშვიათად ვხდებით „ყოფნის“ მოდუსს დასავლურ საზოგადოებაში, რადგან ჩვენს საზოგადოებას ძლიერი მიდრეკილება გააჩნია საკუთრების შეძენისა და მოგების მიღებისაკენ.შესაძლებელია,ყოველივე ეს ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა.სწორედ საკუთრება წარმოადგენს ძალაუფლებასთან მიმართებაში,ყოფიერების საზრისსაც. ამის გამო, უამრავი ადამიანი არსებობისათვის ყველაზე მისაღებ და ბუნებრივ პრინციპად, „ფლობას“ მიიჩნევს. ყველაფერი ეს სირთულეებს ქმნის ადამიანების მიერ „ყოფნის“, როგორც ცხოვრების პრინციპის გაცნობიერებაში და იმის შეგნებაში, რომ „ფლობა“ – ცხოვრების მხოლოდ ერთერთი ორიენტაციაა. სწორედ ამის გამო,ადამიანებისთვის უფრო პრიორიტეტული ხდება „ფლობა“ რაიმესი და მას ავიწყდება,რომ ყოფნის პრინციპი არა ნაკლებ მნიშვნელოვანია.ეს მონაკვეთი კარგად ასახავს ძალაუფლების მნიშვნელობას და ადამიანების დამოკიდებულებას მის მიმართ.მაგრამ მიუხედავად ამისა,ამ ორივე ცნებას ფესვები ადამიანის გამოცდილებაში აქვს გადგმული. არ შეიძლება არცერთი მათგანის, განყენებულად და წმინდა რაციონალურად განხილვა; ერიხ ფრომი წერს : რომ „ისინი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ირეკლებიან და კონკრეტულ ანალიზს მოითხოვენ. „ ძალაუფლების შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი – „ძალაუფლების ქონის“ და „ძალაუფლებად ყოფნის“ – ორი განსხვავებული შემთხვევაა. თითქმის ყველა ჩვენთაგანს, ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე მაინც, გვიწევს ძალაუფლების გამოყენება.” სწორედ ეს განსხვავებული შემთხვევა ძალაუფლების რაციონალურ და ირაციონალურ ბუნებაზე მეტყველებს.არის რაღაც რასაც გონებაში მოვიაზრებთ,მაგრამ არის ისეთი რამ,რაც გონებაზე მაღლა დგას და

შეუძლებელია მისი მოხელთება.სწორედ ამიტომაც არის ძალაუფლების ფენომენი,ასეთი რთული და კომპლექსური.ფუკოს მსგავსად,ერიხ ფრომიც ცდილობს ყოფითი ცხოვრების მაგალითები მოიყვანოს და გვანახოს,რომ ძალაუფლება არ არის ისეთი რამ,რაც ჩვენგან შორის არის და მხოლოდ თეორიულად შეგვიძლია მისი განხილვა.პირიქით,მას სურს ანახოს,რომ ის ჩვენთვის ახლობელია და ის ჩვენი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია.

ბავშვების აღზრდისას, ადამიანები – სურვილის მიუხედავად – ახორციელებენ ძალაუფლებას, იმისათვის რომ დაიცვან ისინი საფრთხისაგან, და მისცენ რჩევები გარკვეულ სიტუაციებში ქცევის შესახებ. პატრიარქალურ საზოგადოებაში, მამაკაცების უმრავლესობისთვის ბავშვებთან ერთად ძალაუფლების ობიექტად ქალიც ითვლება. ბიუროკრატიული, იერარქიულად მოწყობილი საზოგადოების წევრების უმრავლესობა ყოველდღიურად ახორციელებს ძალაუფლებას, გამონაკლისებს მხოლოდ ყველაზე დაბალი სოციალური ფენის ადამიანები წარმოადგენენ, რომლებიც მხოლოდ ამ ძალაუფლების განხორციელების ობიექტები არიან.ადამიანი ძალაუფლებას გაცნობიერებულად და გაუცნობიერებლად ახორციელებს.ადვილი შესაძლებელია,როცა ფიქრობს,რომ მან ძალაუფლება არ გამოიყენა,პირიქით სწორედ მაშინ მოხდა მის გამოყენება.როდესაც ვსაუბრობთ ამ ფენომენზე,აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ,რომ ის არის არა პროგნოზირებადი და შეუძლებელია მისი ბუნების ამოცნობა.თუ ჩვენ ვცდილობთ,უფრო მეტად გავიაზროთ ის და ჩაწვდეთ,ესეც მხოლოდ პირობითი იქნება და რაც მეტ ცოდნას შევიძენთ მის შესახებ,მით მეტი ბუნდოვანება და არ ცოდნა გვექნება სახეზე.შეიძლება ითქვას,სწორედ ეს არის ძალაუფლების ხიბლი,რაც ასე ძალიან გვიზიდავს.

ძალაუფლების არსებობის ამა თუ იმ პრინციპთან შესაბამისობაში აღქმის და მისი სრულად გააზრებისათვის, ჩვენთვის აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ სიტყვა „ძალაუფლება“ – საკმაოდ ფართო ტერმინია და ორი განსხვავებული მნიშვნელობა გააჩნია: ის შეიძლება „რაციონალური“, ან „ირაციონალური“ იყოს. „რაციონალური“ ძალაუფლება კომპეტენტურობას ეფუძნება; ასეთი სახის ძალაუფლება ხელს უწყობს, მასზე დაყრდნობილი ინდივიდის ზრდას. ირაციონალური კი – ძალიდან გამომდინარეობს და მასზე დაქვემდებარებული ინდივიდის ექსპლუატაციას ემსახურება.არიან ადამიანები,რომლებიც ძალაუფლებას

ახორციელებენ და არიან ისინი ვინც ძალაუფლების განხორციელების ობიექტები არიან.ამ შემთხვევაში ადამიანები იძულებით ან ნებყოფლობით ერთვებიან ამ პროცესში,ადამიანთა ნაწილს მოსწონს მორჩილებაში ყოფნა,რადგან ამით საკუთარ თავს უსაფრთხოდ ყოფნის გარანტიას აძლევენ,თავს არიდებენ ზედმეტ პასუხისმგებლობას.რამდენად რეალური და მყარია ეს გარანტი,ეს უკვე სხვა თემა არის.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ, ერიხ ფრომთან ძალაუფლების გაუცხოების პროცესს,როდესაც მუნდირი,ტიტული ანუ გარეგანი ნიშნები ენაცვლებიან რეალურ შინაარსს.“მეფე შეიძლება იყოს გაუნათლებელი და ბოროტი, ანუ ძალაუფლების განსახორციელებლად ყველაზე არაკომპეტენტური ადამიანი; ამის მიუხედავად ის „ფლობს“ ძალაუფლებას. სანამ მას აქვს მეფის წოდება, ითვლება, რომ მას აქვს თვისებები, რომლებიც მას კომპეტენტურად აქცევენ. შიშველიც, რომ იყოს ყველას სჯერა რომ მეფე შესანიშნავად არის ჩაცმული.“ ამ შემთხვევაში წოდება კომპეტენციის შეფასების კრიტერიუმად იქცევა,რაც არ არის სწორი და სამართლიანი.ისინი ვინც ფლობენ ამ გარეგან ნიშნებს,მაქსიმალურად ცდილობენ სხვა ადამიანთა სააზროვნო პოტენციალის ჩახშობას,რის შედეგადაც ადამიანთა უმეტესობა კარგავს დამოუკიდებლობას,კრიტიკული განსჯის უნარს და შესაბამისად წყვეტენ რეალობის აღქმას მისი ჭეშმარიტი სახით.მაგრამ მხოლოდ ეს არ უნდა იწვევდეს ძალაუფლების გაუცხოებას,ამ შემთხვევაში სოკრატეს პოზიციიდან შევხედოთ ამ ვითარებას,სოკრატე ამბობდა : „სიკეთე არის ცოდნა“,ანუ თუ არ ვიცი რა არის სიკეთე,ვერ გავაკეთებ კეთილ საქმეს.შეგვიძლია,სიკეთის ნაცვლად ჩავსვათ ძალაუფლება,“ძალაუფლება არის ცოდნა“,თუ ადამიანმა არ იცის რა არის ძალაუფლება,ის შეიძლება მხოლოდ ერთჯერადად ,მოიპოვოს და ვერ შეძლოს მისი სწორი გამოყენება,შენაჩუნება.ამის არ ცოდნა კი,ბუნებრივია გამოიწვევს ძალაუფლების გაუცხოებას.ადამიანმა რაც ნაკლები იცის მისი შენარჩუნების ტექნოლოგიებზე,რაზეც მაკიაველიც საუბარობს „მთავარში“,უფრო შორდება ამ ფენომენს და ვეღარ ახერხებს მასთან რელევანტური დამოკიდებულების შექმნას.ამის შემდეგ ის ვარდება ილუზიაში,რომ ფლობს ძალაუფლებას და შეუძლია მის ყველანარ სიტუაციაში გამოყენება.ძალაუფლებაც ადამიანივით სიტუაციურია,ის

მართალია შეიძლება არსებობდეს ყველგან,მაგრამ მისი გამოყენება არ არის გამართლებული ყველა ვითარებაში.ვინაიდან,ის გადაიზრდება ძალადობაში და სწორედ აქ უნდა დავინახოთ ის ზღვარი,რომელიც ფუკომ გაავლო ძალაუფლებასა და ძალადობას შორის,მაგრამ მიუხედავად ამისა,მაინც არ ქრება.ძალაუფლების გაუცხოება,რაზეც ფრომი მსჯელობს,კავშირშია ფუკოს ანალიზთან,სადაც ის უარს ამბობს ძალაუფლებრივ ცენტრზე,მაგრამ მიუხედავად ამისა მიკროდონეზე ასეთი ცენტრები მაინც ნარჩუნდება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას,რომ გაუცხოება ძალაუფლების ფენომენს უფრო მეტად ართულებს და უფრო არა პროგნოზირებადსა და სახიფათოს ხდის.

დიქტატორთა ანალიზი და არქეტიპები

(კარლ გუსტავ იუნგი)

ნიკერბოკერი ერთ-ერთი საუკეთესო ამერიკელი კორესპონდენტი გახლდათ (პულიტცერის პრემიის ლაურეატი), ვინც საბჭოთა კავშირის, იტალია-ეთიოპიის ომის, ესპანეთის სამოქალაქო ომის, ბრიტანეთისათვის ბრძოლის და სხვა საინტერესო მოვლენების შესახებ წერდა. დაიღუპა ავიაკატასტროფაში 1949 წელს, ბომბეიში.

იუნგს ნიკერბოკერი კიუსნახტში ეწვია 1938 წელს. ეს გახლავთ იუნგის მიერ მიცემული ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი ინტერვიუ, რომელიც 1949 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში “Hearst’s International Cosmopolitan”.

ნიკერბოკერი და კარლ გუსტავ იუნგი განიხილავენ სამი დიქტატორს,მუსოლინს,ჰიტლერსა და სტალინს.შეიძლება ითქვას,ამ ადამიანების სახით უფრო კარგად წარმოვიდგენთ ძალაუფლების მნიშვნელობას და იმ პარამეტრებს ,რომელსაც სცდება ძალაუფლების წყურვილი.იუნგი საუბრობს იმის შესახებ,თუ როგორ და რა პირობებში შეიძლება ადამიანმა მიიღოს ძალაუფლება და მოიპოვოს სხვადასხვა გზით.ერთია,როდესაც ძალაუფლებას ფლობ და არავის მოუნიჭებია ის და მეორეა,როდესაც სხვების საშუალებით იღებ ძალაუფლებას.ერთი მეორისგან განსხვავდება,მაგრამ საერთო ის,არის რომ ადამიანები ორივე შემთხვევაში სხვებზე ფლობენ გავლენას და იერარქიულად უფრო მაღლა დგანან.ასევე პირველი

უფრო მყარი და ხანგრძლივი შეიძლება აღმოჩნდეს,ხოლო მეორე დროებითი,რადგან ძალაუფლებას სხვები განიჭებენ და სწორედ ამ „სხვებს“ შეუძლიათ ძალაუფლების ჩამორთმევაც.იუნგს ამის მაგალითად მოჰყავს ბელადისა და შამანის მდგომარეობა.“პრიმიტიულ საზოგადოებაში ძლიერი ადამიანის ორი ტიპი არსებობდა. ერთი მათგანია ბელადი - ფიზიკურად უფრო ძლიერი, ვიდრე მისი მეტოქეები; მეორეა შამანი, ძლიერი არა თავისთავად, არამედ ხალხის მიერ მისთვის მინიჭებული ძალაუფლების წყალობით. ამგვარად, ესაა იმპერატორი და რელიგიური თემის მეთაური. იმპერატორი, როგორც ბელადი, ფიზიკურ ძალაუფლებას ფლობდა ჯარისკაცებზე; წინასწარმეტყველის ძალაუფლებას კი, როგორსაც შამანი წარმოადგენდა, - ესაა მისი არა ფიზიკური, არამედ რეალური ძალაუფლება, რომელსაც იგი იმის შედეგად ფლობდა, რომ ადამიანები მას ზებუნებრივ უნარებს მიაწერდნენ.“

იუნგის მიზანია დაგვანახოს,რომ არ არსებობს რაღაც ობიექტურად განსაზღვრული საშუალებები,მზა რეცეპტები,რომლითაც ყოველთვის,ყველა ვითარებაში შესაძლებელი იქნება, ძალაუფლების მოპოვება.ძალაუფლების მოპოვება დაკავშირებულია ადამიანის ინდივიდუალურ უნარებთანაც,იმ შესაძლებლობებთან,რითაც ის სხვებისგან განსხვავდება და ის რაც მას უნიკალურს ხდის.შეიძლება,ვისაუბროთ ასევე ძალაუფლება,რომელიც არის პერსონალური და უნიკალური და ძალაუფლება,რომლის მოპოვებაც ყველას ხელეწიფება.იუნგის ანალიზის შემთხვევაში სტატუსი არ განსაზღვრავს ძალაუფლების დონეს და არც ავტორიტეტს.ამას კი ისიც განსაზღვრავს,ხალხისთვის შამანის ძალაუფლებას მოაქვს მეტი სიკეთეები,თუ იმპერატორის ძალაუფლებას.

ეხლა კი ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საილუსტრაციოდ, განვიხილოთ თითოული დიქტატორის პორტრეტი.იუნგის მიხედვით,მუსოლინი ფიზიკური ძალის ადამიანია, მისი გონებრივი აგებულება შეესაბამება მის კლასიფიკაციას, მას ბელადის ტვინი აქვს.სტალინიც იმავე კატეგორიას ეკუთვნის, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ის შემოქმედი არ არის.გონებრივი თვალსაზრისით სტალინი იმდენად საინტერესო არ არის, როგორც მუსოლინი, რომელსაც იგი პიროვნების ძირითადი ტიპის მიხედვით ჰგავს, და არაფერი აქვს საერთო ისეთ საინტერესო

სახეობასთან, როგორსაც ჰიტლერი ეკუთვნის, - შამანის, ადამიან-მითის სახეობასთან.თუმცა ამ ნაწილში არ დავეთანხმები იუნგის მოსაზრებას,სტალინი იყო შემოქმედი ადამიანი და გლობალური მნიშვნელობის პიროვნება.თუ ადამიანი არ არის შემოქმედი,ის ისტორიას ფიზიკურად აღარ ემახსოვრებოდა.ჰიტლერის ძალაუფლება არა პოლიტიკური, არამედ მაგიურია.ის პირველი ადამიანია, რომელმაც თითოეულ გერმანელს უთხრა ის, როგორც მას წარმოუდგენია საკუთარ არაცნობიერში გერმანიის ბედი.ჰიტლერმა უფრო უკეთესად წარმოიდგინა,თუ რას ფიქრობდნენ გერმანელები. საინტერესო იქნება განვიხილოთ ამონარიდი ჰიტლერის მერ დაწერილი წიგნიდან „ჩემი ბრძოლა“: „სულიერი ტიპის, დიდი, მართლა მსოფლიოს მომცველი რევოლუციების მოფიქრება და განხორციელება მხოლოდ ერთეულების ტიტანური ბრძოლის შედეგია და არა კოალიციების ძალისხმევისა“.ეს იმას ნიშნავს, რომ გადამწყვეტი ქმედების ძალა ერთეულების ხელშია, ყოველ კაცს უდგანან გვერდში მრჩევლები, მაგრამ გადაწყვეტილებას ის ერთი კაცი იღებს.

ამას შეგვიძლია ფუკო დავუკავშიროთ,რომლისთვისაც ცოდნა და ძალაუფლება,ძალცოდნა გახდა.

მნიშვნელოვანია გავიაზროთ,თუ რა ვითარებაში იგდებენ ადამიანები ძალაუფლებას.თუ რა გარემოებაში იმყოფებიან ისინი,როდესაც ხდებიან დიქტატორები.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ დიქტატორებად პირად გარემოებათა მიზეზით იქცევიან,დიქტატორთა შესახებ კანონი უნდა გავიხსენოთ: „დევნის ის, ვისაც დევნიდნენ“. დიქტატორებმა უნდა გადაიტანონ ის, რასაც დიქტატორობამდე მიყვანა შეუძლია. მუსოლინიმ იმ მომენტში ჩაიგდო ძალაუფლება, როდესაც ქვეყანა ქაოსში იმყოფებოდა, მუშათა კლასი თავს აღწევდა მორჩილებას და ადამიანებს ბოლშევიზმის საფრთხე აშინებდა.

ჰიტლერი მაშინ მოვიდა, როდესაც ეკონომიკურმა კრიზისმა დაბლა დასწია ცხოვრების დონე, უმუშევრობა კი გაუსაძლის საფეხურამდე გაზარდა, შემდეგ კი დიდმა ინფლაციამ, მიუხედავად მომდევნო სტაბილიზაციისა, მთელი საშუალო კლასი სიღარიბემდე მიიყვანა. ჰიტლერმა, ისევე, როგორც მუსოლინიმ, ძალაუფლება ხალხისგან მიიღო, რის გამოც მათთვის ძალაუფლების ჩამორთმევა შეუძლებელია.

ნიშანდობლივია, რომ ჰიტლერიცა და მუსოლინიც საკუთარ ძალაუფლებას უმთავრესად დაბალ და საშუალო ფენებს, მუშებსა და გლეხებს აფუძნებენ.

მაგრამ, მოდით გარემოებებს დავუბრუნდეთ, რომელთა დროს დიქტატორები ძალაუფლებას იგდებენ ხელთ. სტალინი მოვიდა, როდესაც ლენინის, ბოლშევიზმის უნიკალური შემოქმედის, სიკვდილმა პარტია და ხალხი ბელადის, ქვეყანა კი განსაზღვრული მომავლის გარეშე დატოვა. ამგვარად, დიქტატორები ადამიანური მასალისგან იქმნებიან, რომელიც გადაულახავ საჭიროებათაგან იტანჯება. ევროპის სამი დიქტატორი ჯოჯოხეთურად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ მეტად, ვიდრე ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი ხალხები.იუნგი გამორიცხავს,რომ დიქტატორი გახდე ხალხის ნდობის გარეშე,სწორედ ხალხი არის გარანტი და მძლავრი მექანიზმი იმისა,რომ ხდები დიქტატორი.შემთხვევით არ არის,რომ იუნგმა აიღო დიქტატორის ფენომენი,მას შეეძლო სხვა რომელიმე პიროვნება,რომელიც ფლობს ძალაუფლებას და მისი ანალიზი შემოეთავაზებინა,მაგრამ ეს მან არ გააკეთა.მისი ჩანაფიქრი,ალბათ მდგომარეობს იმაში,რომ დიქტატორის ანალიზით ძალაუფლებაზე უფრო ფართო წარმოდგენა შეგვექმნა,გლობალურად შეგვეხედა მისი მნიშვნელობისთვის.ამ შემთხვევაში არსებითია ის,რომ ამოვიდეთ დიქტატორის დეფინიციიდან,ეს არის სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდველი ძალაუფლებით.შეიძლება ითქვას დიქტატორი,რომელიც არის შეუზღუდველი ძალაუფლების სიმბოლო,გარკვეულწილად შემოქმედიც არის.ეს უფრო ცხადი გახდება, თუ დიქტატორის სიმბოლოს ავხსნით იუნგის კოლექტიური არაცნობიერის მიხედვით.კოლექტიური არაცნობიერი ეს არის ინდივიდის არაცნობიერი ნაწილი,რომელიც ევოლუციურად არის ჩამოყალიბებული,თანდაყოლილია და საერთოა ადამიანური სახეობის თითოეული წარმომადგენლისთვის.არის რაღაც ობიექტური,რითაც შესაძლებელია ძალაუფლების მოხელთება და ეს არის სწორედ ის თანდაყოლილი უნარი, რაც არის საყოველთაო.თუმცა ერთია თანდაყოლილი,ხოლო მეორეა შეძენილი.სწორედ ის რაც შეძენილია,ის ხდის ძალაუფლებას უნიკალურს.იუნგისთვის კოლექტიური არაცნობიერი უნივერსალური ადამიანური მოგონებებისა და ემოციური ხატების საცავი იყო.კოლექტიური არაცნობიერის უკეთ

ასახსნელად იუნგმა არქეტიპის ცნებაც შემოიტანა.არქეტიპი არის ამა თუ იმ,კონკრეტული გამოცდილების ან/და ობიექტის პრიმიტული სიმბოლური წარმოდგენა და რეპრეზენტაცია.თითოეული არქეტიპი მოიცავს მის შესახებ არსებული აზრებისა და განცდის ასოცირებულ,ინსტიქტურ ტენდენციას.შეოიძლება ითქვას,რომ იუნგის მიხედვით,სამივე დიქტატორს მიუხედავად განსხვავებისა,ჰქონდა რაღაც უნივერსალური და მათ აერთიანებდა სწორედ კოლექტიური არაცნობიერი.იუნგს სურს დაგვანახოს,თუ უკიდურესი სახე შეიძლება მიიღოს ძალაუფლებამ.დიქტატორის სიმბოლოს თუ გავაანალიზებთ,ადვილი შესაძლებელია,ვივარაუდოთ რომ მუსოლინზე,სტალინსა და ჰიტლერზე ბავშვობაში ძალადობდნენ ან ისეთ მდგომარეობაში აღიზარდნენ,რამაც გალენა იქონია მათ ფსიქოემოციურ მდომარეობაზე.თავის დროზე დაგროვილი ემოციები,რომელიც დამახინჯებულ ფორმებში გადაზიარდა და გამომჟღავნდა სწორედ მაშინ,როცა მათ ხელთ იგდეს ძალაუფლება.დიქტატორი სიმბოლოა ტოტალური რეჟიმისა და იმ კონტროლის,რაზეც საუბრობდნენ მიშელ ფუკო,ჰერბერტ მარკუზე თუ სხვები.კარგი იქნება და უფრო საინტერესო,თუ იუნგის ფსიქოანალიზსს ადლერის მოსაზრებებით განვავრცობთ. **ალფრედი** იყო ცნობილი ავსტრიელი ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი და *ინდივიდუალური ფსიქოლოგიის* ფუძემდებელი ფსიქოანალიზის წიაღში. მისი თეორიის ცენტრალური ცნებები არის ***არასრულფასოვნების განცდა***, როგორც ადამიანის მოტივატორი, სოციალური ინტერესი და მისი მნიშვნელობა, ***არასრულფასოვნების კომპლექსი, ძალაუფლების კომპლექსი*** და ***ბავშვის დაბადების რიგის გავლენა*** მის პიროვნებაზე.ადლერი იყო ერთ-ერთი თეორეტიკოსი, რომელსაც მიაჩნდა, რომ ფსიქიკა ცალსახად მემკვიდრეობით არ განისაზღვრება. მისი განვითარება სრულიად სოციალური ფაქტორებით არის განპირობებული.

ადლერის ფსიქოანალიტიკაში წავაწყდებით ისეთ ნიუანსებს,რითაც უფრო კარგად დავინახავთ ძალაუფლების ფარულ მხარეებს.ადლერი ამბობს,რომ „იქ სადაც არის ძალაუფლებისკენ მისწრაფება ყოველთვის მოიძებნება შურის ადგილიც, განკიცხულობის ამ გრძნობის მრავალფეროვანი გამოვლინებებია დაუკმაყოფილებელი პატივმოყვარეობის სიმპტომები, მეზობლებზე უფრო მეტის ქონის ან ყველაფრის ქონის სურვილიც კი. ასეთი სახის შურიანები არ ამბობენ რომ

ყველაფრის ქონა უნდათ, რამეთუ სოციალური გრძნობა არ აძლევს მათ ამის გაფიქრების უფლებას, თუმცა ისინი ისე მოქმედებენ, თითქოს ამქვეყნად ყველაფრის დაუფლების სურვილი აქვთ.აქ კარგად ჩანს ადამიანების მისწრაფება,მათ იმდენად სურთ ძალაუფლება,რომ ხშირად იმიტომ ესწრაფვიან მისკენ,რომ ისინი ხედავენ,რომ სხვებს მათზე მეტი გააჩნიათ.ერთია,როცა ძალაუფლებისკენ ისწრაფვი იმიტომ,რომ დაიკმაყოფილო საკუთარი ინტერესები და მეორე კი,იმიტომ ესწრაფვი ძალაუფლებას,რომ ხედავ შენზე მეტი აქვს სხვას და ეს გიქმნის არასრულსფასოვნების კომპლექსს.ყოველივე ზემოთ აღნიშნული მიუთითებს ადამიანის სურვილზე იყო სხვების მხრიდან აღიარებული.ძალაუფლება მას სწორედ აღიარებისთვის სჭირდება.

დასკვნა

ძალაუფლება საზოგადოებრივი ყოფის, ადამიანთა სოციალური თანაცხოვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი, სვეტია. იგი თავს იჩენს ყველგან, სადაც ადამიანთა მყარად ჩამოყალიბებული გაერთიანებებია. ინდივიდების ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების მიხედვით ფართოვდება ან კლებულობს თითოეულის მოწესრიგებულობის ხარისხი, მოქმედების არეალი და მოვლენების წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობა.

ადამიანი ის ბიოლოგიური არსებაა, რომელსაც მბრძანებელი სჭირდება. ხოლო ძალაუფლების მფლობელი ხშირ შემთხევაში ბოროტად იყენებს საკუთარ შესაძლებლობას: „ადამიანს ძალაუფლება კი არ რყვნის, არამედ ძალაუფლების დაკარგვის შიში“.

ძალაუფლება ხელს აფათურებს იქ, სადაც წარმოუდგენლად გვეჩვენება მისი არსებობაც კი. ის გვხდება არა მარტო პოლიტიკურ სივრცეში, არამედ ყოფით ცხოვრებაშიც. ძალაუფლება უმეტესად შენიღბულია და ცდილობს, არ გაამჟღავნოს საკუთარი თავი, ეს ფენომენი ადამიანივით ამოუცნობი და იდუმალია.

ძალაუფლებას როგორც თავისთავად არსებულს, არა აქვს არც ნეგატიური და არც პოზიტიური შინაარსი, მთავარია როგორ, რა მიმართულებით გამოიყენებთ მას. ერთია, როდესაც ძალაუფლებას ვიყენებთ სხვების სამართავად და ის იძენს ტოტალური კონტროლის ხასიათს და მეორეა, როდესაც ვიყენებთ იმისთვის, რომ საზოგადოებაში მაქსიმალურად დამყარდეს თანასწორობა, თავისუფლება და სამართლიანობა.

ძალაუფლების გარეშე ადამიანის არსებობა თითქმის წარმოუდგენელია, სწორედ ეს არის მისი არსებობის გამართლება. ეს ანიჭებს მას პრესტიჟულობასა და უპირატესობის განცდას. ძალაუფლება სხვადასხვა ფორმით გვხვდება. მას განხორციელებისა და საკუთარი თავის გამოვლენის სხვადასხვა მექანიზმები გააჩნია. ძალაუფლება საშიში მაშინ ხდება,როდესაც ფარული მეთოდებით ახორციელებს თავის მიზანს, ხდება არაპროგნოზირებადი და უმართავი. ის არის აუცილებელი მოცემულობა, რომლის სრულად განსაზღვრა შეუძლებელია, ხოლო გარკვეულ დონეზე - შესაძლებელი. რაც უფრო ვცდილობთ მის მოხელთებას, მით უფრო ხდება

მასთან გაუცხოება. თუმცა ფაქტი ჯიუტია, ის არის ყოფიერების მთავარი წარმმართველი ძალა, რომლის გარეშეც არსებობა უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა.

ადამიანის სურვილი, მისწრაფებები თუ ინტერესები ძალას დაკარგავდა, თუ არ იარსებებდა ძალაუფლება. ადამიანმა გამოიგონა ის, რათა დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები და პატივმოყვარეობა.

თანამედროვე სამყაროში ძალაუფლების მიზანია - სისტემის ნაწილი გაგვახადოს, ჩაახშოს ყოველივე ადამიანური, ის, რაც არის აზროვნება და შემოქმედებითი უნარი. დავკარგოთ ინდივიდუალიზმი და ვიაზროვნოთ არა დამოუკიდებლად, არამედ ისე, როგორც აზროვნებს ყველა. თანამედროვე სამყარო სავსეა თვითკონტროლის მექანიზმებით და ეს ყველაზე უკეთ გადმოსცემს ძალაუფლების მანკიერ მხარეებს.

ადამიანმა უნდა იპოვოს საკუთარ თავში ძალა, რათა თავი დააღწიოს ამ ქაოსს. გამოსავალი კი თავისუფალ აზროვნებაშია. სწორედ თავისუფალი აზროვნების მეშვეობითა გააცნობიერებს კაცობრიობა საკუთარ ეგოსა და სამყაროს, ამქვეყნად არსებობის მიზანსა და დანიშნულებას, მოახდენს ძალაუფლების ფენომენის აღქმას და, მასთან მიმართებაში საკუთარი ინტერესების დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. არისტოტელე „პოლიტიკა“ თბილისი 1995-1996წ
2. ამირან ბერძენივილი «პოლიტიკური სოციოლოგია“ თბილისი 2000 წ
3. ამონარიდი ფუკოსა და ჩომსკის დებატებიდან (რატომ ვარ პოლიტიკით დაინტერესებული) - http://it-solutions.ge/radio/station/melomen
4. სტატია აურელია არმსტრონგი „ძალაუფლება,სხეული და სექსუალობა“ - http://womensgaze.org.ge/
5. დიალოგი მიშელ ფუკოსა და ჟილ დელიოზს შორის (ინტელექტუალები და ძალაუფლება) -4 მარტი, 1972; L'Arc, no. 49 4 მარტი, 1972; L'Arc, no. 49
6. ფრანგულიდან თარგმნა ლუკა ნახუცრიშვილმა ; © „ლიტერატურა – ცხელი შოკოლადი“
7. ენდრიუ ჰეივუდი „პოლიტიკა“ თბილისი 2007წ
8. ვალტერ ბენიამინი ესსე „ძალადობის კრიტიკა“,1921 წ
9. კარლ პოპერი „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ გამომც. თბილისი 2012წ
10. კარლ გუტავ იუნგი „დიქტატორთა ანალიზი“ ინტერვიუI - http://ibooks.ge/blog/articles/kg-iungi-diqtatorta-analizi-interviu/132
11. იმანუელ კანტი „რა არის განმანათლებლობა?“ - https://burusi.wordpress.com/2011/06/26/immanuel-kant-3/
12. მაქს ვებერი „ხარიზმული ბატონობა - ამონარიდები წიგნიდან: „სოციოლოგია - ზოგადი შესავალი“ (მე-16 თავი). გამომცემლობა: ი.ს.უ. გამომცემლობა.წყარო: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - 2016 წ
13. ინტერვიუ ჰერბერტ მარკუზესთან - http://european.ge/herbert-marcuze-minda-royvelas-erti-shekitxva-dagisvat/
14. მამუკა ბიჭაშვილი „ლექციები პოლიტიკური ძალის თეორიებში“თბილისი 2001 წ
15. მაკიაველი „მთავარი“ გამომც. ბაკურ სულაკაური 2006წ
16. მაქს ვებერი „პოლიტიკა როგორც მოწოდება და ხელობა“ თბილისი 1994 წ

17. მიხეილ გოგოტიშვილი „ლექციები პოლიტიკური ხელისულების თეორიაში“ გამომ.თბილისი 2003
18. მიშელ ფუკო „შეშლილობა და ცივილიზაცია“ 1975 წ
19. მარიკა ასათიანი „კულტურის სოციოლოგია“ 2006 წ
20. მაქს ჰორკჰაიმერი და თეოდორ ადორნო (განმანათლებლობის დიალექტიკა ფილოსფიური ფრაგმენტები გამომც. სა-გა 2012 წ
21. ნიცშე „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ თბილისი 1993 წ
22. პლატონი „სახელმწიფო“ გამომცემლობა ნეკერი 2003 წ
23. ჟან-მარ დენკენი „პოლიტიკური მეცნიერება“ თბილისი 2007 წ
24. ჟან ჟაკ რუსო „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ - http://mastsavlebeli.ge/?p=10351
25. ტოდ მეი “პოლიტიკური ფილოსოფია პოსტრუქტურალისტური ანარქიზმის” გამომც.ბიბლუსი 2011 წ
26. ჰუკერი „ეკლესიური ერთობის კანონთა შესახებ - http://vangogen.blogspot.com/2013/07/blog-post_5238.html
27. ინტერვიუ “ჰერბერტ მარკუზე ერთგანზომილებიანი ადამიანი“ - http://a-library.org/herbert-markuze-ertganzomilebiani-kaci/#sthash.MRD4FN5J.dpbs
28. ницше ''Воля к власти'' 1908 г
29. клаузевищ.к. „о.войне''2003
30. Hannah Arendt On AuthorityEducational Theory; Spring 1999
31. Mishel fuko “Historie de la sexualite” 1976